ასევე, პირველად დაიდავა ქუთაისის თეატრში სხვა ზემონაშთივლილი პიესებიც, რომლებიც ჯანრულად მეტად მრავალფეროვანია: „როცა სიყვარული მოვა“ ლირიკული კომედიაა ჩვენი ცხოვრების ნათელ დღეებზე (დამდგმელები კაკი ვსაძე და მურმან ფურცხვანიძე), „ეთერი ჩრდილები“ (დადგმა თ. მესხისა, მხატვარი შ. სუციშვილი) რასობრივი დისკრიმინაციის საკითხს ეხება, „განთიადის დედოფალი“ კი დეტექტივია. სათავადასავლო ჟანრი ჩვენში ყველაზე ჩამორჩენილია არა მარტო დრამატურგიაში, არამედ ხელოვნების სხვა დარგებშიც. ამდენად, თეატრის არჩევანი პრინციპში მისასალმებელია. მაგრამ სპექტაკლი „განთიადის დედოფალი“ არავითარ კომპენსაციას არ საჭიროებს მხოლოდ თემის წყალობით. იგი ფრიალ საინტერესო ნამუშევარია როგორც რეჟისორული, ისე აქტიორული ხელოვნების თვალსაზრისით. ყველაზე სახამოვნო ის არის, რომ რეჟისორმა ხელი არ ჩასჭიდა უდაოდ მომგებიან, მაგრამ მაინც იაფფასიან „კოზირს“ — თვით ვანრულ (სათავადასავლო) სპეციფიკობას, რომ იგი მხოლოდ სიუჟეტით, შინაარსით კი არ გვანტერესებს, არამედ ხასიათთა მრავალფეროვნებით, ფსიქოლოგიური წიაღ-სულებით, მოქმედების დინამიკური განვითარებით, თითქმის კინემატოგრაფიული კადრების მონაცვლეობით.

„მედეა“ ქუთაისელთა გასმარებული სპექტაკლია. მასზე ზეერი რამ დადებითი დაწერილა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო პრესაში. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ მისმა მესვე წარმოდგენამ, რომელიც სწორედ თბილისში გაიმართა, ფრიალ ავგადილვა როგორც მხატვრული სიძლიერით, ისე უაღრესად თანამედროვე უღერადობით. კაცთმოყვარობა, მამულის უნებარო სიყვარული, სულიერი სისპეტაკე და კეთილგონიერება — ერთის მხრივ, მეორის მხრივ კი ეროვნული ჩაგვრის, დამპყრობლური ომებისა კარიერისში გმობა, რომელსაც ჭადაგებს სპექტაკლი — ეს ხომ მარად აქტუალური, თანამედროვე პრობლემებია.

სპექტაკლში მრავალი საინტერესო აქტიორული ნამუშევარია (იაზონი — სანაძე, დიკვილი — ნაცვლიშვილი), მაგ-

მედეა — თ. ლასხიშვილი



რამ მთავარი, რა თქმა უნდა, თვით მედეას სახეა. რომელსაც დიდი უშუალოებით ქმნის მსახიობი თამილა ლასხიშვილი. მშობლიური და თბილია მედეა — ლასხიშვილი შვილებთან ურთიერთობაში, იაზონთან კი — ნაზია და ალექსიანი. რა დაუფარავი ქალური სიამე და სიამაყე მოსავს მის სახეს, როცა ომგადახდილი ქმრის ნაბიჯების მოახლოებას გრძობს. და რა დაუოკებელი რისხვით აღინთება, როცა ღალატს შეიტყობს. თუმცა მედეა — ლასხიშვილი, რაოდენიც არ უნდა უკუიწინონ მას ბერძნებმა „ბარბაროსობა“, ამღვრეულ გრძობას მაინც არ აბატონებს თავის გონებაზე ევრიპიდეს მედეასავით. დიდ და უსამართლო ბრძოლას კი მხოლოდ მაწინ ტოვებს, რაც გაბორბებული კორინთელები უცხო მტრულ ქვეყანაში ჩიუსაფარ ქალს ერთადერთ იმედს, შვილებს დაუხოცავენ.

ტრაგედიის ექსპოზიციამაც კი მედეა — ლასხიშვილის სახეში არ შეიძლება არ ვეგრძნოთ სამშობლოს ღალატის გამო სინანულის რაღაც შორეული, ჯერაც ღრმად დაფარული ინტონაციების ქედრადობა, რომელიც ბოლოს მთელი ტრაგიკული სიძლიერით ამოხეთქავს და შემაძრწუნებელ გოდებად იქცევა: მედეა — ლასხიშვილი ნათლად დაინახავს ქსენოლასის (უცხოელთა დევნა), ამ საშინელი ბერძნული ინკვიზიციის უღმობიელ ბრჭყალებს. მაგრამ იგი დასტირის არა უბრალოდ სიცოცხლეს, ამ უკანასკნელმა მისთვის უკვე დაკარგა ფასი, არამედ თავის მწარე ბედს თუ ბედის დაცინვას, რომლის გამოც ის „ველარ იქცევა კოლხეთის მიწად“. მედეა — ლასხიშვილის ტრაგედია პატრიზმოყვარე ქმრის ღალატის შედეგი როდია მხოლოდ, ეს არის ტრაგედია ადამიანისა, რომელმაც სამშობლო დათმო და უცხო მხარეში გადაიკარგა. ასეთი ადამიანი კი, რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს მასში ნიწის ყვილი, საბოლოოდ მაინც განწირულია „აუწიერელი ტანჯვისათვის“. სწორედ ეს არის მსახიობის მიერ ძლიერი დრამატრეზით გატარებული ფილოსოფიური აზრი ლ. სანაკიძის ტრაგედიისა, აზრი, რომელიც დიდ მხატვრულ და შე-


მეცნებით ღირსებას ანიჭებს მედეას სახესა და, საერთოდ, მთელ საექტაკლს.

როცა ქუთაისის თეატრის მიერ დადგმულ თანამედროვე, ორიგინალურ პიესებზე ვლაპარაკობთ, ხაზი უნდა გაესვას იმ

მედეა — თ. ლასხიშვილი, დიკეფილე — გრ. ნაცვლიშვილი







აკაკი ვაშაძე

გარემოებას, რომ ამ პიესებმა სწორედ ქუთაისის თეატრის სცენაზე მიიღეს „მოქალაქეობრივი უფლებანი“. იყო კი დრამა, როცა ქუთაისის თეატრი (იგივე ხდებოდა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში), ნებისთი თუ უნებლიეთ, იმორებდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების რეპერტუარს. მაგრამ მას შემდეგ, რაც კოლექტივს სათავეში ჩაუდგა აკაკი ვაშაძე, თეატრი მტკიცედ დაადგა დამოუკიდებელ სა-რეპერტუარო პოლიტიკას და ამ მხრივ უკვე აღარავისგან ელოდება ტონის მიცემას. უფრო მეტიც, შეიძლება იმის მაგალითებიც მოვიყვანოთ, რომ ქუთაისის სცენაზე „მონათლული“ პიესები ახლა წარმატებით იდგმება სხვა თეატრებში.

ეს ფაქტი გი ვარკვეულად ახასიათებს ქუთაისის თეატრის რეჟისურას, რომელიც სწორ და საინტერესო ინტერპრეტაციას აძლევს ახალ, ორიგინალურ პიესებს. მათ შორის ვხვდებით არა მარტო დამწყვეტ ავტორთა ახლად შექმნილ ნაწარმოებებს, არამედ ისეთებსაც, რომელთაც თავიანთი ავტორების პოპულარიზების მიუხედავად, წლების განმავლობაში მაინც ვერ შეადწინეს დედაქალაქის თეატრებში.


ჩვენი რესპუბლიკის გასული თეატრალური სეზონი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ თბილისელმა მაცურებელმა პირველად იხილა „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „კოლმეურნის ქორწინების“ ავტორის, შესანიშნავი ქართველი კომედიოგრაფის პოლიკარპე კაკაბაძის ორი ასეთი „ბედდამწვარი“ პიესა. მხედველობაში გვაქვს „კახაბერის ხმალი“ მარჯანიშვილის თეატრში და „ცხოვრების ჯარა“ ქუთაისელთა დადგმით. ამ უკანასკნელის დამდგმელი — რეჟისორია აკაკი ვაშაძე, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დ. თავაძე. სპექტაკლში იგრძნობა ნამდვილი მოქალაქეობრივი პათოსი, დაუნდობელი ბრძოლა იმ მანკიერი მხარეებისა და უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ, რომლებიც საკმაოდ დიდ სოციალურ ბოროტებათა კატეგორიას მიეწერება და აშკარად აბრკოლებს ჩვენი საზოგადოების წინსვლას. სპექტაკლის ამ იდეურ მიზანდასახულობას ხელს უწყობს მისი მაღალი აქტიორული დონეც, თავიანთი გმირების მორალურ-ზნეობრივ მანკიერებათა სრულყოფილად გამოსავლინებლად უხვად იყენებენ მწვავე სატირულ ფერებს რესპუბლიკის სახალხო არტისტები ვახტანგ მგერელიშვილი (ლოპიანე) და შოთა პირველი (გერასიმე), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ქეთევან კოლხიძელი (სეფარე), გრიგოლ კოკელაძე (მიჭუჭუნე), მსახიობი ი. მიქიაშვილი. ამ ძლიერი სატირული, პ. კაკაბაძისათვის დამახასიათებელი რეალისტური ხასიათების გვერდით, რა თქმა უნდა, დრამატურგიულად შედარებით სუსტად გამოიყურებიან ახალი თაობის წარმომადგენლები, მაგრამ ახალგაზრდა მსახიობებმა ლამარა ვაშაქიძემ (ციცინო), ეკ. დადიანმა (მუქუნა), ერ. სვანაძემ (თორნივე) და სხვებმა, მაინც საკმაოდ საინტერესო სახეები შექმნეს. ზოგი საჩოთირო დეკლამაციურობის გარდა, რომლის „საფუძველს“ ჯერ კიდევ პირველწვართ იძლევა, მათ გმირებს გააჩნიათ ნამდვილი ცხოვრებისეული სიმართლე და გულწრფელობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქუთაისის თეატრის განსა-



სურათებზე: (ზევით) პანს კიპერი — შ. პირველი; მღვდელი — შ. ხაქალია, პანს კიპერი — შ. პირველი (კვარცხლიდან ჩამოსული კაცი).

„თეთრი ჩრდილები“  
ფრენე ტილერი — ა. ქილ-  
ბაქიანი, ფელიქსი — გი. ა.  
კოკეაძე



„ვარსკვლავიდან ჩამოსული  
კაცი“ ქეთე ჰენი — მ. გულ-  
შვილი, ჰანს კიპერი — შ.  
პირილო

კუთრებული ყურადღება ორიგინალური დრამატურგიის მი-  
მართ გასაგები და მისასალმებელია, მაგრამ ამას აქვს საფრ-  
თხილო მხარეც; ეროვნულუებისაკენ სწრაფვამ რეპერტუარში  
არ უნდა დაამკვიდროს დრამატურგიულად სუსტი პიესები. აქ  
დიდ რისკთან ერთად დიდი ტაქტიკა და ზომიერებაც უნდა  
გამოვიჩინოთ, რაც, ჯერჯერობით, საკმაოდ იგრძნობა ქუთა-  
ისის თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაში.

კლასიკური და უცხოური დრამატურგიიდან ქუთაისის თე-  
ატრმა წარმოადგინა შექსპირის ტრაგედია „რიჩარდ მესამე“  
(დამდგმელი აკაკი ვასაძე, მხატვარი — ხელოვნების დამსა-  
ხურებელი მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ფარ-  
ნაოზ ლაპიაშვილი, კომპოზიტორი — საბჭოთა კავშირის სა-  
ხალხო არტისტი ალექსი მაჭავარიანი), ცნობილი ესპანელი  
პოეტისა და დრამატურგის ფედერიკო გარსია ლორკას ტრა-  
გედია „სისხლიანი ქორწილი“ (დამდგმელი — თამაზ მესხი,



„თეთრი ჩრდილე-  
ბი“ ირმა —  
ლ. ვაშაყიძე,  
გრიგოლ კილი —  
ერ. სვანაძე



„როცა სიყვარული მოვა“  
ლიანა — თ. ლასხიშვილი,  
დიტო — ერ. სვანიძე




მხატვარი — შ. ხუციშვილი, კომპოზიტორი — ვაჟა აზარ-  
შვილი, ქორეოგრაფი — დ. მაჭავარიანი, და თანამედროვე  
გერმანელი მწერლის კარლ ვიტლინგერის ტრაგიკომედია  
„ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი“ (დამდგმელი აკაკი ვასაძე,  
მხატვარი — ა. ბრანოვერი, მუსიკალური მონტაჟი გ. არა-  
ყიშვილისა).

„რიჩარდ მესამე“ ქუთაისის თეატრის ერთ-ერთი საუკე-  
თესო დადგმა, რეჟისორისა და მთავარი როლის შემსრულებ-  
ლის აკაკი ვასაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს არის  
ქუშმარიტად მონუმენტური ტრაგედია, რომელიც საპატიო  
ადგილს დაიკავებს ქართულ შექსპირიანაში. საქეტაკლის რე-  
ჟისორული მონტაჟი განსხვავდება პირველწყაროსაგან (მხედ-  
ველობაში გვაქვს კუბიურები, რომელიც აკ. ვასაძემ შეიტანა  
ტრაგედიაში), მაგრამ ფაქტი ერთია — დამდგმელმა ამ ახა-  
ლი, ორიგინალური რედაქციით კიდევ უფრო წამოსწია ტრა-  
გედიის იდეური არსი და მოქმედება მთლიანად თვით რიჩარ-  
დთან ურთიერთობაში გაშალა.

რიჩარდ მესამის როლს ნამდვილი ახალგაზრდული შემარ-



„ოთხი ჩრდილები“ სურათებზე: (ზევით) ფრენკ ტელერი —  
ა. ქელაძიანი, ბლანში — ე. დღიანი; (ქვევით) ჟონას ბოზგოენი —  
შ. ხაყალია, ნელსონი — გ. მეგრელიშვილი.



„როცა სიყვარული მოვა“  
ლიანა — თ. ლასხიშვილი, ნათია — ნ. თა-  
დაძე, ბაქუა — გ. ლასხიშვილი



თებითა და მისთვის ჩვეული მგზნებარებით ასრულებს აკაკი ვასაძე. რიჩარდი-ვასაძე, ნამდვილი თვითმპყრობელია, რომელიც შემთხვევით როდი მოხვდა ხელისუფლების სათავეში. უმაღლესი ტიტულისაკენ მიმავალი ეს გზა სისხლით იყო მორწყული და მისი ავლა მხოლოდ ტიტანური ძალის ბოროტ ადამიანს შეეძლო, ჭეშმარიტად ბოროტ გენიას. ყოველივე ამას რიჩარდი-ვასაძე აკეთებს უდიდესი ცინიკური არტისტიზმით. დიას, რიჩარდი ნამდვილი არტისტული ბუნებით არის დაჯილდოებული. ეს თვისება უფრო მაღალ ხარისხში აკაკის აკაკი ვასაძეს და ბრწყინვალე შედეგსაც აღწევს. ამის დამადასტურებელია პირველივე სცენა ლედი ანასთან, როდესაც რიჩარდი — ვასაძე ერთიანად მონუსხავს მეუღლის მუსხანა-

თურად მოკვლის გამო გამძვინვარებულ ლედი ანას უტიფრად გაუმიჯნურდება. უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი ვასაძეს შესანიშნავ პარტნიორობას უწევს ახალგაზრდა მსახიობი ლამარა ვაშაკიძე. მისი ლედი ანა უარესად შთამბეჭდავი, მართალი, პლასტიკურია და მაყურებელზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება სცენაზე. ახალგაზრდა მსახიობმა შესძლო დამაჯერებლად ეჩვენებინა არა მარტო ქმრის მუხანათურად მოკვლით გამოწვეული გოდება და ზიზღი მკვლელისადმი, არამედ, რაც მთავარია ამ ცნობილ სცენაში — თავისი ქალური ბუნების სისუსტე, უნებისყოფობა და ძლიერი, ნებისყოფიანა მამაკაცისადმი თანდათანობითი დამორჩილება.



რიჩარდი III-  
სცენა სპექტაკლიდან



რეჟისორი — თამაზ მესხია

ლელი ანა — ვაჟაკიძე თავდაპირველად რისხვად და მხვად დაატყდებოდა რიჩარდს, წყველის მას, მაგრამ თვითონაც კარგად გრძნობს, რომ ეს უკანასკნელი გაფართოვდება ბადეში მოქცეული თევზისა. ბოლოს მოცვლილივით ეცემა ძლიერის წინაშე, როგორც სუსტი, უმწირო არსება. ამას მოყვება რიჩარდის ცინიკური სიტყვები, რომელსაც მაცურებელი უმალ იჯერებს: „ამას შევირთავ, მაგრამ დიდხანს არ ვიყოლები“. ასევე ძლიერია ავ. ვასაძე მეფედ კურთხევის, ედვარდ მეოთხის სიკვდილის, გარდაცვლილთა სიზმრად გამოცხადების სცენებში და სხვ.


რომანტიკული მგზნებარებით არის საესე სპექტაკლი „სისხლიანი ქორწილი“, რომელიც თამაზ მესხმა დადგა. მასში აშკარად გრძნობა დამდგმელის ნიჭიერება, უნარი იმისა, რომ ერთ მთლიანობაში, კომპოზიციურად მტკიცედ შეკერას სპექტაკლი და თეატრალური ხელოვნების მიდარე არსენალს გონებამახვილური გამოყენებით შესანიშნავი სანახაობა გადაეციოს მაკონს. ამ მხრივ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან. ეს არის მაღალი ტრაგიკული პოეზიით გატენილი სცენა ლენინარდოსა და გატაცებული საპატარძლოსი, როცა სიყვარულის აზურითებულმა გრძნობათა ტალღამ ნაფიქტვად აქცია მორალურ ზღუდვთა ჯებირები და გამიჯნურებულმა ახალგაზრდებმა გული გულს მისცეს. მათ ამ უკანასკნელ რეჟ-

ვაში ბევრია საბედისწერო, განწირულობის მომსწავლეობა, მაგრამ ამავე დროს პოეტური და ამაღლებულიც. ამიტომაც ირხევა ასე საოტრად ფარდები და სცენა, თითქოს დღე-ბუნება უკანასკნელად ეფერებოდ თავის „ურჩა“ და ამავე შეილებს...

შეტად საინტერესოა ავ. ვასაძისეული ინტერპრეტაციით დადგმული ტრაგიკომედია „ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი“, რომელიც დაუნდობლად ამხვს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ნამდვილ სახეს. პიესაში თერთმეტი მოქმედი პირია, მაგრამ როლებს ასრულებს მხოლოდ სამი მსახიობი, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი რამდენიმე სულ სხვადასხვა სახის შექმნის ამოცანას. ესენი არიან რესპუბლიკის სახალხო არტისტი შოთა პირველი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მარი გელაშვილი და შოთა ხაჯალია. ეს არის სამი მსახიობის სპექტაკლი, რომლის ყოველი სცენის დამთავრებას მქუხარე ოვაციით ხვდებიოდა დარბაზი. მიუხედავად იმისა, რომ დროის უმცირეს მონაკვეთში უხდებოდათ გარდასახვა ხუთი სხვადასხვა ხასიათისა და ასაკის ადამიანად (სხვა რომ არაფერი, ეს დიდი ფიზიკური დატვირთვა), სამივე მსახიობი შესანიშნავია. საგასტროლო რეპერტუარიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო სწორედ ამ სპექტაკლში გამოვლინდა ქუთაისის თეატრის მაღალი აქტიორული პოტენცია. ის ფაქტი, რომ შოთა ხაჯალიას გასტროლების დამთავრებისთანავე მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, ჩვენი აზრით, რამდენადმე განაპირობა სწორედ ამ აქტიორულმა გამარჯვებამ. რაც შეეხება შოთა პირველს, ამ დაუზარელ და შესანიშნავ ხელოვანს, მან ნათლად დავანახა, რომ ნამდვილად ღირსია იმ პოპულარობისა და სიყვარულისა, რომლითაც იგი სარგებლობს.

ქუთაისის თეატრის გასტროლებმა კიდევ ერთხელ დავარწმუნა, რომ თეატრის ძლიერი აქტიორული კოლექტივი აქვას. ისეთ გამოცდილ ოსტატებ, როგორც არიან რესპუბლიკის სახალხო არტისტები: შოთა პირველი, ვახტანგ მეგრელი შვილი, შოთა ხაჯალია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. დენიაშვილი, თ. კივანძე, ქ. კოლხიდალი, მ. გელაშვილი, გ. აბესაძე, ვ. გვენცაძე, ბ. და გ. კოკელაძეები, გ. ნაცელიშვილი, მ. სვანიძე, ა. ქელბაქიანი, ა. ჩიჭვინიძე, მხარს უმშვენებს შესანიშნავი ახალგაზრდა თათბა: ლამარა ვაჟაკიძე, თამაღა ლახინიშვილი, კვატერინე დადიანი, ც. თთიაშვილი, ერ. სვანიძე, ირ. ბალიაშვილი, გ. ლახინიშვილი, გ. კოკელაძე, ნ. წიკლაური და სხვები, რომლებიც თეატრის კარგი მომავალია. აკაკი ვასაძის ხელმძღვანელობით ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან ახალგაზრდა რეჟისორები: მურმან ფურცხვანიძე და განსაკუთრებით თამაზ მესხი, რომელმაც უკვე საპატიო ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მოწინავე რეჟისორთა ანგარდში და დავგაწმუნა, რომ იგი უკვე ჩამოყალიბებული ვახტანგია.

ქუთაისის ახლად ფუნდამენტი თეატრი თბილისს პირველად 102 წლის წინ ეწვია, 1863 წელს, აკაკის ხელმძღვანელობით, ეს იყო გარკვეული შემოქმედებითი ანგარდი დედაქალაქის თეატრალური საზოგადოების წინაშე, რაც შემდგომ უკვე ტრადიციად იქცა. სწორედ ამ პრინციპით წარმართავდნენ თავიანთ მუშაობას ქუთაისის თეატრის გამოჩე-



«ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი», პანს კიბერი — შ. პირველი, სალვატორე — შ. ხაველია



დიდინო — ლ. გაშაქიძე, თორნიკე — ერ. სენაძე

«ცნობების ჯარა»



«როცა სიყვარული მოვა», დიტო — ერ. სენაძე.

«ცხოვრების ჯარა» გერასიმე — შ. პირველი, ლოპიანი — ვ. მეგრელიშვილი.



ქისტოსტორე — ი. შიქიაშვილი, ზეფორდ — ქ. კოლხიდელო



«ტაგუ». ჩიქოლ ჩიჩქინაია — შ. ხაველია, ქვათა ლოლუა — თ. კიკნაძე







„მეღა“. მეღა — თ. ლახსიშვილი, იაზონი — ი. ბალიაშვილი

ნილი მოღაწეები — კოტე მესხი, ლადო მესხიშვილი, შალვა დადიანი, კოტე მარჯანიშვილი, მიხეილ ქორელი, დიდი ანთაძე და სხვები. იგივე მიზანი ჰქონდა ქუთაისის თეატრის ამ ბოლო გასტროლებსაც, რომლის წარმატებით ჩატარებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თეატრი საპატიო სივლით დააჯილდოვა.

ახლახან ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრატულმა თეატრმა წარმატებით დაიწყო თავის 103-ე სეზონი. დარწმუნებული ვართ, რომ მისი ნიჭიერი კოლექტივი, რომელიც უდაოდ ბევრს აკეთებს ჩვენი ეროვნულ კულტურისათვის, არც შემდგომი გადაუხვევს თავის სახელოვან შემოქმედებით ტრადიციებს და მაღალ ესთეტიკურ პრინციპებს.

## საქართველოს თეატრალური



აქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში ტრადიციად იქცა საგასტროლოდ ჩამოსულ თეატრალურ კოლექტივებთან შეხვედრები. ამ შეხვედრებზე გულახდილ საუბარი იმართება ბოლოდ თეატრის როგორც დადებით, ასევე ნაკლებად მხარეებზე. სწორედ ასეთი ტრადიციული შეხვედრა მოეწყო თეატრალურ საზოგადოებაში ქუთაისის სახელმწიფო თეატრის კოლექტივთან მიმდინარე წლის ივლისში. ქუთაისის თეატრის ჩამოსვლის პარველივად დღიდან შეიქმნა შემოქ-

## საზოგადოებრიობის შეხვედრა

მედლებითი ბრიგადა საგასტროლო სექტაჟლებზე დასასწრებად. ბრიგადა შედგებოდა რეჟისორებისაგან, მსახიობებისაგან, თეატრ-მცოდნეებისაგან, კრიტიკოსებისაგან, რომლებმაც გამოთქვეს თავიანი მოსაზრებანი ქუთაისის თეატრის მუშაობაზე, მათ შემოქმედებით მიღწევებზე.

როცა ლაპარაკია ქუთაისის თეატრის შესახებ, — სქვა თეატრ-მცოდნე ვასილ კიანაძემ, — უნდა დაეწყოს იქიდან, რომ ეს დიდი ტრადიციების ქალაქია. ამ ქალაქში მოღვაწეობდნენ ლადო მესხი-

## ლადო მესხიშვილის სახელობის

შვილი და კოტე მარჯანიშვილი. ქუთაისმა ისეთი დიდი ავტორიტეტი შეიქმნა, რომ იგი ტონის მიმცემი იყო თეატრალურ ცხოვრებაში. ამიტომ, ბუნებრივია, იბადება კიოხვა — რამდენად შეძლო თეატრმა შეინარჩუნებინა და განეითარებინა ეს სახე, როგორ ახერხებს იგი მის დაცვას, და რამდენად შეესწავს ძალა უპასუხოს თანამედროვე თეატრის მოთხოვნებს.

თანამედროვეობის ამსახველ მივხებთან ერთად თეატრი ფარ-

## ქუთაისის თეატრის კოლექტივთან

თოდ უხსნის გზას კლასიკასაც. სასიამოვნოა, რომ მისი სარეპერტუარიო ხაზი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მას შემდეგ, რაც ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი ჩვენთან იყო, ბუთო წელი გავიდა. ამ დრომ დაგვარწმუნა, რომ თეატრი, მთელი მისი კოლექტივი მეტი მიზანსწარაფვით მიდის წინ, ძიება უფრო ნაყოფიერია.

სანდრო ანგეტილის აზრით, უველაზე კარგი შემოქმედი კოლექტი-

ტვი, კარგი თეატრი ის არის, რომელიც უფრო მეტად ახახავს მის  
ოაჰმადრეც ცხოვრებას. ქუთაისის თეატრმა ეს ამოცანა წარმა-  
ტებით განაორციელა, რაც კარგად ჩანს იმ ცხრა სპექტაკლიდან,  
რომელიც სახატროლოდ იყო ჩამორჩილი.

თეატრმა თავისი მუშაობით დაამტკიცა, რომ იგი კარგ ფორ-  
მშია. მისი მუშაობა შესანიშნავი დადასტურებია იმისა, რომ უკვეა  
ნაყოფი, რომელიც აქვს ამ კოლექტივის ახლი მომავალი გამოსო-  
რებული იქნება.

საინტერესო იყო თეატრმცოდნე ნათელა შერუაშის განმოსვლიც:  
თეატრის სახატროლო რეპერტუარში, ცხრა დასახელებული  
სპექტაკლიდან ექვსი ქართული, ერთგულნი სპექტაკლი. ეს კი  
იმანუ ლაპარაკობს, თუ როგორ სერიოზული მონიშნაობის ძიება,  
რაც უკვეა თეატრისათვის როდია დაბნახაობილი.

უკვეა პიესა, რომელიც ქუთაისის თეატრმა ჩამოიტანა, ერთმა-  
ნეისიდან განსხვავდება როგორც ხარისხით, ისე ხასიათით, აქტი-  
ურიუი შესრულებით. მიუხედავად ამ ხარისხობრივი და თვისო-  
ბრიუი განსხვავებისა, თეატრს აქვს თავისი სახე, თავისი მითარო-  
ლება.

აჯაკი ვასაძის, როგორც რეჟისორის კარგად ვიცნობთ, ბევრი  
წარმოდგენა დაუდგამს თბილისსა და ქუთაისში. მის სპექტაკლებში  
უყვლეოვის ჩანს განაკუთრებული შეგრძნება გმირთა შინაგანი  
ცხოვრებისა, რიტმის, რომელიც რეჟისორს არასოდეს ღალატობს.  
სპექტაკლში უკვეა კომპონენტი მთლიანია და შედუღებული. ეს  
არის თვისება, რომელიც აჯაკი ვასაძეს, როგორც დადგმელს გაჰა-  
ნია და ეს უკვეა მის სპექტაკლში იგრძნობა. ეს ჩანს აგრეთვე  
სხვა რეჟისორების მიერ შექმნილ სპექტაკლებშიაც, რაც ნინვაა,  
რომ თეატრს თავისი პოზიცია აქვს. კოლექტივიში მუშაობს მსახი-  
ობების, რეჟისორების ახალგაზრდა თაობა, მაგრამ უკვეაფერის ბე-  
უვია საშხატტრო ხელმძღვანელების და შესანიშნავი ზეყოფედის აჯა-  
კი ვასაძის ინიციატივა, უნარი, მუშაობის სტილი. ცხრა სახატრო-  
ლო სპექტაკლიდან ზუთ სპექტაკლს დაეწწარი. აქედან — „მე-  
დვიანს“, „როცა სიყვარული მოვა“ და „გაოსკვლავიდან ჩამოსული  
კაცი“. საწუწაროდ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სპექტაკ-  
ლების მხატვრული გაფორმება ჯერ კიდევ ვერ უტოლდება ვერც  
სარეპერტუარო ხაზს და ვერც აქტიურულ შემოქმედებას, მხარს  
ვერ უზამს მთელი სპექტაკლის მთლიანობას. თუ „რიჩარდ მენსჟე-  
ში“ ფ. ლაიაშვილის მიერ შესანიშნავადა მიგნებული მომხდარი  
ამბის ატმოსფერო (შემოქმედებას ვასდებს სისხლის ფერი და სხვ.)  
„მედვიანში“ ვაგუნებარია რას გამოხატავს კადრთაოკანი დანაკოფები  
იფერი და შავი. ფეფორბო. ანევე გაუგებარია სპექტაკლში „გარ-  
სკვლავიდან ჩამოსული კაციის“ გაფორმება. პიესის „როცა სიყვარ-  
ული მოდის“ მხატვრული ქსოვილი არ შეუფერება ლიტერატურ-  
ულ ქსოვილს.

ქუთაისის თეატრს ბტუვია წამყვანი რეჟისორის, შესანიშნავი შე-  
მოქმედის ზელი. უკვეა დადგმიდან ჩანს, რომ ეს არის აჯაკი ვასა-  
ძის სკოლა. გაოცება იწვევს ისიც, რომ ადამიანმა, რომელმაც  
ასეთი დაბაბული დატვირთული შემოქმედებითი გზა განვლო, კი  
არ გამოიფიტა, კი არ დაებრდა, არამედ პირიქით, დაეკანახა, რომ  
კიდევ აქვს უნარი არა მარტო იოამაშოს, არამედ განცვიცდვიონოს  
თავისი შემოქმედების მაქსიმუმი. სწორედ ასეთი შთაბეჭდილება  
დამრჩა, როდესაც აჯაკი ვასაძეს რიჩარდ მენსჟეში ვუფურებდი.  
იგი გაოცებს თავისი დიდი ერუდიციით, ძალითა და საოცარი  
წიქით.

კრიტიკოსმა ბესარიონ ელენბა თქვა: ქუთაისის თეატრის გას-  
ტროლებიდან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საკმე გვაქვს  
ერთგულნი მასტრების დიდ თეატრთან. იგი გვერთვე უღდას ჩვენი  
დღედაღამისი ორ უშთავრეს თეატრს იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც  
წარმოებს ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და კულტურის ახალი  
დიდი წარმატებებისათვის, ჩვენ ხელოვნება და მწერლობა ხალხის  
აღზრდისათვის ვინადა. ქუთაისის თეატრის რეპერტუარი მოწონის,  
რომ იგი დღევანდელი ცხოვრების ხაზზე დგას. „ცხოვრების ჯარა“  
უყვლეობრივ მოწუფული სპექტაკლია. თეატრმა გზა მისცა ქართულ  
რეპერტუარს, მოლოკარზე კაკამე ოთხი პიესის ავტორია, ორი  
მთავანი კი ამ თეატრში იდგმება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება რიჩარდ მენსჟეს, მთელი გულწრფელისობით უნდა  
ეთქვა, რომ ეს არის მაღალ პროფესიულ დონეზე დადგმული სპექ-  
ტაკლი. ქართული საბჭოთა თეატრის ერთ იწუება „ფუნტენი რეკე-  
ნაში“, მას მოჰყვება „ამჰლდტი“, „ეჩაზღებში“, „ოხედლო“, „რიჩარდ  
მენსჟე“. ქუთაისის თეატრის „რიჩარდ მენსჟე“ ამ დიდ ამსამბლში  
დგას, როგორც ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში ქართული თეატრის  
მიერ მსოფლიო კლასიკური დამატურების წაყიებისა და ღრბად  
გაგებისა. შესანიშნავია ფ. ლაიაშვილის მხატვრობა, დეკორაციისა  
და მუსიკის მხრივ ეს სპექტაკლი მაღალ პროფესიულ დონეზე დგას  
და საერთოდ თანამედროვე თვლით არის წაყიბოხული. აჯაკი ვასა-  
ძემ ამ ნამუშევრით ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ იგი მარჯა-  
ნიშვილიდან და ახმეტლიდან გამორჩობილია. დიდ შემოქმედს ხანი  
არა აქვს, იგი უყვლეოვის ახალგაზრდა და სისხლსაკუნა.


ჩვენ თეატრის კოლექტივის თვითოეული ეფერისაგან მოველით  
დიდ შემოქმედებით დაძაბვას. უკვეაღ უნდა იბრძოლოს იმისათვის,

რომ თეატრმა მომავალშიც დადგას ისეთი შესანიშნავი სპექტაკ-  
ლები, როგორც არის „ცხოვრების ჯარა“ და „რიჩარდ მენსჟე“.  
სიტყვებით გამოვიდნე აგრეთვე რეჟისორი მისილ გეიქმერე-  
ლი, თეატრმცოდნეები — ნინო შვანიკიძე და ალექო შალუვა-  
შვილი, დამატურები — იონა ვაკელი და ლევან მილორაძე, კრი-  
ტიკოსი ანტონ წულუკიძე და სხვ.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აჯაკი ვასაძემ მადლობა  
გადაუხდა საზოგადოებრიობას გულმხმობრივი შეხვედრისათვის და  
განაცხდა: უკვლეფერი რაც აქვს იქნა, უკვეა ჩვენგანისათვის და-  
სამსახურებელია თავისი მნიშვნელობით და შინაისათ. ეს უკვ-  
ლეფერი სტეროია იმ დიდი საქმიანობის, რომლებსაც ენახებრება  
დიდო მესხმეოლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრი და  
მისი შემოქმედებითი კოლექტივი.

შეგვიძნა შეჯამა საქართველოს თეატრალური საზოგადოებ-  
რტიკულიების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა  
დლოლი ანთაძემ.


„ტავე“. მენსჟეში — გრ. კოკელავი, ტავე — ნ. წილაური



„გენიათღის დღეოფალი“. სანდრო — ვ. მეგრელიშვილი, კონდუტტორი — ი. მიქიაშვილი







მუსიკოს ა. ლასკოს დამსხვრეული ინსტრუმენტი, რომელიც შემდეგ გ. გაგინიემ აღადგინა

# სიუპიან საკრავთა გაერთიანული ოსტატი

ოთარ დიაკენიშვილი

საქართველოს არ ყოფილა სიმებიან-ხემიანი კლასიკური საკრავების მკეთებელი ისეთი ოსტატები, როგორც იყვნენ სახელგანთქმული იტალიელი გასპარ და სალო, ანდრეი და ნიკოლო ამატი, დელ ჯეზუ გვარნერი, ანტონიო სტრადივარი, გერმანელი იაკობ შტაინერი, ფრანგი — ჟან ბატისტ ვილომი, სახელოვანი რუსი ოსტატი ივანე ანდრასი ძე ბატოვი და მისი მომდევნო თანამემამულენი: ა. ლემანი, დ. ტომაშევი, ტ. შოლდერნი, გ. მოროზოვი, ნ. ფროლოვი და ხემიან საკრავთა დამზადების საბჭოთა სკო-

ლის ფუძემდებელი ე. ფ. ვიტაჩევი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ვიოლინო შემოვიდა უკვე სახეებით ჩამოყალიბებული სახით, ხოლო შემდეგ გაჩნდნენ ხემიან საკრავთა მიბაძვით მკეთებული და შემკეთებელი ოსტატები. რაც შეეხება ამ საკრავებზე სამემსრულებლო ხელოვნების განვითარებას, ჩვენში აღზარდნენ ისეთი დიდი მუსიკოს-მემსრულებლები, რომელთა სახელი გასცდა არა თუ საქართველოს, არამედ რუსეთის საზღვრებსაც. მიუხედავად ხალხური ხემიანი საკრავების დიდი ტრადიციისა საქართველოში, უძველესი შესანიშნავი სვანური ჭუნირის არსებობისა, ჩვენში ხალხური საკრავები ვიოლინომდე მაინც ვერ განვითარდნენ.

ჩვენში სხვადასხვა სახის სიმებიან ხალხურ საკრავთა კეთების დიდი ტრადიციები არსებობდა. სწორედ ამ ტრადიციებზე აღზრდილ ოსტატთა შორის იყვნენ ვიოლინოსა და მის მსგავს საკრავთა მიბაძვით მკეთებული და შემკეთებელი ოსტატები, რომელთა შორის ვასაკუთრებული ადგილი უჭირავს გიორგი დავითის ძე გაგინიძეს.

გიორგი დავითის ძე გაგინიძე წარმოშობით რაჭიდან არის. მისი მშობლები უბრალო მშრომელი ადამიანები იყვნენ და დიდ დროს უთმობდნენ მუსიკასაც. მათ ოჯახში ხშირად იკრებიებოდნენ ახლო ნათესავები და მეზობლები, მართავდნენ საოჯახო კონცერტებს, მღეროდნენ, უკრავდნენ ხალხურ საკრავებზე.

პატარა გიორგის ბევრჯერ ჩასძინებია ქართლ-კახური სიმღერებისა და გიტარის ჰანგებზე. ცხადია, მასთან ერთად მის და-ძმასაც გავლენიან მუსიკასადმი სწრაფვა. ისინი კარგად უკრავდნენ ფანდურზე და გიტარაზე, მაგრამ მათ მშობლებს არავითარი საშუალება არ გააჩნდათ მიეცათ შვილები-სათვის მუსიკალური განათლება.

1899 წელს 10 წლის გიორგი მშობლებს ხის დამამუშავებელ საწარმოო სახელოსნოში შევირდად მიუბარებიათ. დრო გადიოდა, გიორგი სადურგლო საქმეს ეუფლებოდა. სახელოსნოში ბავშვს სათამაშო ფანდური, ხოლო შემდეგ გიტარაც დაუშვანდებია. გიორგი პატარა საკრავებს მუყაოსაგან და ხისაგანაც აკეთებდა, თითხმები წლის „პატარა ოსტატს“ კი ისეთი ფანდური გაუკეთებია, რომ ყველა გაუკვირვებია.

ჭაბუკი გიორგი უკვე კარგად ფლობდა ხეს და ამზადებდა ყოველგვარ რთულ ნაკეთობებს — კარადას, მაგიდას, ჩარჩოებსა და, რაც მთავარია, ფანდურებსა და გიტარებს. საკრავების შექმნით იგი ერთგვარად ახლოს გრძნობდა თავს მუსიკასთან. მალე იგი გადადის სხვა სახელოსნოში, სადაც გრამაფონის დასადავმ მაგიდეებსა და ფირების ჩასაწყობ ყუთებს აკეთებს, მაგრამ არც ეს სამუშაო მოსწონს. ბოლოს სასურველ საქმეს მოჰკიდა ხელი აღზაზოვის სახელოსნოში, სადაც წარმოებდა როგორც სიმებიანი ხალხური, აგრეთვე კლასიკური სიმებიან-ხემიანი საკრავების დამზადება და შეკეთება.

პირველ ხანებში აღზაზოვი გიორგის ბუკითად ასწავლიდა ხის შერჩევასა და საკრავების დამზადების რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს. ერთი წლის შემდეგ შევირდა უკვე კარგად გაერყვა სამუშაოში, ბევრ რასმე თვითონ მიხედა და აითვისა. ერთ დღეს სახელოსნოში მისულა ცნობილი ხელოვანი და მემსრულებელი, საქართველოში საკვილორნილო მკვლევრების დიდი მოამავე პროფესორი კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე



მინიარი და ხეში დაუტოვებია უფროსი ოსტატისათვის შე-  
საკეთებლად. როდესაც მის წასაღებად მოსულა, გიორგისაგან  
შეუტყვიდა, რომ ალხაზოვის არ ყოფნის გამო ძუა მას ჩაუსვამს  
„მე მხოლოდ ხეშის გადაცემა გთხოვთ და არა გაკეთებათ“ —  
წარმშეგვრით უთქვამს მას გიორგისათვის. მაგრამ ახალგაზრ-  
და ოსტატმა „გამოცდა“ ბრწყინვალედ ჩააბარა: იმ დღიდან  
კონსტანტინე მინიარი თავის სტუდენტთან ერთად გიორგის  
მუღმივი კლინიკი გახდა.


გიორგი გახიძემ ალხაზოვისაგან სახელოსნოც იყიდა და  
მალე სახელი გაითქვა მიუღ საქართველოში, როგორც სიმე-  
ბიან-ხემიანი და საერთოდ ყოველგვარი სიმებიანი მუსიკა-  
ლური საკრავების ოსტატმა. სახელოსნოში გიორგისთან ერთად  
მუშაობდა გაიოზ ჯაჭვამე, რომელიც უშუალოდ გიორგის  
მოწაფედ, ხოლო შემდეგ თანაშემწედ ითვლებოდა. მალე  
თბილისში ხემიან საკრავზე შემსრულებელი პროფესიონალი  
თუ მოსწავლე, ყველა, ვისაც კი საქმე ჰქონდა ხალხურ ხემიან  
ან ხემიან კლასიკურ საკრავებთან, გიორგის გარშემო შემოიკ-  
რებია. გიორგის სახელოსნოში კეთდებოდა: გიტარები, მანდო-  
ლინები, ბალალაიკები, ჩონგური, ფანდური, წარმოებდა საკ-  
რავების შეკეთება და რესტავრირება. ოსტატი საკრავთა დამ-  
ზადებისათვის შესაფერის მშრალი ხის მასალას ბორჯომის  
ხეობაში პოულობდა.

გიორგის თავის საქმიანობაში ხელს უწყობდა მისი მეუღ-  
ლე სოფიო ადამიძე, რომელიც ამგანადაც დიდ დახმარებას  
უწევს მას. სოფიომ იცის ძუის გარეცხვა, დამუშავება, წების  
თავისებურად მოდუღება, შეწვილი საკრავის ფრთხილად  
გაფხვკვა-გაწმენდა და მთელი რიგი სხვა პროცესე-  
ბი.

გიორგის ქალიშვილი მარიამი თბილისის თოჯინების თე-  
ატრის მსახიობია, ხოლო შოთა — გ. აბაშიძის სახ. თბილ-  
ისის მუსიკალური კომედიის თეატრის ორკესტრის ვიოლონ-  
ჩელისტი.

გიორგის ოჯახში ხშირად ნახავდით ხემიან საკრავებზე  
შემსრულებელ მუსიკოსებს, ისინიდა მელიოდიები, რომლებიც  
საკრავთა გასინჯვა-შემოწმებით იწყებოდა, ხოლო შემდეგ  
ერთდრო კონცერტებში გადაიზარდებოდა ხოლმე.

აატარა შოთამაც დაიწყო მეცადინეობა ჩელოზე ვიოლონ-  
ჩელისტ ემილ კაპელინიკთან. პირველი გაკვეთილებიდანვე  
გამომავლანა მისდამი დიდი ინტერესი. როცა წამოიზარდა,  
მამამ სასუთარი ხელთი დამზადებული ჩელო აჩუქა. გარდა  
საორკესტრო შესრულებისა ამ ინსტრუმენტზე მომისმინა  
სოლო შესრულებაც და, რაც მთავარია, მეგრჯერ დამოკრავს.  
თამამად უნდა ითქვას, რომ იგი დიდ ოსტატთა ნამუშევარს  
უტოლდებოდა. გარდა ამ ჩელოსი, გიორგის დამზადებული  
ქონდა კიდევ სხვაც, აგრეთვე ვიოლინო, რაც შეეებოდა ადღე-  
წასა და გადაკეთებას, ამის, ცხადია, უამრავი მაგალითი იყო.  
ქუთაისში სწავლის პერიოდში ჩემთან ერთად სწავლობდა  
ნიჭიერი ახალგაზრდა კონსტანტინე ანდრუშენკო, რომელსაც  
გამოჩინილ პედაგოგ ვიოლონჩელისტი ალექსანდრე კასანის  
თხოვნით გახიძემ შესანიშნავი ფორმისა და ტემბრის ჩელო  
გაუკეთა. კარგად მასისყო ამ ინსტრუმენტის მოყვითალო  
ფერი, ხმა და ტემბრი. 1937 წელს თბილისში ახალგაზრდა  
მუსიკოსთა დათვალეობაზე ანდრუშენკო ზ. ფალიაშვილის




გიორგი გახიძე

სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში ამ ინსტრუმენტზე გოლ-  
ტერმანის პირველი კონცერტი შეასრულა.

როცა ალხაზოვის ყოფილი სახელოსნოს შენობა დაზიან-  
და და გიორგიმ ვერ შესძლო მისი აღდგენა, იგი სამუშაოდ  
ზადოსკის სახელოსნოში გადავიდა. როგორც წესი, შედარე-  
ბით უფრო თბილი და საინტერესო სამუშაოები გიორგის  
სახლში მიჰქონდა.

1929 წლიდან გიორგი თბილისის მუსიკალური ინსტრუ-  
მენტების ქარხანაში, რომელსაც „სოლო“ ეწოდებოდა.  
გარდა მუსიკალური ინსტრუმენტებისა, აქ სიმებიც მზადე-  
ბოდა. ქარხანაში იგი ერთ-ერთი წამყვანი ცეხის უფროსად  
დაუნიშნა. მალე თავი გამოიჩინა, როგორც ნამდვილი გა-  
მოცდილმა ოსტატმა. ინსტრუმენტთა დამზადების ტექნოლო-  
გიაში მან ახალიც კი შეიტანა. ქარხანა „სოლოში“ გიორგის  
რამდენჯერმე მიუღია ფულადი ჯილდო და მადლობა.  
ქარხნის დაწვის შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის ინვა-  
ლიდების მუსიკალური ინსტრუმენტების ქარხანაში, სადაც  
გარდა ჩონგურ-ფანდურის დამზადებისა, წარმოებდა კლასი-  
კური ხემიანი ინსტრუმენტების შეკეთება. კეთდებოდა სხვა-  
დასხვა ზომისა და ფორმის ფანდურები, თუშური, ფშაური,  
კახური და სხვა, აგრეთვე მზადდებოდა გიტარა, მანდოლინა  
და ბალალაიკა. რაც შეეებოდა ხემიანი საკრავების შეკეთება-



დ. არაყიშვილის შეკეთებით 1933 წელს გ. გაგნიძის მიერ დამზადებული ჩონგურები

აღდგენას, ეს საქმე უშუალოდ გიორგის ეხებოდა. იმ დროისათვის გიორგი ცნობილ ოსტატად ითვლებოდა, ქალაქის რომელ კუთხეშიაც არ უნდა ემუშავა, კლიენტები სიშორეს არ ერიდებოდნენ. მაგრამ გიორგის ძირითადად ვილინოსა და მის ჯგუფში შემავალ საკრავებზე მუშაობა იზიდავდა, ჯერ კიდევ 1914 წელს გიორგის მიერ გაკეთებული ვილინო, ალტი, ჩელო და კონტრაბასი იმ დროს თბილისში მყოფ რუმინულ მუსიკოს შემსრულებელთა ჯგუფს შეუქმნია. რუმინულ მუსიკოსს გიორგის მიერ დამზადებული კონტრაბასი იმდენად მოსწონებია, რომ თუ ჩვეულებრივ მაშინ იგი 80 მანეთი ღირდა, მას გიორგისათვის 150 მანეთი გადაუხდია. რუმინულ მევილინოს ყურადღებით გაუსინჯავს ვილინო და უთქმის: „თქვენი ვილინო ძალიან მომწონს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ახალია, მე სახეებით მაკმაყოფილებს მისი ხმოვანება. საინტერესოა, ქართული მასალისაგან ქართველი კაცის მარჯვნივ დამზადებული ინსტრუმენტი ბუქარესტში როგორ იხმოვანებს“.

გიორგი გაგნიძე მთელ რიგ ქართულ სალხურ მხატვრულ კოლექტივებს ემსახურებოდა თავისი მაღალიანი მარჯვენით. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სალხურ საკრავთა ანსამბლის ხელმძღვანელის თათარხან ჭოქოლის ოსოვნითა და დაკვეთით გიორგიმ ანსამბლისათვის დამზადა ჩანგები და ჭუნირები. ავსტენტი მერელიძის დაკვეთით მან

მთელი ანსამბლისათვის დამზადა გურული და ქვემო ქართული ჩონგურები. ასეთივე დაკვეთითა შესრულებული აჭარის მწიწნურეთა ანსამბლის ხელმძღვანელის ვალერიან საღარდისა და მისი მოწაფის, ანსამბლის ხელმძღვანელის მერი ვეფხვაძის ოსოვნით, რომლებმაც გიორგისეული საკრავებით მთელი დასავლეთ საქართველო შემოიარეს.

1931—32 წ. წ. ცნობილ ქართველ მოხეტიალე მუსიკოსს ილიკო ქერხულს გიორგი გაგნიძემ გაუკეთა ჩანგი, რომელსაც ნაცვლად შვიდისა, ოცდათორმეტი სიმი (ანუ ლარი) აქვს. (ჩანგი მხატვრულად გააფორმა ლადო გუდიაშვილმა).

ათეული წლების მანძილზე ქურის გიორგის მიერ დამზადებული ფანდურები მარო თარხნიშვილის ანსამბლში.

1932—33 წ. წ. დ. არაყიშვილის, ნ. ჩიგოვიძის, შ. მშველიძისა და ანსამბლის ხელმძღვანელის ვასილ თამარიშვილის ოსოვნით გიორგიმ დამზადა ჩონგურებისა და ფანდურების „უჩვეულო კომპლექტი“, ჩონგურები ურმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ზომით, ხმის სიძლიერით, ტემპრითა და დაბაზონით. (ჩონგური-პიკოლო, მეცო-სოპრანო, ალტი, ტენორი, ბანი, ჩონგური-კონტრაბასი). დამზადა აგრეთვე 12 ცალი თუმური ფანდური.

გიორგი გაგნიძე მუშაობას იწყებს თბილისის მუსკომინატის ქარხანაში, სადაც მრავალ წლის პრაქტიკულ გამოცდილებას საკრავთა დამზადების სამანქანო წესების ათვისებით ამდიდრებდა.

კომინატში მომუშავე მალაკალიფიციურ სპეციალისტთა ყურადღებითა და დახმარებით მის დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას ქიმიის, ფიზიკისა და, რაც მთავარია, აკუსტიკის მეტად საჭირო და საინტერესო თეორიული ცოდნის შემაჯობია. მუსიკალური კომპონენტის სპეციალისტთა შემოვლით იგი გაცნობია რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საკრავების მეთვთველ ოსტატთა თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებებს. გიორგი დიდად ნაყოფიერად თვლის კომინატში მუშაობის პერიოდს, სადაც კვალიფიციურულ სპეციალისტთა კონსულტაციებისა და მითითებების საფუძველზე ბევრი რამ ახალი შეუქმნა, კერძოდ საკრავთა ნაწილების სამანქანო წესით დამზადება.

ერთხელ ვიოლინჩელისტ ალექსანდრე ლასკოს გიორგისათვის მთლად დამტერული ჩელო მიუტანია, რომლის აღდგენა თვით ოსტატსაც კი ითქმის შეუძლებლად მოიგვნა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ლასკოს ინსტრუმენტი ისევ ძველებურად აქურდა ანსამბლში.

1935 წელს გიორგი თბილისის კონსერვატორიაში მიწვიეს ხემიან საკრავთა ოსტატად. აქ მას საკასტროლოდ ჩამოსულ ცნობილ მუსიკოსთა ინსტრუმენტების მოვლაც უხდებოდა. გიორგის ცნობილ მუსიკოსთა სახით ბევრი კლიენტი ყავდა: ვ. ვოლშო, კ. მინიარი, ა. კასანი, დ. გროსმანი, ა. ფერტელმანი, გ. ცომიკი, ი. აბაშიძე, ლ. შიკაშვილი, ლ. იაშვილი, ა. ჩიჯავაძე, გ. ბარნაბიშვილი, ბ. ჭიაურელი, ძმები შანიძეები და სხვ. ოსტატს წესრიგში მოჰყავდა თბილისის ყველა მუსიკალური სკოლისა და სასწავლებლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ინსტრუმენტები, ასრულებდა ქალაქებისა და რაიონების მუსიკალურ დაწესებულებათა დაკვეთებს ინსტრუმენტთა შეკეთებზე (ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი,



ფოთი და სხვ.), ამ საქმიანობას ემატებოდა თბილისში არსებული სიმფონიური ორკესტრებისა და ანსამბლების ინსტრუმენტთა მოწესრიგება — შეკეთებაც.

მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე გიორგი დიდი სიყვარულით და მონღოზებით ასრულებდა საოსტატო საქმეს. განსაკუთრებულ გულისხმიერებას მოსწავლე ახალგაზრდობისადმი იჩენდა.


განვიხილ გარდა თბილისში იყვნენ სხვა ოსტატებიც: დ. მასურაძე, გაიოზ ჯაჭვაძე, დ. ნარიშკინიძე, კარა ჩილინგაროვი, საპრონოვი, კარასიოვი, პ. იაკიმენკო, მ. მაკევი და სხვები. ამ ხელსაწათა უმრავლესობა შემსრულებელ მუსიკოსებად ითვლებოდა და, სხვათაშორის, როგორც მოყვარულნი, ამ საქმიანობასაც ეწეოდნენ. მათგან მხოლოდ კ. ჩილინგაროვი, გ. ჯაჭვაძე, დ. მარიანიძე და საპრონოვი შეიძლება ჩაითვალოს ოსტატ-მომუშავეებად.

ჩვენს რესპუბლიკაში პროფესიონალ მუსიკოს-შემსრულებელთა რიცხვი საგრძობლად გაიზარდა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამრავლდა მუსიკალური სკოლები და სასწავლებლები, ჩამოყალიბდა მრავალი თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივი, ზოგადი განათლების სკოლებში შემოღებულ იქნა მუსიკის სწავლება. ძალზე გაიზარდა მოთხოვნილება ინსტრუმენტზეც.

ინსტრუმენტის ხარისხს ძირითადად ხმოვანება სწვევტს. საკრავების მკეთებელმა ოსტატმა საჭიროა იცოდეს ქიმიის, ფიზიკისა და ხის ტექნოლოგიის, აკუსტიკის აუცილებელი საკითხები, მუსიკის ელემენტარული თეორია, კარგად გრძობდეს ტონებს, ურკვევოდეს ინტერვალებში და მათ ურთიერთ შერწყმის კანონებში, გიორგიმ ყოველივე თუმცა არ იცოდა, მაგრამ მის მიერ დამზადებულ ინსტრუმენტებს ეს არ ეტყობოდა. იგი ძირითადად პრაქტიკოსია და მყიდვარი გამოცდილება ავსებს ამ დანაკლისს. საჭირო თეორიულ საკითხებს რგი პრაქტიკულადაა დაუფლებული. მაგალითად, გიორგის მიერ კამერტონის გარეშე აწყობილი ვიოლონჩელით ხშირად პირდაპირ ორკესტრში შეესუღვართ. ვიოლონჩელის „ლა“ დანარჩენ სიმთა ზუსტად წყობით არ შემოივლია, რადგან პოპოლის მიერ მოწოდებული 440 ტალღის რხევის „ლა“-ს ზუსტად ემთხვევოდა.

ამ საკითხებში მას დიდად უწყობს ხელს ისიც, რომ მრავალი წლის მანძილზე სინებთან საკრავზე უკრავდა. აკუსტიკის ცოდნად გამოდინარეობს საკრავზე ჯორაკის დაყენებისა და „დუმიკის“ წერტილის პოვნაც.

გიორგიმ კარგად იცის, თუ ხის რომელი ჯიშისაგან საკრავის რომელი ნაწილი უნდა დამზადდეს, მერქანის რომელი მიმართულების ძარღვი უნდა იქნეს გამოყენებული საკრავის ამა თუ იმ ნაწილის დამზადებისათვის. იცის, რომ სასურველი ხე დეკუმპირენ ან იანვარში უნდა მოიჭრას და გამოშრეს დაუშვამებლად, გაუთლავდა. იგი დიდ მნიშვნელობას აძლევს ხის შრისაკენ მიმართულ ნაწილს. წინათ, თურმე, ზოგიერთი ხელოსანი ხის მშრალ მასალას ლაიფციგიდან, დრუნდენიდან და ვეროპის სხვა ქალაქებიდან იწერდა. გიორგი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში მხოლოდ ბორჯომის ხეობის მასალას იყენებდა. გარდა ბაკურანიანის ნეკრჩხლის, ნაძვისა და ფიჭვისა, ოსტატი საკრავთა დამზადებისათვის მთიანი რაჭის მსხალსა



გ. განვიძის მიერ აღღვენილი ა. ლასკოს ვიოლონჩელი

და შინდაც იყენებს, აფხაზეთის, კერძოდ ბზიფის ხეობიდან — ბზასა და ურთხმელს.

გიორგი არასოდეს არ ხმარობს დამზადებულ ლაქს, იგი თვით ამზადებს მოყვითალო ფერის გამჭვივალე ლაქს. საკრავთა ნაწილების შესაწებებლად იყენებს ხისა და თევზის წებოს. იმის მიხედვით, თუ რა საკრავის რომელი ნაწილი უნდა შეიწებოს. ოსტატი ძირითადად ახალციხის ძუას ხმარობს, რომელსაც გარეცხვის შემდეგ ძირითა და შაბით ამუშავებს. კლასიკური ფორმის ხემიანი საკრავის ყურადღებით დათვალიერებისას მას შეუძლია დაადგინოს ოსტატის მიერ საკრავის დამზადების ადგილი და დრო.

ნიჭიერმა ოსტატმა მრავალი წლის მანძილზე ენერგიული და დაულაღვი შრომით ბევრი რამ გააკეთა ქართული საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებისათვის. სასურველია, რომ გიორგი გაგნიძემ აღგვიზარდოს ამ საქმის მემკვიდრეები, რათა მათ მომავალში ღირსეულად გააგრძელონ კლასიკური ფორმის ხემიანი საკრავთა და საერთოდ ყოველგვარი სიმებიანი საკრავთა კეთება-შეკეთების საქმე. ამისათვის მას სათანადო პირობები უნდა შექმნას.

ამგვარად გიორგი გაგნიძე საქართველოს სახ. ხელოვნების მუზეუმში მუშაობს და ჩვეული ნეკრავით განაგრძობს საყვარელ საქმეს.



ფიზიოლოგიურად ასრულებს თავის ფუნქციას და თავისთავად განაგრძობს მუშაობას. შეგნება უკონტროლოდ არის მიტოვებული, მას არა აქვს განსჯის უნარი და მის სურვილებს შეგუებულად არეკლავს ადამიანის შინაგანი ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა.

ადამიანი არის ბუნებისა და საზოგადოების ფიზიკური და სულიერი ერთეული და დამოკიდებულია მის გარშემო არსებულ სინამდვილეზე როგორც ბუნების, ისევე საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართაც. ერთიც და მეორეც წარმოადგენს მისთვის ერთ მთლიან პარმონიულ სასიცოცხლო წყაროს. ბუნება და საზოგადოების ცხოვრების სინამდვილე მისი ასპარეზია. პირველს იგი ებრძვის, იგი ადამიანთა საკეთილდღეოდ რომ დაიმორჩილოს. მეორეს კი ემსახურება, შრომობს, რომ დაიკმაყოფილოს თავი, თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების ცხოვრების განვითარებაში.

სურვილები არსებობენ როგორც ფსიქოლოგიური, აგრეთვე ფიზიკური, როგორც მოქმედების საწყისი, რომლის საშუალებითაც ადამიანი აღწევს მიზანს.

ფსიქოლოგიური და ფიზიკური სურვილები ერთი მეორეს კი არ ეთიშება, არამედ ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, ერთიმეორისგან გამომდინარეობენ, ერთიმეორეს განამტკიცებენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხან ფსიქოლოგიური, სულიერი განწყობილება და მდგომარეობაა დგას წინა პლანზე, როგორც წამყვანი საშუალება, ხან კი, მეორე — ფიზიკური. ამ ორივე, როგორც ფსიქოლოგიურს, აგრეთვე ფიზიკურ სურვილებს საფუძვლად უდევს ერთგვარი გამომწვევი აღმგზნები ძალა: ადამიანის შერჩენებები, განცდები და ვნებები, გამოწვეული ცხოვრებიდან.

ადამიანში არსებობს ორი სახის ფსიქოლოგიური სურვილი: ერთია, როდესაც სუბიექტი მიმართავს საკუთარ თავს და აქედან გამომდინარე, თავისივე თავს ხდის ფსიქოლოგიური სურვილების ობიექტად, მეორეა, როდესაც იგი მიმართულია გარეშე არსებული ობიექტისადმი და აქედან გამოწვეული მიზეზების გამო ებადება ფსიქოლოგიური სურვილები.

პირველ შემთხვევაში, ასეთი მაგალითია „ორის გოდუნოვის“ სცენა, მონოლოგი ბუშკინის ნაწარმოებიდან, როდესაც გოდუნოვს ულანდება დმიტრის, ივანე მისისანეს შვილის მკვლელობა, „Чур, дитя“. მის მიერ წარსულში ჩადენილი ბოროტმოქმედება საშინლად სტანჯავს მას და მოსვენებას არ აძლევს.

მეორე მაგალითი: როდესაც სუბიექტი უკავშირდება გარეშე ობიექტს ე. ი. სხვა პირს ენაზე, ან სავანს, ან ორბელიმე მოვლენას ბუნებაში და იქიდან გამომდინარეობს მისი ფსიქოლოგიური სურვილი, ამის მაგალითია სუნათაშვილის „ლაღატი“, სახელდობრ ზეინაბისა და ოთარბეგის სცენა მეორე მოქმედებაში. ორი დიდებული დგას ერთი-მეორის წინაშე, შერცხვნილი, მორალურად განადგურებული, აღმოსავლურ ფარა-აბრეშუმში მორთული, საქართველოს ყოფილი დედოფალი, ჩადრში გახვეული სულიერ-ხანის სამარცხვინო სასა.

მეორეს მხრივ კი ოთარბეგი დგას, ერთ დროს თავისუფლებისმოყვარე რაინდი, ფეოდალი, სამშობლოს ერთგული შვი-

# მსახიობის ოსტატობის უესსეა

შოთა აღსაბაძე



სურვილი და მდგომარეობა მთავარ, წამყვან საშუალებას წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებაში, აგრეთვე მსახიობის ხელოვნებაშიც. ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ყოველ წუთს და წამს ამოქმედებს სურვილები და მდგომარეობანი.

ადამიანს სურვილები არ გააჩნია მხოლოდ მაშინ, როდესაც სინავეს, ან გულშეღონებულია და ველარაფერს გრძნობს. თუმცა უკანასკნელ ორ შემთხვევაში, ნაწილობრივ არსებობენ შეუცნობელი და ფსიქოლოგიური სურვილები და განცდები, ასეთ დროს უმადლესი ნერვიული სისტემა მხოლოდ

ლი, თავისი რჩეულისა და ქვეყნის დამცველი, ასლა ქედმოსხროლი, მონად ქცეული.

ზეინაბი მხოლოდ გარეგნულად დაემორჩილა ბედს, შინაგანად კი წვილის განმავლობაში შურისძიების სურვილი ასაზრდოვებდა.

ოთარბეგი ყოველდღეობა იმედი დასრულებული ჰქონდა, აღარცაფერს აღარ სურვოდა, მხოლოდ ხანისადმი ერთგულებით ცდილობდა საკუთარი ბრწყინვალე მდგომარეობის შენარჩუნებას. ქეთესა და ღვიზონში ისინობდა დარდს. ზეინაბმა გადაწყვიტა ოთარბეგი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენოს ან უნდა დაემორჩილებოდა სოლეიმან-ხანს, ან განფთვოდა, რათა გაინე გადაერჩინა.

ზეინაბი ოთარბეგის მერყეობით სარგებლობს და ცდილობს მის გადომორებას. ამ მიზნით უამბობს თავის სასწინელ წარსულს, როგორ იტანჯებოდა ამ ოცი წლის განმავლობაში.

ოთარბეგი ზეინაბს ცეითხება, როდესაც იგი მარტო რჩებოდა შახთან, დრო რატომ არ იხელათ და მიძინარს გული არ გაუტო ხანჯალით. ზეინაბს ეს არ აკმაყოფილებდა. ეს მხოლოდ პირადი შურისძიება იქნებოდა. მას სურდა სოლეიმან ხანი საქვეყნულ შეერცხვინა, დაემცირებინა, გაენადგურებინა ისე, როგორც ეს მას 20 წლის წინათ ჩაიდინა მის მიმართ. ამიტომ მოუწოდებს იგი ოთარბეგს მხარი დაუჭიროს; მთელი დღის შუად არის, რომ აღდგეს და შეებრძოლოს მტერს და განადგუროს იგი სამშობლოდან. თავდაპირველად ოთარბეგი ყოყმანობს, მაგრამ როცა იგებს, რომ მეტეჯერე ცოცხალია, რომ იგი ანაინამ გადაარჩინა, ოთარბეგი მუხლს იდრგეს დედოფალ ზეინაბის წინაშე, რათა ყველა მისი სურვილი შეასრულოს.

ზეინაბმა თავის უდიდესი სურვილი, ის ზემოცანა, რომელიც იგი წლის განმავლობაში ცხოვრობდა შეასრულა.

ეს ორი მაგალითი იმის მარყვებელია, თუ როგორი ფსიქოლოგიური სურვილები და მოქმედებები მდგომარეობანი არსებობენ ცხოვრებასა და მსახიობის ხელოვნებაში.

პირველ შემთხვევაში „პირის გოდუნოვი“ მისი პირადი ფსიქოლოგიური სურვილი თვით მისსავე პროგნოზშია. ამიტომ სუბიექტი თავისივე თავს საკუთარი განცდების ობიექტად ხდის.

მეორე მაგალითი კი „ღალატინა“ა, როდესაც ფსიქოლოგიური სურვილი და მოქმედები მდგომარეობა დამოკიდებულია სხვა ობიექტზე.

ფიზიკური სურვილი. ვ. ე. ფიზიკური ამოცანა, არის ისეთი გარეგნული ნიშანი, რომლითაც ადამიანი მოქმედების საშუალებით ასახავს თავის საქმიანობას.

ფიზიკური სურვილი არის ადამიანის შინაგანი ფსიქოლოგიური ცხოვრების ანარეკლი. მისი გარეგნული კონკრეტული ფორმა, რომლითაც ასახავს იგი თავის განცდებს, შეგრძნებებს იმ გარემოში, იმ მოქმედებებში მდგომარეობაში, როგორც იმ დროს არის.

ფიზიკური სურვილების ამოცანები წარმოადგენენ ისეთი გარეგნული ნიშნების სქემას, რომელნიც ნათელს ჰყენენ და თვალსაჩინოდ ხდიან ადამიანის შინაგან ბუნებას, მის განცდებს, შეგრძნებებს, აზროვნებას, წლოვანებას, ეროვნებას, პროფესიას, კულტურულ და ოჯახურ, სოციალურ მდგომარეობას.

ობას, საერთოდ, ადამიანის ხასიათის და ამ ნიშნების საშუალებით ის ხდება სხვა ადამიანებისათვის ცხადი.

მაგრამ ხელოვნებაში მხატვრული სახის შექმნის დროს ის წინასწარ შეგნებულად ქმნის იმ გარეგნული ფიზიკური სურვილების გამოხატვლად ნიშნებს, რომლის საშუალებითაც აკონკრეტებს არსებული სახის ფიზიკური სურვილების ამოცანებს, გამოდინარე თვით პიროვნების ცხოვრების სინამდვილიდან.

თუ ცხოვრებაში ფიზიკური სურვილები და ამოცანები თავისთავად იქმნებიან და სინამდვილიდან გამომდინარეობს, ხელოვნებაში წინასწარ, შეგნებულად, შემოქმედებითი პროცესის დაკვირვების შედეგად ხდება. იგი წარმოიქმნება ზუსტად შეფასებული მოცემული მდგომარეობების, სახის გამჭოლად და ზემოქანის მიგნების შედეგად: ადამიანის შინაგან, ფსიქო-ფიზიკური სურვილების ბაზაზე მსახიობი აყალიბებს იმ გარეგნული ფიზიკური ამოცანების ნიშნების სქემას, რომელნიც მოქმედებენ სიმართლით, თითქოს იგი სრული ჭეშმარიტება და სინამდვილე შეიფიქროს.

ეს გარეგნული, ფიზიკური ნიშნები იგივეა, რაც მუსიკოსებისათვის საწოლ სისტემა. ისინი ან ვოკალით, ან რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტით შეგნებულად ასახავენ იმ მგლოდას, რომელიც უკვე იგულისხმება ყოველი ნოტის ნიშანში: იგულისხმება მისი შინაგანი სულიერი განცდების ემოციური განწყობებისა, რიტმი და ტემპი, შეგრძნებები და განცდები — მხარულება იგი თუ სველიანი, მხედრული თუ საცეკვაო, საკლესიო რელიგიური, თუ საერო ძანებები, საღვინო, ან ტრფობის, გმირული თუ ტრაგიკული, ან ლირიკული. ყოველთვის ეს საწოლ ნიშნებში აკის მოცემული და მთლიანობაში პარმონიულად, მთელი ნიუანსებით ასახავს ნაწარმოების შინაგან მუსიკალურ არსს.

ასევე ადამიანის მეტეჯერელების ფსიქო-ფიზიკური სურვილების ნიშნებიც, ყოველ ასოში, როგორც თვითველ ნოტაში და მთელ სიტყვაში, მოცემულია მისი აზრი და დანიშნულება, შეგრძნება, განცდა, სურვილი, მისწრაფება ობიექტის ან სუბიექტის მიმართ, როგორც არის იგი სინამდვილეში, ან მწერლის მიერა აღწერილი. თუ სინამდვილეში ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვა და გარეგნული მოქმედების ფიზიკური ნიშნები თავისთავად, მის შეუმჩნელებად იქმნებიან, როგორც ანარეკლი ადამიანის შინაგანი ცხოვრებისა, მისი შეგრძნებისა და განცდების შედეგად, ხელოვნებაში, ეს მსახიობი იქნება, თუ მხატვარი, მუსიკოსი, მწერალი, მოქანდაკე, თუ სურათმწილობრი, წინასწარ სჭიორდება ასეთი ფიზიკური გარეგნული ნიშნების გამოცხადება, რომელნიც სწორად, მთელი სინამდვილით ასახავენ არსებულ სახის შინაგან ფსიქოლოგიური და ფიზიკური სურვილის ზემოქანას.

ხელოვნებაში წინასწარ, მაკაფოდ უნდა იყოს განსაზღვრული რომელი განცდებია წინა პლანზე წამოსაწევი და რა არის ამჟამად მოვარის, სულიერი, ფსიქოლოგიური, თუ ფიზიკური ამოცანა. ორივეს ესაკირობდა ისეთი გარეგნული ნიშნის გამოცხადება, რომელნიც სწორად ასახავენ მათ შინაგან არსს.

ფიზიკური სურვილი ისეთი ამოცანაა, რომელიც მხოლოდ მოქმედების საშუალებით შეიძლება შეასრულოს ადამიანმა.





მაგალითად, შეჯიბრია, სპორტსმენმა უნდა გაიაროს ის ორი კილომეტრი ფინიშამდე. აქ ფსიქოლოგიური სურვილია, რომ პირველი მივიდეს ფინიშამდე და სანამ რბენას დაიწყებდეს მას შინაგანი ფსიქოლოგიური სურვილები აწუხებენ. ის ღელავს და დაბალ მდგომარეობაშია, რადგან არ იცის ამ შეჯიბრებას რა შედეგი მოჰყავს სტარტამდე. ეს შერბნებები და განცდები წინა პლანზეა, მაგრამ როდესაც წინაშე მისდგენ და დაიძვრება ადგილიდან, მისი ფსიქოლოგიური სურვილი იქცევა ზეამოცანად, როგორც სიმბოლო მისი მისწრაფებისა. იგი ფინიშისაკენ მთელის არსებით მიიღრეს და იმისათვის, რომ ფსიქოლოგიური სურვილი შეისრულოს მას ამოცანა ფიზიკურ სურვილზე, მოქმედებაზე გადააქვს. რადგან მხოლოდ სისწრაფის შეუღლა მინიმუმს გამარჯვება. აქ უკვე ფიზიკური სურვილი მთელი პლანზე გადადის და ოდნავ მოჩანს მისი ანარგული, ჩქარა სუნთქავს და ცდილობს დასვენებას. მისი ფსიქოლოგიური და ფიზიკური სურვილები ერთ მთლიანობაში ასახავენ ან გამარჯვებას, ან დამარცხებას.

2. მგზავრი მიდის მატარებელი უბილეთოდ. მისი ფსიქოლოგიური და ფიზიკური სურვილია, რომ კონტროლიორს არ ჩაუვარდეს და როგორმე თბილისიდან გორში ჩავიდეს. ეს არის მისი ზეამოცანა. ამის გამო შექმნილი მდგომარეობის მიხედვით ისე მოქმედებს, რომ შეუწინეველად დაიძალოს. აქ, ამ შემთხვევაში ფიზიკურ სურვილებს ეძლევა პირველი ადგილი.

ცხოვრებაში ხშირად ხდება, როდესაც ფსიქოლოგიური სურვილი ფიზიკურ სურვილში გადადის ან პირიქით.

მაგალითად: თქვენ ჯილდოს მისაღებად მოწვეული ხართ სახელმწიფო დაწესებულებაში დღის 12 საათისათვის. იმ დროს ეს ფსიქოლოგიური სურვილი თქვენთვის უმაღლესი ამოცანაა. ვახარებელი ხართ, თავს ბედნიერად გრძნობთ. სახელდება 11 საათზე გამოდისათვის და ისიც იცით, რომ დაწესებულებამდე მისვლისათვის 20 წუთია საჭირო. ამიტომ საკმაოდ დრო გაქვთ, მიემართებით დინჯად, ესაუბრებით წაენობებს, მაგრამ შემთხვევით ივბთ, რომ 12-ს სურთ წუთი ალღა. თქვენდა უნებურად მოცემული მდგომარეობა იცვლება. იცვლება ფსიქოლოგიური სურვილიც, რადგან გაკაიანდებათ. შეგობარს, რომელსაც ასე სიამოვნებით ესაუბრებოდით, სწრაფად ეთხოვებით და შეიძლება ხელიც ადარ ჩამოართვათ და იმი გაიქცეთ. აქვე ფსიქოლოგიური სურვილი ფიზიკურ სურვილში გადადის. აქ უკვე ფიზიკურ სისწრაფის იძლევა მთავარი მნიშვნელობა. გაიბნაბრთ და გასადაგა მრავალი დამრკოლება გეძლევათ. ტროლიბუსს შეასკობთ, ასვლის დროს ვილავს მხარი გაკართი, მგზავრმა უხეშად გიპასუხათ, თქვენც გამოუპასუხებთ. მაგრამ მინაც მოხდით ტროლიბუსში, ახლა მთელი თქვენი ყურადღება ტროლიბუსის მძღოლისკენა მიჰყარობთ. გუშნებაში გამოთქვამთ უკმაყოფილებას, რომ მძღოლის ისე ჩქარა არ მიჰყავს ტროლიბუსს, როგორც ეს თქვენც გასურთ. ახლობლოდ მოდისართ სასურველ გაჩერებამდე, ჩამოხდისართ, არბიხართ კიბეზე და შედისართ ვესტიბულში. გასახდელში

დაინახათ კედლის საათს, რომლის ისრები თორმეტისნახევარს უჩვენებენ.

ამ ახალმა შექმნილმა ვითარებამ მოლად შეცვალა თქვენი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. აქტიური ფსიქოლოგიურ განწყობილებიდან მშვიდ და დადინჯებულ მდგომარეობაში გადადისართ. ახლა გულში გეცინებათ, რომ შექმნილ და ასე ბავშვითი რბინობით. ახლა უკვე დრო გვერეი კაცით და ისევე ახალი ამოცანის წინაშე დგებით. ეს არის დროის მოკალის სურვილი, რომელსაც სათანადოდ ესაუბრება ფიზიკური მოქმედების ამსახველი ლოდინის ჩარეგნული ნიშნები.

ადამიანი რომის პროცესში პირველ პლანზე გამოყოფს ფიზიკურ სამოქმედო სურვილებს ამოცანებს. ამით იგი ისრულდება თავის ფსიქოლოგიურ სურვილს და ამიტომ მისი ფსიქოლოგიური სურვილია წინა პლანზე, ხან კი ფიზიკური.

ფიზიკური სურვილების ამოცანები წარმოადგენენ იმ ქარგას, რომელზედაც ისახება ადამიანის შინაგანი ფსიქოლოგიური სურვილების ამოცანები, მისი მისწრაფებანი, შერბნებები და განცდები, გამოწვეული ცხოვრების მიერ და რომელნიც ასახავენ ადამიანის აზრს, მის განწყობილებას ობიექტის მიმართ.

ფსიქოლოგიური სურვილები ადამიანის სულიერი სამყაროს ამსახველი ნიშნებია, ფიზიკური კი, მისი მოქმედების გარეგნული ნიშნები. ორივე ერთად გამომდინარეობენ ერთი სათავისად, ადამიანის გონივლიდან.

ფსიქოლოგიური სურვილი არცელებს ადამიანის შინაგან ბუნებას, მის შერბნებებს და განცდებს, ფიზიკური კი გარეგნულს. ისინი ერთი-მორცე ვისახავენ და განამტკიცებენ მთელი სიცოცხლის მანიღულზე, სანამ არსებობს იგი.

ხელოვანი ობიექტები პიროვნება ცხოვრების სინამდვილეს და მხატვრული სახის შექმნის დროს. პიროვნების სურვილებს და მოცემული მდგომარეობებს აწვავადებს და ტიპური მოვლენად გარდაქმნის, რომ მხატვრულად მისაღები და დამაჯერებელი იყოს. ამიტომ შემოქმედი სხვის სურვილებს და მოცემულ მდგომარეობებს ხდის თავის სურვილად და ისე მოქმედებს, როგორც ცხოვრებაში. რაც უფრო ახლოა სინამდვილესთან, მით უფრო მაღალია მისი ხელოვნება.


ამიტომ ხელოვანი, მეტადრე მსახიობი უნდა კარგად იცნობდეს იმ სახეს, რომელსაც ანახივებებს.

მსახიობი, ყველა ხელოვანი ან აუცილებელი საშუალებებით სარგებლობს, რომ შეუცდომლად, სწორად შექნას მის მიერ დასახული სახე და მოახდინოს ზეგავლენა საზოგადოებაზე.

არსებულის სახის სურვილების შერბნება და მოცემული მდგომარეობის ნამდვილი ათვისება მსახიობისათვის მთავარია როლის მომზადების და ჩამოყალიბების დროს. შეცდომის დაშვება ისევე სასაკვილოა ხელოვანისათვის, როგორც ცხოვრების სინამდვილეში ადამიანისათვის.

მასხადამე, ხელოვანისათვის, ისევე როგორც ცხოვრებაში ადამიანისათვის, სწორად და ზუსტად უნდა იყოს შერბნებული და შეფასებული სურვილები და მოცემული მდგომარეობანი, რომელნიც მას თან ახლავს. მსახიობი მხოლოდ მაშინ შესძლებს მიაღწიოს უმაღლესი შემოქმედების მწვერვალს, რის შედეგადაც იბადება დიდი და ნამდვილი ხელოვნება.






„მურაბე“

## კოტე კვალიაშვილის

„სოფლის გზა“



„განთიადი“

## ნ ა მ უ შ ე ვ რ ე ბ ი


საქართველოს ბელოვების მუშაკთა სახლში მოეწყო თეატრალური და კინო-მხატვრის კოტე კვალიაშვილის ნაწარმოებების გამოფენა. მასზე წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ისევე თეატრალური დაღმგებისათვის. ვაჟეენებთ ამ გამოფენიდან რამდენიმე ექსპონატის ფოტორეპროდუქციას.

კ. კვალიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენის ერთი კუთხე



6579

ესკიზები ფილმებისათვის „შავი უდიდებულესობა“ და „მამ“ (ტვივით)



9/10 31  
S. M. J. J. J.



de m'ieu  
moquel!

# სერგეი ვიზანუბაინის ბანუხორცილავალი ბაბაჟი

ირინე რატიანი

**ბ**

ამომცემლობა „ისკუსტ ვო“ აქვეყნებს სერგეი ვიზანუბაინის რჩეულ ნაწარმოებთა ექვსტომეულს. ამ გამოცემაში ავტორის თეორიული ხასიათის წერილებისა და ავტობიოგრაფიული სტატიების გარდა მკითხველი გაეცნობა კინემატოგრაფიის უდიდესი ოსტატის მრავალ განუხორციელებელ ჩანაფიქრსაც. კერძოდ, დიდ ინტერესს იწვევს მასალები იმ ფილმისა, რომელიც უნდა მიძღვნოდა დიდ რუს პოეტს ალ. პუშკინს.

აღსანიშნავია, რომ თვით პუშკინი თავის უკვდავ ნაწარმოებებში „ბორის გოდუნოვი“ და „მოცარტი და სალიერი“ მტკიცედ როლი მისდევდა ისტორიულ ფაქტებს. იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილად გამოეკვლინებინა თავისი გმირების ბედის ფილოსოფიური აზრი, პუშკინი თავისებურად უღვებოდა ხოლმე მათი ბიოგრაფიის ზოგ მომენტს. ანალოგიურად სურდა გადაეწყვიტა ეიზენშტეინსაც ფილმი პუშკინზე.

რეჟისორის ჩანაფიქრის მიხედვით ამ ფილმში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კინემატოგრაფიის ისტორიაში თითქმის მანამდე არნახული, დრამატული როლი უნდა ეთამაშა ფერს. ფერის მოძრაობას მხიარული გამიღან (ფილმის დასაწყისში) მუკი და პირქეში ტონებისაკენ (ფილმის დასასრულს) უნდა გამოეხატა პოეტის ტრაგიკული ცხოვ-

რება. სურათში ერთ-ერთი წამყვანი უნდა ყოფილიყო თემა პოეტის ერთადერთი სიყვარულისა ეკატერინე კარამზინასადმი, რომელიც მწერალს და ისტორიკოს ნიკოლოზ კარაშჩინის მეუღლე იყო. ამ როლზე რეჟისორს გადაწყვეტილი ჰქონდა მოეწვია ცნობილი ბალერინა გალინა ულანოვა. საინტერესოა, რომ მასვე უნდა ეთამაშა პუშკინის მეუღლის ნატალია გონჩაროვას როლიც.

მომავალი ფილმის დრამატურგიაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნებოდა მუსიკას. იგი უნდა დაეწერა გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორ სერგეი პროკოფიევს, რომელთან ერთად შექმნა ეიზენშტეინმა თავისი შესანიშნავი ფილმები „ალექსანდრე ნეველი“ და „ივანე მრისხანე“.

1929 წელს ს. ეიზენშტეინმა განიზრახა ცნობილი „შავი კონსულის“ ტრენსლუვერტიურისა და მისი თანამებრძოლის დესალინის არაჩვეულებრივად დრამატული ბიოგრაფიების ეკრანიზება. მე-18 ს. დასასრულს, საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს, კუნძულ ჰაიტის მოსახლეობამ მონობა დაამხო და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მაგრამ მათ წინააღმდეგ ერთხმად აღსდგნენ შაჰის მწარმოებლები და პლანტაციის მფლობელები. ზანგი დელეგატები, რომლებიც



პარიზს ჩაეიდნენ მოსალაპარაკებლად, მოკლეს. მხოლოდ ორი გადარჩა და დაბრუნდა კუნძულზე. ერთ-ერთი იყო ტუსენ ლუვერტიური. სწორედ იგი და მისი თანამებრძოლი ჯაკ დესალინი ჩაუდგნენ სათავეში აჯანყებას და საბოლოოდ მიაღწიეს კიდევ პაიტის განთავისუფლებას. ასე გახდა ტუსენი კუნძულის გენერალ-გუბერნატორი ანუ „შავი კონსული“, როგორც მას შეარქვეს. მაგრამ საფრანგეთში ხელისუფლების სათავეში მივიდა თუ არა ნაპოლეონი, პაიტზე დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნა. ფრანგმა ოფიცრებმა „შავი კონსული“ თავიანთი გემზე მიიწვიეს, ვითომდა მოსალაპარაკებლად, და წაიყვანეს საფრანგეთში, სადაც დაიღუპა კიდევ. მის შემდეგ პაიტის გენერალ-გუბერნატორი გახდა დესალინი. ამ მამაცი და გმირი ადამიანის როლი, ეიუნშტიინის აზრით, პოლ რობსონს უნდა შეესრულებინა.

იმავე წელს, ეიუნშტიინმა ბ. სანდარარის რომანის „ოქროს“ მიხედვით დაწერა სცენარი კაპიტან ჯონ ზუტერზე. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელმა 1838 წ. კალიფორნიამ დააარსა კოლონია, რომლის მიწაზეც ათი წლის შემდეგ, 1848 წ. ოქრო აღმოაჩინეს. „კაპიტანის ეს რომანტიკული ბიოგრაფია ამერიკაში მინდოდა დამედეგა კინოფირმა „პარამაუნტში“ — იგონებდა დიდი რეჟისორი. მას სურდა ეჩვენებინა პატრიარქალური კალიფორნია, დამღუპველი როლი მის წიაღში ნაპოვნი ოქროსი, რომელმაც საბოლოოდ დაღუპა კიდევ ზუტერიც და მისი ადგილმამულიც. 1848 წ. ოქროს ციხე-ციხელებამ კალიფორნიაში თავი მოუყარა ძვირფასი ლითონის ასიათასობით მაძიებელს. ამ ზარბი და უგუნური ადამიანების ფეხებზე ითვლება ზუტერის მიწა, მისი ძვირფასი ბაღები და ნათესები. ოქროსმაძიებლების შემოსევისა და მისი მიწების თვითნებურად მთივისების საპასუხოდ ზუტერი უკანასკნელ ძალებს იკრებს და იწყებს სასამართლო პროცესს. მაგრამ ამჯერად კალიფორნიას ახალი ხროვა შემოესევა — ათასობით შავი სურთუკი და ცილინდრი (ასეთი იყო 50-იანი წლების ადვოკატთა კოსტიუმი). მზადდება ომი, მთელი ქალაქის ომი ერთი კაცის წინააღმდეგ, ომი,

რომელიც მთავრდება იმით, რომ კაპიტან ზუტერს საკუთარი ძეგლის პედესტალთან შიმშილისაგან ამოძვრება სული.

ეიუნშტიინის სცენარში „ზუტერის ოქრო“ საშუალოზე იყო გამოტანილი ბურჟუაზიული ძალმომრეობის მთელი არსი, ტრაგედია „ოქროს ციხეცხელუბაში“ ჩათრეული კაცისა. ამიტომ, ბუნებრივია, კინოკომპანია „პარამაუნტმა“ უარი თქვა სცენარზე. იგივე ბედი ეწია სცენარს „შავი უდიდებულესობა“, რომელიც ერთბაშე რეჟოლუციური გამოდგა პოლიველდისათვის.

1932 წელს ეიუნშტიინი გამოემხურა საბჭოთა პრესის მოწოდებას საბჭოთა კინოკომედიის შესახებ და დაიწყო მუშაობა კომედიურ მიმოხილვაზე მ მ მ (მაქსიმ მაქსიმოვიჩ მაქსიმოვი), მაგრამ მალე შეწყდა და აღარც გაგრძელბულა.

ეიუნშტიინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფილმის გამომსახველობით მხარეს, რადგან სამართლიანად სწავდა, რომ ფილმი მით უფრო ემოციური და გასაგებია მაყურებლისათვის, რაც უფრო ნათელი და სრულყოფილია მისი გამომსახველობითი ფორმა. ეიუნშტიინმა ჯერ კიდევ სცენარზე მუშაობისას ჩაინიშნა თავისი პირველი შთაბეჭდილებანი, რომლებიც მომავალი ფილმის მოფიქრების პროცესში დაებდა. ასე შეიქმნა მთელი სერია მოქმედ პირთა ესკიზებისა და გრაფიკული ჩანახატებისა.

მათ შესახებ თვით ეიუნშტიინი წერდა: „Рисушки — это зародыши пластического образа будущего фильма. Иногда первый ухватченный на бумаге камень докрасает до экрана, — иногда сбивается с пути, иногда видоизменяется от встречи с непредвиденным актером. Но и в этих случаях он в законченной вещи передает — пусть иными средствами, пусть иным путем — то ценное и дорогое, что было в самые первые встречи с теми явлениями, которые мечтаешь увидеть на экране“.



"OLACK MAJESTY" L. P. 5000  
D'AMOUR  
C. C. C.

ესკიზები ფილმებისათვის „შავი უდიდებულესობა“.





# ქართული

# საკვოთა

# კოედიის

# სათაყეაბთან

შალვა მაჭავარიანი

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი



ქუთაისის — მათუმიის სახელმწიფო აკადემიურმა დრამამ თავისი პირველი სეზონი დაიწყო. ეს იყო 1928 წელს. ქართული დრამატურგია გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა თანამედროვეობის მხატვრული ასახვის სფეროში. მართალია, ქართულ სცენაზე, ადრინდელ სეზონებში განხორციელდა რევოლუციური ქვრადობის დრამებიც (კ. შინაიშვილის — „მათაბის პანაშვიდი“ პ. კაკაბაძის „ლისაბონის ტუსაღები“) და კომედიებიც, რომელთაც თანამედროვეობის აღქმის პრეტენზია ჰქონდათ (ნ. აზიანის „დუნებრტრკა“, ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“ და „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“ და სხვ.), მაგრამ სერიოზული ლი-

ტერატურული ღირებულების, მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის, ახალი სოციალური ყოფის მწვენიელი ადამიანების დიადი მოღვაწეობის ამსახველი ეპიური ტილოები ჯერ კიდევ ელოდა თავის ტუმარიტ შემოქმედს. ნ. აზიანისა და ნ. შიუკაშვილის აშკარად ვოდვეილის ფორმაში ჩამოყალიბებულმა ნაწარმოებებმა ვერ შექმნეს და ვერ დააკანონეს საბჭოთა კომედის ფორმები. ამ მხრივ პირველ ცდას, წარმატებით დაევირგინებულს წარმოადგენდა შ. დადიანის პიესა „კაკალ გულში“, რომელმაც სცენაზე გამოიწინისთანავე დაეა, აზრთა შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ეს ბუნებრივია: „კაკალ გულში“ მახვილი სატირული კომედია იყო, რომელიც შეუბრალებლად აძხვლდა იმდროინდელ საბჭოთა აპარატში არსებინად მოკალათებულ, სასოგადოებრივად მავნე და ბიუროკრატიულ ელემენტებს, მათთან ერთად ზოგიერთ უსაქმურსა და დოცლაპია საბჭოთა მუშაკსაც, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ მავნე ელემენტების პარაზს და არ შეიძლებოდა ეს მართლაც კაკალ გულში არ მოხვედროდათ არა მარტო მათ, არამედ იმათაც, ვისაც ამ მავნე ელემენტებთან ბრძოლა ევალებოდა.

შალვა დადიანს ადრეც უცდია საბჭოთა სინამდვილის თემაზე კომედიის შექმნა. მას 1925 წელს დაუწერია „კაკაი“, 1926 წელს ლინტოტო — „ოქლამვილი არსება“, 1927 წელს კი 3 მოქმედებანი პიესა „უნუქის ანდემი“, მაგრამ არცერთი მათგანი ვოდვეილურ ფორმას არ გასცილებია. „კაკალ გულში“ ამავე ავტორის პირველი სერიოზული განაცხადია საბჭოთა სატირული კომედიის ფორმების შექმნასა და ჩამოყალიბებაზე. ამ ნაწარმოებით შალვა დადიანი ქართულ დრამატურგის მოველინა საბჭოთა სატირული კომედიის საფუძვლის დამდებად ისევე, როგორც 20-იანი წლების რუსულ დრამატურგიას ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვ. მაიაკოვსკი თავისი „ბაღინჯოთი“ და „აბანოთი“.

20-იან წლებში ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო კვალიფიციური სპეციალისტების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. ამიტომ საბჭოთა დაწესებულებებში უხვად გაძრწენ ჩვენი სინამდვილისადმი აშკარად მტრულად განწყობილი უქნარა ბიუროკრატიული ელემენტები, ბიროტკომუქები და მექრთამეები. ამიტომ იყო, რომ პარტია ამ პერიოდში ფართოდ იყენებდა საბჭოთა აპარატის „წმენდის“ მეთოდს. შ. დადიანის კომედიაში სატირული კოლონია ამ ფონზე იშლება. ერთ-ერთ დაწესებულებაში, რომელიც ძალზე დახვედნიებულია საბჭოთა ხელისუფლებისდმი მტრულად განწყობილი ბიუროკრატიული ელემენტებით, ახალი უფროსი დაინიშნა, ძველი რევოლუციონერი — ჭალარა. მას განზრახული აქვს დაწესებულების სრული გარდაქმნა, მაგრამ, დაწესებულების ახალ ბინაში გადასვლისთანავე, რომლითაც იწყება პიესა. ჭალარა მოსკოვში გამოიძახეს და დაწესებულება მისი უფიცი და უქნარა მოადგილის კვეყნადის ანარა რჩება.

შემდეგ ავტორს, ფრიად გაბედული სატირული-კომიკური პერიპეტების შექმნით, ასახული აქვს თუ როგორ ახერხებენ საბჭოთა სინამდვილისათვის მავნე, მტრული ელემენტები, ჭალარას აღზრდელის, პროვინციელი მუშანი თბივატელის მაკას ხელშეწყობით დაცემამდე მიიყვანენ დაწესებულება. ჭალარას არყოფნის პერიოდში დაწესებულებაში ულისცილიონობა და უქნარობა, მექრთამეობა, პროტექცია და ძმამბობა მტრდონება, ჭალარას უქნარა და დებოი მოადგილის კვეყნადის, დაწესებულების განყოფილებათა გამგებების მენწვიეკ გოროლაჟას, ტრაბაზსა და უქნარა რინკველის, მექრთამე პარასკიდის სახეები — დრამატურგს საოცარი მხატვრული მიზმიბივლოებით აქვს დახატული. თვითონვე მათგანი თავისი დამიანური ინდივიდუალიზმით ხსათადება და ბრწყინვალე ფსიქოლოგიური სისრულეობით აღიქმება. პიესის სატირული ნაკლი არის, რომ უარყოფით პერსონაჟთა სუსტი სოცლებილი დახასიათების გვერდით დადებითი პერსონაჟები, რომლებიც



თავგამოდებით ებრძვიან ამ უარყოფითს (ჭაღარა, მარო) ფრიად სექტანტური გამოყენებები და ნაკლებდამაჯერებელი. საკმის ვერ უშვავს პიესაში, მსუბუქი კავალერისი<sup>1</sup> შემოყვანაზე. ამით ავტორს სურდა ეჩვენებინა საბჭოთა სინამდვილისათვის უცხო, მტრული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში კომპაგნიების ხელმძღვანელი როლი და ნაწილობრივ მიაღწია კიდევ მიზანს, მაგრამ რამდენადაც ეს ბრძოლა კეთილსინამდვილის ბოროტების წინააღმდეგ ფრიად სუსტად გამოვლინდა კონკრეტულ მსატრეულ სახეებში, მსუბუქი კავალერისი<sup>1</sup> განხილვად გამოვიტყუო სიმბოლიური გამოსახვა, რაოდენ აქტიურიც არ უნდა ყოფილიყო იგი ცხოვრების მახინჯ მხარეების წინააღმდეგ ბრძოლაში, საკმის ვერ შეუღალა. კვეციანის, ირინკველის, გონიშვილის, პარასკიძის, შავას, ირასლის თუ სხვა, მსატრეული გიტაკეებით დახასიათებული უარყოფითი პერსონაჟების წინააღმდეგ, საჭირო იყო ასევე მსატრეულად სრულქმნილი, კონკრეტული დადებითი პერსონაჟების გამოყვანა, შეპირისპირება. ეს სერიოზული ნაკლი იყო პიესისა, რომელიც ქართულმა საბჭოთა კომედიაში კარგა ხნის მანძილზე ვერ გამოასწორა.

პიესის დამდგემლმა კოტე მარჯანიშვილმა, ახალგაზრდა მსატრეულმა პეტრე ოცხელმა და კომპაქტურმა თამარ ვახვახიანიშვილმა მსუბუქი, კომპაქტური გადაწყვეტა მოუხატეს პიესა და ამით იგი მომხიბლვე და მართალ სცენიურ სანახაობად ააქვლეს.

საექტაკლო დაწესებულების ახალ ბინაზე გადასვლით იწყებოდა. პარტერში შემოსასვლელი კარიბიდან მდიდრდენი მკურნალები მუშები, რომელთაც დაწესებულების ინვენტარი, საწერი მაგიდები, სავარძლები, კარაფები ჰქონდათ აიღებდნენ ზურგზე და ამ სიმძიმის ქვეშ ოთხად მოკეცილი რიტხული სინდრით მოემართებოდნენ სცენისაკენ. სცენა მთლიანად ანატომიურული იყო რაიმე „მძიმე არტერიისი“ განლაგებისაგან. იქ ვერ იპოვიდით ვერცერთი გრანდიოზული დასაწყობიანებას. შავი ხავერდის ფირფიტა ერთადერთი ჩინური შირამი იდგა, დივანი და ჭერიდან ჩამოშვებული დიდი ჭალი, სამთავე სახლის პატრონ მარტროსიანისაგან „მემკვიდრეობით“ მიღებული. სცენის სიღრმეში, მასურებისათვის თითქმის შეუმჩნეავდა ერთი პატარა, ბოროტულ შეყვებულ მოედანი იყო, რომელზეც საწერი მაგიდა და ცხაბი იდგა დაწესებულების განყოფილების იმ გამგის გვარის წარწერით, რომლის კაბინეტიც უნდა გამოესახა საჭიროებისდამხივდებით ამ დანადგარს. მოქმედება ძირითადად კანცელარიაში მიდიოდა საწერი მანქანის რიტხით ავლერებულ მემანქანე ჭალა სიმფერისა და ფოქსტროტის ცეკვის ფონზე, რომელზედაც ხდებოდა აგრეთვე „დეკორაციის ცვლა“. მემანქანე ჭალები, ფოქსტროტის ცეკვით ცოცხალ თევზის აკეთებდნენ, ამ ფონზე წინ წამოვიდნენ ზემალინიშნული დანადგარი და რიცა დაწესებულების თანამშრომლები კლავე განლაგდებოდნენ სცენის ორთქლ მხარეს, შუა ადგილზე განყოფილების რომელიმე გამგის კაბინეტი იყო უკვე მოთავსებული. ეს მეტად მოხერხებული ცვლა მოქმედების ადგილის დინამიკობას მატებს და საექტაკლოს, სიმსუბუქესა და სიხალისეს ანიჭებდა მას. საექტაკლოში საოცარი მსატრეული წვდვით იყო ასახული მთელი რესპერტივობა და ჯაოსი, რომელიც ბატონობდა ამ დაწესებულებაში, მაგრამ ეს უწყსრივობა ისეთი მიმხივდელი სცენური დინამიკურობით და რიტმით, ისეთი წარმავალი მსატრეული ნაირფერობით იყო მოტანილი, რომ არ შეიძლება აღტაცებაში არ მოყვანათ რეჟისორის ფანტაზიის სიმდიდრეს, გემოვნებას.

კოტემ სრულიად შეგნებულად მაქსიმალურად განტვირთა სცენა. აქაც და თავის მეორე გენიალურ დადგმაში — „ურიელ კოსტატი“, მან თითქმის განზრახ გადაიყვანა მსატრეული უკან პლანზე, რომ მის გრანდიოზულ სანახაობრიობას არ „ჩაეყლაპა“ მსახიობი და მიზანსაც ბრწყინვალედ მიაღწია.

შეუდარებელი აქტიორული გამარჯვებები იქნა მიღწეული გახუმორებულ სცენურ სარეჟიმ შეიქმნა. რაც ყველაზე მსატრეოს, იგი არ დაირღოდა უკანა პლანზე გადასვლით, გაფორმების სისადავემ და კომპაქტურობამ, გამოსავით ლაკონურობამ და სინუქსემ უფრო ძალაღებ ააღვარა პეტრე ოცხელის საოცრად მეზნეაზე ტალახტი, კემეტივად კომეტური ღრუბლის მისცა მის უაღრესად გულწრფელ, ახალგაზრდადლი სიმართლობით და უშუალოდით აღმტკილი შემოქმედებას. ოღონდაც, კოტე მარჯანიშვილისაგან შეთვისებულმა მსატრეული კონტრასტების, ლაკონურობის, გამოსახვის ხერხები სინუქსის, მხატვრული დახვეწილობის და ფორმის დასრულებულობის მეოხდას, შეერგებულა პეტრე ოცხელის შემოხივად კომეტურ ტალახანთან, განახილვულ მსატრეულ კულტურას და დახვეწილ გემოვნებასთან ააღვარა ქართული თეატრის ცხვე წმით გაეფუტება ახალგაზრდა მემოქმედი და წარუტყუო კვალი დაატოვებია ეროვნული თეატრალური ფერწერის ისტორიაში.

„აკვალ გულში“ მსუბუქი, კომპაქტური, იუმორისტულ ფორმაში გადაწყვეტა კოტემ, უფრო მუსიკალური მასალით შეფერა, რის გამოც ეს საექტაკლო აღიქმებოდა, როგორც მუსიკალური კომედია. რუსთაველის თეატრის ორდინის ოპერეტა „მასოტის“ („ნატვრის თვალ“) დადგმით, ხოლო ქუთაისის თეატრში შ. დლიანის „აკვალ გულში“ და გ. მუნციავის პიესის „გი მაგრამ იმგვარი მუსიკალური ადრეგები, რომ ისინი მუსიკალური კომედია აღმქმედებენ, ანატორიად კოტემ მუსიკალურ კომედიას მისცა დასაბამი ჩვეის თეატრალურ ხელოვნებაში.

მემანქანე ჭალების თუ მკურნალები მუშების ფრიად სახასიათო სიმღერა, იმ დროს საყოველთაოდ გავრცელებული „სიმონი გოცაძე“, რინკვეციასა და გიორგისა დუბტი, მირმანზე რომ დაიკეთა, თუ კვეციანის ძველებური რომანსი დამამშვეებელი მსატრეობებით ავარსებდნენ საექტაკლოს და მომხიბლავას ჩაქვებდნენ მას. სამართლიანად წერს უშ. ჩხეიძე, რომ ამ საექტაკლოში „სიმღერებზე ამ მთავან გადაღებულ მუსიკაზე ვითარდებოდა მთელი სცენები, იცვლებოდა სცენის მორთულობა ნივთების ადგილობრივ გადაწყვეტილით“<sup>1</sup>. მეტად დახასიათებული იყო დაწესებულების სავითო განყოფილებაში ქარაფეშტული და ლაღად მჭირის სიმღერა „გენცვალე კაკალ გულში“ აწყობილი საწერი მანქანის აკავის რიტმზე.

რეჟისორულად საექტაკლო მართლაც და ბრწყინვალედ იყო გადაწყვეტილი. თითოეული სცენა არაჩვეულებრივით სისადავით, დახვეწილი გემოვნებით, ამასთან, საოცარი თეატრალიზითა და მიმხივდლობით ხასიათდებოდა. თუმცა ყოველი სურათისათვის მდგომარეობით თუ ნივთების განლაგების ცვლა სცენაზე ფარდის დაუხურავად, პირდაპირ მასურების თვალწინ ხდებოდა, მაგრამ მასურებულს ეს სრულიად არ ეჩითარებოდა, რაგან ყველაფერი რის, რიტმული მუსიკის თანხლებით, თეატრალიზებული მორბობით, მისხანსეებით ამ ცეკვით ხდებოდა. თვითველ მოქმედ გმირს, გარდა იმისა, რომ ავიატრული სიტყვა ან ჩვევა ქონდა ჩაქოვილი სახეში, ქონდა აგრეთვე სცენური ხასიათის შესაბამისი მუსიკა, ან სიმღერა შემოსილასათვის, რაც ხელს უწყობდა სახეების მსუბუქ იუმორში აღქმას.

საუცხოველ იყო გადმოცემული პირველ მოქმედებაში თანამშრომლობა განყოფილება. ადამიანები, რომელთაც ქირივით ევაკრებოდა შრომა, იმ საბაზით, რომ დაწესებულება ახალ ბინაზე დალაგების ჰატირობებ, მუშობის ნაცვლად გართობას ეძლეოვან. მდივანი ჭოლის მართის მოწოდებაზე მუშაობისაკენ ისინი მზიარული შარების სიმღერით პასუხობენ.

ამავე მსუბუქი მუსიკის ფონზე შემოდის კომისია, ჭალა-

<sup>1</sup> უშ. ჩხეიძე — კოტე მარჯანიშვილი — რეჟისორი და ხელმძღვანელი, კრებ. „უ. ჩხეიძე, მოკვანები, წერილობითი“, თბილისი, 1956 წ. გვ. 161.





რას მეთაურობთ. არსებითად ამ კომისიაში ჭაღარა მართლაც ერთადერთი საქმიანი კაცია. დანარჩენები წარმოდგენილი არიან მექრთამე და გაიძევირ ირინარს პარასკიდის, ტრახანა ობიგატელის რინკველის, ყოფილი მენშევიკის გიორილავასა და ნახურდელ დებილი მოადგილის კვეენიანის სახით. ამ კომისიის სხვაგვარი მუსიკა არც შეუფერებელია თითქოს. სწორედ ამიტომაც, რომ ჭაღარას საქმიან ლაპარაკს თანამშრომლები გონივრულად და დაუღვრად ყვირიან. მხოლოდ ორსული, ძველი თავადი, ამგვამდ დაწყნებულების ინფინერი — შესცივინების მოქმედურად თვამის ფეროსს.

საოცარი დამაჯერებლობით, უფრო სარკასტულ ფორმაში იყო გადაწყვეტილი ამავე მოქმედებაში რინკველის და გორილავას დაჯ. ისინი ამ დაჯავს უმლობდა ამივემოდენდენ და ლანდამდენ ერთი-მეორეს. სიტყვიერ პავერობას, რომლისიც თითოეული მათგანი ცდილობდა დაემტკიცებინათ თავისი უნიარტეობა და, მამასადამე, დაესჯებებინათ თეჯარი, მოსდევდა შესანიშნავი დუეტები. სიმღერა მათთვის დამახასიათებელი აკვიატებულნი ჩვეულებით, თუ სიტყვიერით იყო გამართული; დუეტები დამთავრებას ვერ ასწრებდნენ ეს უსაქმრები, რომ სცენაზე ირინარს პარასკიდი შემოდოდა, თეჯარის რომ დაიხასიავდა მოეწონებოდა და მუშებს უბრძანებდა მის ობანში გადაეტანათ. მუშები იმ ხელს კიდებდნენ წასადღე-მეორე მხრიდან მას რინკველი და გორილავა ჩაქუდებოდნენ, მათ თანამშრომლებიც ეხმარებოდნენ და მიწვე-მოწვევა ეჩვენებოდა. ამ კვილიში თანამშრომლები იმარჯვენდნენ და მუშები მიჯართი გადაკოტრიდოდნენ სცენაზე. ამ დროს შემოდოდა ჭაღარას გამწრდული მაკა, შესანიშნავი ჩინური თეჯირის დახატვაზე თვალში უფართოვებოდა სხარბისაგან და ბრძანებდა მის ბინაზე გადაეტანათ იგი.

ფრიად კოლორიტული და ცხოველბესული სიმართლით აღბეჭდილი იყო თანამშრომლების კრებიდა გაპარვის სცენა, ყველა რომ ეძებს საპატოტი, თითქოს საკუთარ თავთან გასამართლებელ მიწებს გაპარვისათვის და არსებითად კრებაზე თითქმის ავარავინ რჩება. უდრესად დინამიურად მიდოდა მეორე მოქმედება, სადაც მოქმედება ხან კანცელარიაში ხდებდა და ხან ცალკეულ კაბინეტში. მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტის შთაბეჭდილებას ორიად მტრებით ქმნიდა, იგი სრულად დამაჯერებელი იყო. კოტსისთვის დამახასიათებელი ნარდფერობით აქვრდა ლხინის სცენა უკანასკნელ მოქმედებაში. რეჟისორმა აქ ფერთა შეუდარებელი დამა შექმნა და პოეტური მომზიბლობით ააქვრდა ყველა და ყველავფირი სცენაზე. სცენის კულმინაცია იყო მოსამსახურე გოგონას თეიას და დაწყნებულების ახმხა დაჯავის საოცრად ბუნებრივი, თავისთავად კომიკური ხსასათის ცეკვა — არმიყობა, რომელშიც „კავადევი“ ზიადაც თვალს ადევნებს, ხან ზურფს უკან იღობის ქვეში, თუ ტახტის ქვეშ ადებებს ქალს, რომელიც ცქრილობით ემსლება მას, ეკვალუებდა და ამით ერთობა.

განსაკუთრებით მოხიბვლილი იყო კომედი უმანგი ჩხვიდის კვეენიანით. ამ როლმა გამოამდგანა უმანგის ბრწყინვალე აქტიორული ნიჭის მეორე — კომიკური მხარე. უმანგი — კვეენიანმა ხანგრძლივად ხანგრძლივად დასწრდო ტანსაცმელი იყო ამოწყობილი, გალფიც მართლაც და ჩქემებით, საკისეფერი ხალათითა და ზედ წვრილი ქართული ქაბორი, კოხტა აწკიბინებითი ულ-მანგის მომეტილი სახარულში იგრბნობოდა თავისი მდო-მანგის შეგნების ხაზგასმა, როცა იმერულ კუდაზხეობას, თანამედობით გაყოყონებას, დღე ზიადაც თან ზეგის შიში იმის გამბ, რომ გრბონის შეუფერებლას თანამედობისადმი. სწორედ ამ შიშის გამოა, რომ უმანგი — კვეენიანი წამად-უწუმ კიბხულობს „В чом дила товарищи?“ სულ ემინა არაგინ არაგონი მოუწყოს, არ დააკარავინოს ეს თბილი ადგილი. უმანგი კვეენიამ ხელში ურდამ გაბეჭილი პორთფოლს დაატატებდა, როგორც სიმბოლოს მისი მვადლი თანამედობისა. უნდა გენახათ როგორ მამალი ინდაურებით იფხობებო-

და იგი განზე პორთფელ გაწეული და ულავებამეცხელი ამავ დროს რა საცოდარი იყო და მსუბრუკი კახულქ გასვლისათან შეუფერდის სცენაში, ესუბრუკი კახულქ რიას, თავისთავად, არ კინდა მთლად დალაგებულ, გინიერული კითხვებისაგან შედგენილი ანექტა, გონებაზეუდულად და უეცრად კვეენიამ ვერ გაიგო რა სურდა მისგან და უბადრუკი დაბნეულობით კითხულობს „В чом дила?“. ამ თქმნით, კვეენიანი-უმანგის განწყობილებამ, აშვარად იგრბნობოდა უსაზღვრო სურვილი თავი დაეღწია ამეზარი კომეგ-შირდულებისაგან. აქტიორული გარდასახვის კულმინაცია იყო უმ. ჩხვიდის კვეენიამ მისამ მოქმედებში, ლხინის სცენაში. შეზარბომებულ მოქვივე ქალ-ვაგინ, ხელში სისინებთან, ხილითა და სასუნავით, მზიარული ყიფითი გამოიშვებთან სცენაზე. უმანგი-კვეენიამ ყურადღების ცენტრში მოხვედრილი ამჯერად, იგი მოარბივე ფრანბის როლშია, მემანქანე ქალს — ნადიროს უტრიალეს კვეენიამ და მისი ყოფილი ქაინიარია ატაკებულ სიყლ-ხარბას იწვევს ყველაში. განსაკუთრებით აღდრთოვანებულ და გამხიარულულია თვითონ ნადირო. იგი კვეენიანის ყოველ ახალ სიტყვაზე გულანად კისკისებს. და აი, მიწინარდა სიცილი, ტახტზე თუ იატაკზე მოკალათდა ყველა, ვინ საგაბებოდა მოქარს სცენაში. მიწინაზე, ვინ ხალაიხზე, თუ პირდაპირ იატაკზე. კვეენიამაც მოკალათდა ნადიროს ვფრთით. უხერხულად იმანებდა კვეენიანე, როდესაც მას თხოვე იმღროს, მაგარამ პაკტივმეგარებობა არ აღწევს უფლებას ბოლომდე უარი თქვას და იწვევს იმ დროს ფრიად გავერცელებულ ძველ რუსულ ორბანს „Где-б не считался я...“. უმანგი-კვეენიანის ეს სიმღერა იყო ბრწყინვალე აქტიორული გარდასახვის ნიმუში. თითქოს არც თუ ცუდი მუსიკალური სმენის მქონე კვეენიამ, თავისი ჩახლებილი ხმით, საოცარი მოქმედებით — გრბინით ასრულებს სიმღერას. იგი საშინელი აქცენტით თითქმის ყველა სიტყვას ამბიხობებს, რაც გულან სიცილს იწვევს მსმენებელში, ბოლო როდესაც განსაკუთრებულ გრბინით წამობიანას „Ах это дивный соня!“, მოქვივე ახლავარბონში თავ-შეუკავებელმა პომერულმა სიცილმა იფუტქ. მსაზიბოი შევცა, გაკვირვებით მიაღყო თვალის მსმენებლებს და მოცინარბა შორის რომ თავისი სათავაყენებელი ნადიროც იხილა, მიაბიტკ გაოცებით ითობა: „В чом дила Нადиრო?“. მაგარამ ეს წამიერი შექმენება, — დარწმუნებულთ თავის მამალ ხელეღნებაში კვეენიამ ცალკავ განავარბობს თავის ორბანს. და განა ტყუოდ უმანგი? შეიძლება ვოკალური თვალსაზრისით არა, მაგარამ ეს შესწრდობა ხომ მართლაც უმაღლესი ხელოვნება იყო, რომელიც უსაზღვრო ესთეტიკურ ტკბობას ანიჭებდა მაყურებელს.

უმანგის-კვეენიანეს მხარს უმშვენივრდენ ბიესის სხვა გმირთა შესანიშნავი სცენური სახეები. არ შეიძლებოდა არ მოხიბულიყავით ალ. შერეოლიანის — გორილავატი. ეს იყო მსუბრუკი თემობით შეზავებულ, ფრიად ტკიპერი სახე ვინაშევიკი ჩინოზინიასა, რომელიც ცილობის შეგუოს ახალ ვითარებას, თუმცა ორგანიულად მტრულადაა განწყობილი ახალი წყობისადმი. იგი ცილობს, რომ მის გარწმუნე მყოფი არ გაბსნებს თავისი წარსული. ამიტომ, როცა ამ საკითხის ესებანი ყოველივგის წერიულად აწყვეტინებს მოწინააღმდეგეს სიტყვას აკვიატებულ რეპლიკით: „Ясно, даше!“ გორილავა და რინკველი, გოგოლის ბოზინისკისა და დომბინ-სკისკივეტი განწყურებულად ერთად არიან, თუმცა ორგანულად ვერ იტანენ ერთმანეთს. რინკველი-ზ. გომბელაურის შესწრდობით ტკიპერი ობიგატელი იყო, ტრახანა და უსაქმური, რომელსაც სურდა გაკვირვებობა ხალხი თავისი მვადლი გონიერებით. საერთო განათლებობა და განსაკუთრებით რუსული ცილობით. ამიტომ თავის ყოველ ნათქვამს იქვე თარგმნიდა რუსულად, თუმცა არც თუ გამართულად. თავს პერეკოპის გმირად ასალებდა და დიდად ამაყოფა ამით.



მეტად ორიგინალური სახე შექმნა შ. ხონელმა, სახე ირი-  
ნარს პარასკიდას, მლიქნეული გაიმეორა, თაღლითი და მექ-  
რობავე ადამიანისა, რომელსაც მთლიანად გაუცვლია საკუთარი  
ლიბრები და თავმოყვარეობა ფულზე, ხოლო თბილი ადგი-  
რებს და კეთილი მგფომარეობის შენარჩუნების მიზნით ყო-  
ველგან დამცირებას, გაბიარებებს, მასხარად აცდებს  
თავისუფლად და მხიარულად იტანს. შემდეგ ამ სახეს ხალისი.  
და კლოუნებულობა შემტავა გ. გომიშვილმა.

პროვინციული გემოვნების ობიექტების, ხანდახმული,  
მაგრამ, მოკვლეული პარნაჯა დედაკაცის სახეს კვეთდა ც. წუ-  
წუნავა ჭარას გამზრდილის მკას როლით. იგი გზიზღადდათ  
აქტიურიული პალიტრის ხაირფრეობით, სცენური სახის მიმ-  
ხედველობითა და სიცოცხლით.

საფორად სადად, თითქოს ძუწწად დახასიათებულ, მგ-  
რამ ტიპური იყო შ. დამპაშიძის ირაკლი, ყოფილი თავადი,  
ამგანად სპეციული ინიერირი, დედაკაცით ჭორიკაია,  
ნაგარქეპისაგით უნარა, გარეგნულად ბრწყინვალე, ფუჟმ  
ინტელექტი.

სიმართლით, უშუალოებით და გულწრფელობით იყო აღ-  
ბეჭდილი ა. კვანცელიანის მიერ შესრულებული სახლის პატ-  
რონი მარტროსიანის. აქტიორულად საინტერესო იყო ს. ჭი-  
რანის მარო და ა. იმედაშვილის ჭარა. პლასტურებითა  
და რიგების შეგრძნებით ხასიათდებანი მსუბუქი კავალერის  
კომპაგნირებლები ს. ზაქარაძე, ს. ჭელიძე, ი. დონაური, მგ-  
რამ პიესაში ამ სახესაც სქემატურობამ თავისებური ზეგავლენა  
მოახდინა სპექტაკლს და ისინი ვერ გამოიკვირებენ ისეთი  
ტიპიურებით, ვერ აღმოჩნდნენ ისე შთამბეჭდავნი, როგორც  
სპექტაკლის უაყოფიითი სახეები. აღბად ამახვ განაპირობა;  
რომ სპექტაკლი პრესამ დიდი აღტაცებით ვერ მიიღო, ხოლო  
კოტა მთვინავითი კი სრულიად უმართებულად საბჭოთა  
სინამდვილისათვის მათვე სპექტაკლად გამოაცხადეს.

ქუაისის თეატრის თბილისში გასტროლების დროს 1929  
წლის აპრილში, გახეიო „კომუნისტს“ წერდა, რომ ახლა,  
როცა ჭარა და საბჭოთა ხელისუფლება გამაძრვებებ ბრძო-  
ლის აწარმოებენ ბიუროკრატის წინააღმდეგ საბჭოთა  
აპარატში, ამ თემაზე პიესის წარმოდგენას უღიგესი მიზ-  
ნებითა აქვს, მაგრამ იქვე რეცენზენტის შენიშვნაა, რომ  
„სახელწოდო აპარატის ბიუროკრატისთან ბრძოლის მიყვან-  
ა იქამდე, რომ გაავარწყნოთ სახელწოდო აპარატს, სახე-  
რი გაუკუტებით სახელწოდო აპარატს, დიდი შეცდომა... ჩვენ  
არსოდეს არ უნდა დაგავიწყდესო, — განაგრძობს შემდეგ  
რეცენზენტმა, — რომ ჩვენი აპარატი საბჭოთა აპარატია. პი-  
ესის კონცეიციდან არ ჩანს სათანადოდ, რომ ატერის შეთვისე-  
ბით მიყვანილი ჭეშმარიტი დებულება კარგად ქონდეს უფიცი-  
ბული. მართალია, თეატრის უცვია ბიუროკრატული მექანიზ-  
მისთვის დაპირობისათვის დადებითი ძალა „მსუბუქი კავა-  
ლერის“ და „ჭარას“ სახით და ამით ნაწილობრივ გამოქო-  
წორება პიესის ხალკი, მაგრამ პიესის ძირითად ვესს იგი  
ვერ ცვლის. დადებით ძალთა ბრძოლა არ არის ჩაქსოვილი  
პიესის ორგანულ განვითარებაში. იგი უფრო მექანიკურად  
არის დაკავშირებული. ამიტომ კომედიის მაგივრად ფარსი მი-  
ვიდეთ“<sup>2</sup>.

ერთის მხრივ თითქოს მართალია რეცენზენტის შენიშვნა.  
დადებით სახეები უფრო სქემატურად იყო მოტანილი პიესა-  
შიც და სპექტაკლშიც, ვიდრე უაყოფიით. მაგრამ დასკვნა,  
რომელიც აქედან გაუკეთებდა რეცენზენტს, ფიად დასკვნა,  
გაცილებით უფრო დაუზღობელი აღმოჩნდა ამ პიესისა და  
სპექტაკლის მოვლიანი შემხვედელი, გას, „ახალაზრად (კო-  
მუნისტის“ ფურცლებზე. ამ პიესის დადებისთანავე ით-  
ვლისმება შ. დათიანის „კაკალ გულში“ — შ. მ.), — წრის  
აღნიშნული რეცენზენტი, — ის შესასებულ იქნა, როგორც

ცილობისა და საბჭოთა აპარატზე მით უმეტეს ამის თქმა შე-  
იძლება დღეს, წარმოდგენით, რომ პარტიისა და ხელისუფ-  
ლების ამდენი შრომა აპარატის გაუმჯობესებისათვის, მისი  
გაქმნისათვის უცხო და გადაგვიანებული ელემენტებისაგან,  
პარტიის ყოველიველი ზრუნვა მუცების დასაწინააღმდეგოდ  
საბჭოთა აპარატიც დარჩა უბრალო წრის საყავად, თუ დავუ-  
კეთებთ მარჯამიშვილის თეატრს, რომელიც თავგამოდებით  
ინძირის „კაკალ გულში“ შესანარჩუნებლად რეპერტუარში“<sup>3</sup>.  
და შემდეგ რეცენზენტი სიამაფე განაგრძობს: „ჩვენ ვცხა-  
დებით, რომ ის აპარატი, რომელიც მამყრულია „კაკალ გულ-  
ში“, არის მემწევიებისა და თეთრკვარდილების მიერ მოთა-  
ხული ცილობისა და საბჭოთა აპარატზე“<sup>3</sup>.

ამ კრიტიკას პირადი დვარდი და მტრობა უდევს სა-  
ფუძვლად და არა საზოგადოებრივი ინტერესი. ასე რომ ემხვე-  
ლა ჩვენს პარტიას და ხელისუფლებას, პირველ რიგში მია-  
კოვსკი უნდა აეკრძალებინა საბჭოთა სცენაზე, პარტიამ, მაყურ-  
ებელმა კარგად მიიღო „კაკალ გულში“, ჯანსაღად გაიგო ამ  
პიესაში მოცემული ნაკლავანების კრიტიკა და გულწრფე-  
ლად მიუთითა პიესის, როგორც დადებითი, ისე უარყოფი-  
ლად მხარგრევი. თუგვა სპექტაკლს არ მიუღია მიტეხილი შეფასე-  
ბა პიესაში მისი პირველი დადებისას, მაგრამ მაყურებელმა  
იგი ძალზე გულწრფელად მიიღო, უკრანისა და რუსული  
გასტროლების დროს, საკავშირო და მოძმე რესპუბლიკების  
პრესამ უაღრესად მაღალი შეფასება მისცა პიესასა და თეატ-  
რის ნაშუქავას.

ეს მტად ცოცხალი კომედია, — ვითხულობთ „ვერერ-  
ნა რაბოტნიკა ვაჟტაში“, — რომელიც თავისი თემატიკით  
კაკალ გულში ხვდება დღევანდელ დღეს.

ქართული თეატრის კოლექტივმა კარგად შეარგულა ეს  
ამოცანა. თავისი დადებითი ის კიდევ ერთხელ მოგვაჩვენებს  
საბჭოთა აპარატის წმენდის საჭიროებას. პიესით — „კაკალ  
გულში“ ქართული თეატრის კოლექტივმა კიდევ ერთხელ  
გვიჩვენა სცენური გარდასახვის თავისებურება, მწვენიერი  
ორიგინალური მუსიკალური გაფორმება, აქტიურიული თამა-  
შის არანაყოფიერების სიმსუბუქე“<sup>4</sup>.

კრიტიკის კ. ფულდმანი უფრო დაწვრილებით ანალიზს  
უკეთებს ამ დადგენას და გონებრივადმადარა შეფასებას აძლევს  
სპექტაკლს. მის წერილში ვკითხულობთ: „ერთხელთა კომედიის  
ახალი ფორმის ჩანასახ იძლევა პიესა „კაკალ გულში“, ბიუ-  
როკრატის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე დაწერილი ეს  
პიესა არ არის ზედმიწევნით დატრულებული და არც ვის დად-  
გამათა მიყვანილი ისეთი ისტატიკა, როგორც არის „ურელი  
აკოსტაში“. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ წარმოდგენით იწ-  
ყება საინტერესო უტაკი ქართული თეატრის შემხვედლი განვი-  
თარებისა, რომელიც ერთხელ კულტურის სრულ გამოიმტკე-  
ვლად შეიქმნება. სხვათაშორის, ამ წარმოდგენას, თავისი  
მხიარული ტონისა და მუსიკალურ-რეკამული მოძრაობის მი-  
ხეობით, რუსი მაყურებელი ყველაზე უკეთ ითვისებს. „კაკალ  
გულში“ თავისებური საბჭოთა მუსიკალური კომედიია, რომ-  
ლის შემხვისათვის რუსული ოპერების თეატრი დღემდე ამაღ-  
დებულს თავს. ამ წარმოდგენაში გამოჩნდა ბრწყინვალე თეი-  
სებანი ქართველი მწიბნისი, რომელიც ერთხელად კარგად  
„თამაშობს“, მღერის და ცეკვავს. ასეთი მრავალმხრივი ისტა-  
ტიკა შესაძლებლობას მისცემს ქართული თეატრს სულ ახლო  
მომავალში შექმნას სრულიად ახალი ფორმების და სახეების  
თეატრი“<sup>5</sup>.

<sup>2</sup> და უ. — უკან ჩიხიდან, ვიდრე გვიან არ არის, მეორე ქართული  
დრამა და დანა განთავსებული „კაკალ გულში“ ნაგვისაგან,  
გას. „ახალაზრად კომუნისტის“, 27 იანვარი, 1931 წ. № 21 (277).

<sup>3</sup> სახელწოდო ქართული დრამა კოტე მარჯამიშვილის ხელმე-  
ფინისათვის, გასტროლების საბჭოთა კავშირში 1930 წ. აპრილი-  
მაისი. სახელწოდო, თბილისი, 1930 წ. გვ. 34.

<sup>4</sup> კ. ფელმანი — Треть Советской Грузии, газ. „Рабочая  
Москва“, 15 мая, 1930 г.

<sup>2</sup> ქუთათის — პათვის თეატრი კ. მარჯამიშვილის ხელმეფინე-  
ლობით, „კაკალ გულში“ — შ. დათიანის, მხატვრული ს. ოცხელი  
გზა. კომუნისტის, 14 აპრილი, 1929 წ. № 84 (2430).



საქართველოს  
წიგნითმწიფის  
კავშირის  
სამხრეთ-დასავლეთის  
კავშირის

შ. დადიანის „კაკალ გულში“ ჭეშმარიტად საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიაში. ჯერ ერთი ამ პიესითა და სპექტაკლით სათავე დაელო თანამედროვე საბჭოთა ყოფის მხატვრულ ასახვას, ამ ყოფის ხალხიან მხარეთა სატრულ იუმორისტულ ფორმებში გამოტანას სცნაზე, ე. ი. სათავე დაედო თანამედროვეობის ამასვედრ სატრულ-ე. ი. მითრე. პ. მარჯანიშვილის ამ დადგმამ დასაბამი მისცა ახალ თეატრალურ განსჯის ჩვენში — მუსიკალურ კომედიაში. ამ პიესით და სპექტაკლით მართალია საბოლოოდ არ დადგინდა, მაგრამ პიროვნულად გამოვიტანა ქართული საბჭოთა კომედიის ფორმები, რომელმაც თავისი შედარებით სრული ფორმირება პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში“, მის მარჯანიშვილისეულ დადგმაში მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში“ ფორმითიანად ითვლება ქართული საბჭოთა კომედიის საბოლოო ფორმირების უწყისინშავეს ნიშნულად, ვინაიდან არ ყოფილა განხორციელებული მარჯანიშვილის რეჟისორული ფანტაზიის სიდიადის შესაბამისად, მისთვის ჩვეული ცეცხლითა და მტენებარებით. სპექტაკლმა ჭეშმარიტად გამოაქოლინა ქართული საბჭოთა კომედიის სტერეოტიპი, მაგრამ, როგორც ვთქვით, იგი კოტეს რეჟისორული ნიშის სიმალღუჭე ვერ აივდა. სრულიად სამართლიანად წერს ყვარყვარეს როლის პირველი შემსრულებელი უ. ჩხეიძე, რომ „ერთ ქართულ კომედიას ვერ მიატყია მარჯანიშვილმა ჯეროვანად ყურადღება, სახელდრამ პ. კაკაბაძის მეტად ორიგინალურად და საინტერესოდ დაწერილ პიესას „ყვარყვარე თუთაბერში“. იქვე ამ მოვლენის მიხედვად ხსნის უშაგვი. „პიესა დადგმა სტრინის მიერ ურუბლი — ვითხვალთ ქვეითი, — და მარჯანიშვილის განკარგულებაში, თუ არა ვცდები, სულ მ დღე იყო. პიესის მზადება დაიწყო ქუთაისში და პირველად წარმოდგენილი იყო ბათუმში. ისიც, ამ მცირე დროის მანძილზე, შევიცვლა მთავარი როლები გმირი, ვინაიდან ურუბლიანის ავადმყოფობის გამო, ყვარყვარეს თამაში მომხდებდა მე, მაგრამ ისე მცირე დრო იყო დარჩენილი როლის მოსამზადებლად, რომ მარჯანიშვილმა პირველად მხოლოდ როლის წაკითხვა მოხვია და არა თამაში. რასაკვირველია, ასეთ წადგმარებაში მან სათანადო ყურადღება ვერა მოატყია პიესის შესწავლისა და დდგმას. მიუხედავად ამისა, პიესა მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობდა“. „ყვარყვარე თუთაბერის“ პირველი დადგმა მართლაც ნაქაჩევი იყო და კოტეს ნიჭის სიდიადისთვის შეუფერებელი, თუმცა დიდი აღტაცებით მიიღო მაყურებელმა. სპექტაკლის ხალცი მართკ ამქაჩებამ როდი განაპირობა, ამას სხვა მიზეზები ჯონდა და უფრო მთავარი.

როდესაც ქუთაის-ბათუმის თეატრს ჩაუვდა სათავეში, მარჯანიშვილმა მიზნად დაისახა თანამედროვე რევოლუციური ქართული დრამატურგიით ურუბლიანე თეატრის შემოქმედებით აღმავლობა. ამისათვის მან ორგანულ შემოიკრიბა ე. ი. დიდი, საშუალო, თუ ახალი თაობის ქართველი დრამატურგები. თეატრის მამხინდელი რეჟისორი დ. ანთაძე ივრინებს, რომ „კოტემ დაუსწოვდა და დაუკავშირა თეატრს ჩვენში ქვეყნის მიწინავე მწერლები — ვინ, როგორც დრამატურგი, ვინ, როგორც მთარგმნელი, ხოლო დანარჩენები — მნივლელად და მფორმებარა“. ამასვე აღსატყუებს პ. ანჯაფარიძეც. „მას-სიხსო, — წერს ის, — მარჯანიშვილის დროს დრამატურგები არ გამოდიოდნენ თეატრდან. თანამედროვე პიესები იქმნებოდა მწერლის თეატრთან ჭეშმარიტი თანამშრომლობის, თანამშრომლობის შედეგად. ასე დაიწერა დადიანის „კაკალ

გულში“, კაკაბაძის — „ყვარყვარე თუთაბერში“, რომელიც დღემდე შერჩა რეპერტუარს, ქუთათელის — „შუალამეზე გადაიარა“, კ. კალაძის — „სატაჩე“ და „როგორ“, შეხვედლიას „თეთრები“ და სხვ. <sup>6</sup>

პოლიკარვე კაკაბაძის პიესის გმირს, ნაცარქეკას ნიღბით მოქმედ ცხოველსუცხოებო, უყარა და მძინარა ყვარყვარე, ძვენი ხელისუფლების მიმოქნილებისა და უაღრესი მემუცვეკებით იატოვების პირობებში საუაღრესა ელგვა თავი-ნი სხეოვები თვრემსკობით სათავეში მოექცეს ცხოველებს. ამ სახეე კოტეს აღტაცება გამოიწვია, სინარულითა და აღდროთ-გახებით მოიხება ახლადდამთავრული პიესა თეატრში, თითო-მის წაუტანა დასს და რა დიდი იყო მისი გატაცება, რეჟისორი, რომლითაც იგი ჭეშმარიტად აღტაცებულ იყო, დი-მილიც იგი ვერ მოჰგვარა მსმენელებს. მიუხედავად ამისა, კოტემ გადაწყვიტა მაინც დაეგეუეს პიესა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მას მატყურებით გაგება მიიღებდა. ძაგარამ დასის განწყობილებამ მაინც იმოქმედა რეჟისორზე. ვუქრობოთ, ესეც ეწინააღმდეგე მიზეზი იმისა, რომ კოტემ მისთვის ჩვეული მეზნებარებით შემოქმედებით აღტაცინებოდა და სი-ჯიუტით ვერ ეძება და ვერ მოხება ამ კომედიისათვის შესაფერისი რეჟისორული ფორმა. შესძლია, ეს უფრო მთავარი მი-ზეზი იყო, ვიდრე დროის სიმცირე, რადგან ასევე მცირე დრო-ნი (სულ 13 რეჟექციით) დადგა კოტემ „მზის დაბნელება“ რუსთაველის სახელობის თეატრში, დრამატურგიულად ბევრად უფრო სუსტი ნაწარმოები, ვიდრე „ყვარყვარე“, მაგრამ ეს სპექტაკლი კოტეს შემოქმედებით ნიჭისათვის დამახასიათებელი ფურწერული ნაიროფობით და პოეტური მეზნებარებით იყო აღბეჭდილი.

პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში“ უდავოდ დიდი პო-ეტური ეროვნებით, ძალიან ლიტერატურული გემოვნებით და დრამატურგიული ოსტატობით დაწერილი ნაწარმოებია. მას-ნი განათყუებულია ქართული სავარის მოტეხება, მაგრამ ეროვნულ სამოსილში გახვეული პიესის გმირები, განსაკუთრებით მისი გმირი — ყვარყვარე, მიუხედავად მისი მგვეთ-რად გამოკვეთილი ეროვნული თავისებურებისა, განსოზა-გების ისეთ სიმალღმდეგა აუგვილი, რომ სოვადკონიერულ სახაათს იძენს. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ყვარყვარეში ითიოვულ ადამიანს თითქმის შეუძლია თავისი ნაცნო-ბი, ახლოდები ამოცინოს, არანაკლებ სათალად შეიძლება ამო-ცინოთ მასში რბილოც გნებათ ისტორიული პიროვნება, ის-ტორიული ქარიშხლის პერიოდებში შემოხვევით საკოტივ-ტივებულ, განდიდებული კაცუნა, შეკარობით საკუთარი კვილოდობისაკენ მანიაქური სწრაფებით. განა ცოტა ციყდა ისტორიად ასეთი, დადმსაურებალად განდიდებული კაცუნები? ყვარყვარეს ფრიად საინტერესო, ცხოვრებისეული სახე ფერწე-რული ნაიროფობით დაგვიხატა ატორმა. იგი სახალბე გო-ნებაშეზღუდობია, სწორედ ამიტომ რომაზე მეტად გამბედა-ვიც, დიდი პრეტენზიებით რომ მოდის ცხოვრებაში. ყვარყვარე საკუთად ვირემსკავა და თავისებურად გამჭრიახი, რომელ-საც ვკვლავ სიტყვითა შეუძლია თავისი სასარგებლოდ გამოი-ყენოს. სწორედ ამიტომაც, რომ შემოზღობეს, გონებალბეუე კაცუნება და ქუარას იგი უჭკიანესს და უშმახვე კავად მია-წინათ. გონების შეზღუდულობამ და საკუთარ თავზე დიდმა წარმოდგენამ, თავებდობამ და პრეტენზიულობამ ცხოვრება-ნი ხელი შეუწყო ყვარყვარეს გამბედაობას, გამბედაობამ და ვირემსკავობა კი ცხოვრების უდაპირველ ამოტივტივთა იგი და მოხება რა მკვიდს ძირმომავლი ხელისუფლებისა და მართ-ლაც — ნაცარქეკა მენუცივი პოლიტიკანების უბედურეი მატ-კონობის ნიყოერი ნიადაგზე, თავისი თეთრი ძაფით ნაკერი ეშმაკობითაც კი ადიდლად შესძლო ჭეშმარიტი მოქოლნის ცხოვ-

<sup>6</sup> უ. ჩხეიძე — კოტე მარჯანიშვილი რეჟისორი და ხელმძღვანელი, კრებ. „სპექტ მარჯანიშვილი“, „ხელოვნება“, თბილისი, 1961 წ. გვ. 130.

<sup>7</sup> და ანთაძე — დღენი ახლო წარსულისა, ნაწ. II (გამოთქმევენებალი).

<sup>8</sup> პ. ანჯაფარიძე — რა ვიციოთ მარჯანიშვილის შესახებ, კრებ. „სპექტ მარჯანიშვილი“, „ხელოვნება“ თბ. 1961 წ. გვ. 247.





რებს, ისტორიის გმირად გამხდარიყო. რევოლუციამ ნიდაბი ჩამოგლიჯა, განაშენა მისი ნაცარქეობა, მიავდერა, რომ წახდა მისი ამინდი და მწარედ აძექვინა: „გათავდა შენი ჩაილირი, ყვარყვარე თუთაბერი, ამათ ხელში შენი საქმეები ვეღარ იბოვირებს!“

ყვარყვარე ტუმანიტად დიდოსტატის ფუნჯით, ეპიური მინოტავრობით ასახული ზოგადკაცობრილი ხასიათია, რომელსაც ეროვნული კოლორიტი მომხიბლობას მატებს მხოლოდ. ასევე მიზნდევულად დაახასიათა ავტორმა სხვა უყოფითი სახეებიც: კაცუტა თუ ქუჩარა, ლინას თუ დროთ-მითი მთავრობის მესვერე — რუმუნებელი, მდივანი, ტიტე ნატუტარი ან რომელიც განბათუ სხვა მოქმედი გმირი დიდი შემოქმედის ნიჭით და ალღოთა გაცოცხლებული პიესაში. სამაგიეროდ ვერვ. პ. კაკაბაძე აყდა ამ პიესაში შ. დადიანის შედღობებს, დადებითი სახეები აქაც უაღრესად სქემატური არიან. სუვატის და გულთამაზე, რომელიც რევოლუციური ბრძოლის ფლანგს წარმოადგენს პიესაში, ვერ ამაღლდნენ ყვარყვარეს, კაცუტას, ქუჩარას თუ სხვა უყოფითი სახეების ლიტერატურულ-დრამატურული სულუქობრივად და დრამატურულ კონფლიქტში ვერ გააწეის მათ შესაფერი მტკვრები. იქნებ ეს ნაწილობრივ ბუნებრივად იყოს. იქნებ დადებითი ტოლფარდი მხატვრობით წამოყვება წინაპლანზე კომიკური გაფუფრულებასაც იწვევდეს პიესაში?! ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ საექსპო-პო ნაწარმოები იყო, რომელიც ჩამოყალიბდა და დაგინდა ქართული საბჭოთა კომუნის ძირითადი ფორმები. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ამ სპექტაკლს ქუთაის-ბათუმის სახელ-მწიფეო თეატრში. მიუხედავად იმისა, რომ ნაქმრავად მომ-ხდა, არც საგანგებო ფორმა და სცენური სახე მოუხანია ამ სპექტაკლისათვის მარჯანიშვილს, იგი საოცრად მიმზიდველი აღმოჩნდა, სიცოცხლითა და სიპართობით აღმტედილი.

კოტეხს ღრმად წამდა, რომ „ყვარყვარე თუთაბერი“ ფი-ლითაც საინტერესო და ნიჭიერად დაწერილი კომედია იყო, რომ-ლითაც მომხიბვლელი და ხალისიანი სპექტაკლის შექმნა შე-იძლებოდა. ამიტომ, მიუხედავად დასის ინდიფერენტული განწყობილობისა, იგი მონდობებით მუშაობდა სპექტაკლზე. თუმცა დასის განწყობილობამ მისი პოეტური ვატიცებაცაა გაა-ნელა ცრტად თუ ბეგრად. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ ა-რილის პირველი რიცხვებიდან თეატრი თბილისს უნდა წა-სულიყო საგასტროლოდ, და, მამასადავამ, მარტის ბოლოდღე ამ სპექტაკლის პრემიერა უნდა გამთავდა. კოტეხს 19 მარტს დაიწყო პიესის მზადება, 27 მარტს კი ბათუმში ამ სპექტაკ-ლის პრემიერა დანიშნა. ბათუმე გაგზავრების წინ ყვარყვა-რის როლის შემსრულებელი ალ. ჟორჭილიანი ავად გახდა და დიდის გა-ვალაბით, ხეიწნითა და მუდრით ამ როლის შეს-რულება უ. ჩხეიძის აკისრებდა. კოტეხს უ. ჩხეიძის კვებენ-მეობი დანიხა მისი კომიკური ტალანტის ელვარება. თუ ყვარ-ყვარე თავიდანვე ვერ მისცა მას, ეს იმიტომ, რომ თვითონ უმანგი ტრაგიკოსად თოლდა თავის თავს და ყველა ორთი გაურბოდა სახასიათო როლებს. კოტეხს არ სურდა დაეფრთხო უმანგი, უნდოდა რომ თანდათან შეეგინა იგი სახასიათო რო-ლებისათვის, დაერწმუნებია მისი ტალანტის სიიდადლო ამ მხრივაც. ალ. ჟორჭილიანის ავადმყოფობის გამო რომ საშუ-ალზე მიეცა ეს როლი უმანგისათვის გადაეცა, კოტეხს ფრად განაზრებელი იყო ამით და თანახმა იყო მხოლოდ ტექსტი წა-ეკითხა, ოღონდ არ ყვარყვარეში გამოსულიყო. რევისორმა კარ-გად იცოდა, რომ უმანგის ელვარე ნიჭი და აქტიურული ალღო გაიგებდა გზას როლის ლაბირინთებში. ასეც მოხდა. ფარდა რომ გაიხსნა უმანგი-ყვარყვარე, რომელმაც ტექსტის კარ იცოდა ხეირიანად და კულოსმეი ორი-სამი მოკარნახე ყვავა დაეყვებოდა, შემინებელი სახით ესაზრებოდა მწყისკვილს (მასხიობი შ. დამაშიძე, შემდგომ შ. ჩხეიძე), მისი ყველგი მორბობა გაუხედაობით არადამაჯერებლობით იყო აღმტედი-

ლი, უხერხულობის გასაქარწყლებლად სახრე ეტრის ხელში და ამ სახრეს ნერვილად გოუდა და ატრიალავდა, ზოგჯერ ეფუფრებოდა ინტოხიაცაც კიხდა გაითქვამით, საოცრად ეკოტრიატული იყო ნოვუელი აღზნების გამო: ხან გახედუ-ლი, მუტეტეც, აგუსტელი, აღრებილი, ხან მძიმბა, თავისი-კ-ტუნებელი, გასაცლადვეული, შემინებელი, უმანგი-კ ცე-ური. უხეიერებას მასაბობა შემდგომი ფეისირება მოახიბდა ყველაფერი იმისა, რაც უთავიდან უნებელი შემინებელი ადრისად მასხიობის შემოქმედის პალიტრას, რამაც კო-ლორიტულობა, მიმინიფერება და დამაჯერებლობა შემატა სცენურ სახეს. უმანგის ყვარყვარეს არ ეტყობოდა, რომ მასუ-კოტეხს არ უმუშავანია თავისი ტემპერამენტის ისეთი მგზნებ-არებით, ისეთი პოეტური ვატიცებით და ექსტაზით, როგორც პაპულტეხს ან ურდისზე. უმანგის ყვარყვარე საოცრად მინო-მენტული კვეთილობით, პოეტური პათეტიკით ხასიათდებოდა. სცენური გახზვადობის ძალა იმდენად დამაჯერებელი იყო, დაიდა, ეროვნულობის გვერდით — ზოგადკაცობრიულიც, რომ კოტეხს უმანგისათვის სერვანტის გენიალური ქმნილ-ბის „ღღობისტრის“ სცენური განხორციელებაც დააბარა თურ-მე. თუმცა ეს განხრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში შესაფერის პიესის უქონლობის გამო.

ამის უქონლობით მოთლდ სამართლიანი, გვეტევა, რომ პირიბების და გარემოების შესაბამისად კოტეხს და მოწუ-დინება დაალო „ყვარყვარე თუთაბერს“ ცდაცმას. კოტეხს რომ ინდიფერენტული განწყობილება ჰქონოდა ამ პიესის დად-გმისადმი, სპექტაკლში ვერ შეიქმნებოდა ისეთი ბრწყინვალე სცენური სახეები, როგორებიც უ. ჩამბაშიძის და ა. კაკა-ბაძისა — კაცუტა და ქუჩარა. ისინი თითქმის ცხოვრების წალიდან ამოსული სახეები იყვნენ კონგნაზლები, აზრო-ვების უნარს მოკლებული გულუბრყვილო გლეხებისა, რომელ-იც ახეივად იყვნენ თავის ინტერესების სასარგებლოდ გირო-ემატა ყვარყვარე. ამ შესანიშნავ მსახიობებს საუხურო კოლო-რიტულობით, კომიზმითა და ხალხურებით ჰქონდათ აღმტე-დილი ეს სცენური სახეები. ონდავ გროტესკული, მავრამ ხა-სიათში გადაწყვეტილი და შთამბეჭდავი იყო ც. წაუწუნავს-ლირას. ნ. გომალაშვილის — ტიტე ნატუტარი ტიპური გამოს-ხლებუა იყო უნებისყოფი და თავგარბანი მენშევიკი პოლი-ტიკიანისა, რომელსაც თავისი პოლიტიკური იდეალები პირ-ველად ნაცარში მოუქვია.

„როდესაც მარჯანიშვილი კომედიებზე მუშაობდა, — იგო-ნებს უშ. ჩხეიძე — ასე ეგვირბოდათ თვითონ განიცდიდათ დიდ სამოვებებს და ისეთ ხალხობით და სისწრაფით ავიებოდ და ყოფილიყვას, ისე იოლად და მსუბუქად, რომ ვერც კი იფიქრებდით თუ ამ დროს მისი მასხილო გონება და ფანტაზია რაიმე შემოქმედებით დაძაბულობას განიცდიდა, ისე ელვებო-ბური სისრულად მოქმედებდა. საერთოდ, როდესაც მარჯანი-შვილის მუშაობას უყურებდით, ყოფილთვის სისხარულს განიც-დიდით, ისე მოხდებოდა და ადვილად მუშაობდა“<sup>1</sup>. თუ გა-ვითვალისწინებთ პ. მარჯანიშვილის მიერ ქართულ სცენაზე დადგმულ კომედიებს: შ. ანტონოვის „მზის დაბნელებას სა-ქართველოში“, მოლოირის „გაანსაურებულ მდაბობს“, ნ. ბე-ნავედამის „ინტერესთა თამაში“, ნ. ახანის „ღებურტირას“, შ. დადიანის პიესას „აკაკა ლეული“, მათ თეატრულურობას, მათ ფანტასმაგორიულობას, მათ პოეტურ მგზნებარებას, სარ-წმუნო და გასაქარე გახდებდა უშ. ჩხეიძის ზემოთ მოტანილი სიტყვები, თუ რაკობ მოხდა, რომ „ყვარყვარე თუთაბერის“ დადგმაში, თვითონ ყვარყვარეს გარდა ამაღნი მომხიბლავი სცენური სახე წარმოუდგა მაყურებელს, რამაც ამ სპექტაკლს საეტყპო მნიშვნელობა მინიჭა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში.

<sup>1</sup> უშ. ჩხეიძე — პ. მარჯანიშვილი, რევისორი და ხელმძღვანელი, კრებ. „კოტეხს მარჯანიშვილი“, „ხელოვნება“, თბილისი, 1961 წ. გვ. 130.





# სოხუეის თეატრის კაბრიოტული სექსტაქლი

ნინო შვანგირაძე



ერთი ისტორიკოსი გადმოგვცემს: მაშინ, როდესაც ქართლში ოსმალოთა მრავალრიცხოვანი არმია შემოიჭრა (1609 წ.) სოფ. კველთაში მტერს შეუპყრია თედორე მღვდელი და მისთვის შეგზურება უბრძანებია.

ხუცეს ოსმალები საწინააღმდეგო მხარეს ქვენადრისაკენ წაუყვანია, რითაც მტერი უახლოესი მიზნისაგან დაუშორებია — ცხირეთის ციხეში გამაგ-

რებული მეფე ლუარსაბის შეპყრობისა და შიდა ქართლში შეჭრისაგან.

მღვდლის თვალთმაქთობას ოსმალები გვიან მიხვდნარან, დაუწყიათ მისი წამება, ვერ გაუტყნიათ, შემდეგ მისთვის თავი მოუკვეთიათ. თედორეს საგმირო საქმემ მტერს დაუკარგა მოულოდნელი და სწრაფი თავდასხმის შესაძლებლობა და ოსმალოთა სასტიკ გეგმასაც ნიადაგი შერყევია.

ცნობილია, რომ ამ დროს ცხირეთში

მეფეთან ერთად იმყოფებოდა ვიორობა სააკაძე და გამოჩენილი სარდალი ზაზა ციციშვილი. ამ მეტად დაძაბულ ვითარებაში გიორგი სააკაძეს საოცარი გონებაგამჭირაობა და საბრძოლო-ორგანიზატორული ნიჭი გამოუჩენია, რის შედეგადაც ოსმალებს პირი უბრუნებიათ და მტკვრის დინებას ზემოთ აპყლიან.

სამშობლოსათვის თავგანწირვის უამრავ ფაქტთა შორის, ეს უთუოდ საყურადღებო და საინტერესო შემთხვევა მწერალმა ოთარ ჩხეიძემ საფუძვლად დაუდო თავის 2 მოქმედებიან დრამას — „მათო თედორეს“, რომელიც სოხუმის დამამატული თეატრის ქართულმა დრამა წარმოადგინა.

აგტორმა შესძლო პიესა აეგდებინა ემოციური ზემოქმედების ძალით და სამშობლოს უსახვროდ მოყვარულ ადამიანთა დასამახსოვრებელი სახეები მოეცა.

ნაწარმოების მწვავე, სცენური სიტუაციები სრულიად ლოგიკურად, დამაჯერებლად გადმოგვცემენ ქართველი ხალხის სამართლიან ბრძოლას, თუძც არსებობდა ისტორიულ ზიზილ-პიპილოებში, ეპოქის არქივლო გი უ რ წვრილმანებში გადავარდნის საფრთხეც მაგრამ, როგორც დავინახეთ, მწერალს მიზნად დაუსახავს პიესაში დაქვინიდა ძირითადი. იგი საოცარ სიძუნწუსა და ლაკონიზმს იჩენს.

სექსტაქლი (დამდგემლი — გ. სულიკავეილი, აფხ. ასრ ხელ. დამ. მოღვაწე) მართალია ლაპარაკია XVII საუკუნის დასაწყისის მოვლენებზე, მაგრამ არსებითად მასში განზოგადებულია ყველა ეპოქისა და ხალხისათვის უკვედაი საკითხი — პატრიოტიზმის საკითხი.

პიესა თავისი იდეური მრწამსით, ურთიერთობით, რომელიც მყარდება პერსონაჟთა შორის, მაყურებელს უღვივებს გრძნობას, რომ არა არის რა სამშობლოს სიყვარულზე უფრო ძვირფასი. ეს არის ყველაზე უწინიღები, რაც მზადიულად უნდა ცოცხლოდეს ადამიანში. ამდენად ეს სცენური ნაწარმოები მაყურებელში ზრდის მაღალ, კეთილშობილურ, სამშობლოსათვის თავგანწირვის გრძნობას,

უნდა ითქვას, რომ სოხუმის ქართულმა დრამა შეძლო თავი შეეჯავებინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პიესის ეულგარული „გათანამედროვეობისაგან“, რასაც ზოგჯერ ვხვდებით ხოლმე სპექტაკლებში. და ამიტომ მზირად სიმძინის ცენტრი გადააქვს არა იმ ღრმა განმარტებებზე, რომლებსაც ქმნის აქტიორული შესრულება, არამედ გარგუნულ აქსესარებზე. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა ჩაითვალოს სპექტაკლის თანამედროვე გადაწყვეტად. სამუშეაროდ,

ეს ტენდენცია ზოგ ჩვენს თეატრში შეინიშნება ამ ბოლო დროს. თანამედროვეობა კი იმ აზრებში უნდა იყოს, რომლებსაც სპექტაკლი გააღვიძებს მაყურებლებში.

„მამაო თედორე“ თანამედროვე სპექტაკლია, რადგან მასში წარსულ დღეთა შესახებ ლაპარაკი იწყებს ფიქს დღევანდლობაზე.

დამდგმელ რეჟისორსა და მხატვარს (თ. ჟვანია) სპექტაკლი რომანტიკულ სტილში აქვთ გადაწყვეტილი. სპექტაკლმა მაყურებლის ყურადღება იმითაც მიიპყრო, რომ სცენაზე კვლავ გამოჩნდა საყვარელი მსახიობი თამარ ჭავჭავაძე. კვლავ ვიკრიქნით თ. ჭავჭავაძის ნიჭის ძალა, რომანტიკა, დაფუძნებული დიდ იდიურ მიზანსწრაფვასა, დიდ შინაგან ტემპერამენტზე.

თამარ ჭავჭავაძე თედორეს დედის ხორციანის დრამად დრამატულ სახეს ქმნის. მსახიობს როლი მიჰკავს საგმირო ტონალობით, მწვავედ, მომხიბვლელად, ტემპერამენტით.


თედორეს სახის რთულ და საინტერესო პატრიოტულ სახეს იძლევა მ. ჩუბინიძე (რესპ. სახალხო არტისტი). მსახიობი თავის გმირს აყენებს ცხოვრებისეულ, მართალ სიკუაიკებში, ამავე დროს აღიერიტებს მის ემოციურ ჟღერალობას. რთავს იმასურებს მაყურებლის მოწონებას.

მ. ჩუბინიძის რომანტიკული ტემპერამენტი და შესანიშნავი გარეგნული ფაქტურა ისე კარგად ერწყმის ერთმანეთს, რომ მაყურებელი ერთი წუთითაც ავ ითიშება თედორეს მაღალი პუმანური და ღრმად პატრიოტული ცხოვრებისაგან. თედორე ჩუბინიძის სახე პრინციპული და თავისი ქვეყნისათვის თავდადებული მოღვაწის მთლიანი სახეა.

აქტივობა ნამუშევრებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია აგრეთვე აფხაზ. დამს. არტისტმა ნ. მასხულიამ, რომელიც დრამატურგის მიერ მეტად საინტერესოდ დაწერილი, სისხამას რთულ როლს ასრულებს. მსახიობმა გვიჩვენა ამ ადამიანის რთული ბუნება, გვიჩვენა შეუდრეკელი სწრაფვა დიდი მიზნისაკენ. ნ. მასხულია ბევრ სცენაში მაღალ ემოციურობას აღწევს.

საერთოდ სპექტაკლი ანსამბლურია, იგი მაყურებელმა კარგად მიიღო.

სპექტაკლში ინტერესს იწვევს ქორო, რომელიც გამოსახავს ხალხის ნებასურვილს, გადმოგვიქვამს მის აზრსა და გრძობებს, მის სიმართლესა და უშუალობას. ქოროში მონაწილეობენ დამსახურებული არტისტები — ნ. ყფიანი, თ. მელაძე, მსახიობები — ქ. ჯორჯაძე, თ. შაშიაძე და სხვები, ჩვენ ვერ შევნიშნეთ ვერც ერთი პატარა მომენტიც



„მამაო თედორე“. თედორე — მ. ჩუბინიძე

კი მოქმედებიდან ან სახიდან გამოითიშვისა.

ქოროს შემოყვანამ და მისმა მხატვრულმა გადაწყვეტამ სპექტაკლში გარკვეული სიახლე შეიტანა, მაგრამ ამასთან ერთად ასეთ სცენურ ნაწარმოებში მიზანსცენები მოითხოვენ ნახაზის მეტ


მონუმენტალობას. საჭირო იყო უფრო დიდი მასური სახალხო სცენები, რითაც სპექტაკლი მეტ ეფერადობას მიაღწევდა.

„მამაო თედორე“ სოხუმის ქართული დრამატული თეატრის სეზონის საინტერესო და საყურადღებო ნამუშევარია.

ხორეშან — თ. ჭავჭავაძე



ფ. ვეფხვაძე  
ვეტეპორტრეტი



ხატურული სიმართლის ძიება — აი ძირითადი, რაც ცნობილი ქართველი ფერმწერის ივანე ვეფხვაძის შემოქმედებას ახასიათებს.

ბავშვობაში ვანო გატაცებული იყო რუბოსა და აივანოვსკის სურათებით, ხიბლავდა გიგო გაბაშვილის შემოქმედება, სულის სიღრმეში სწვდებოდა დიდი ქართველი მხატვრის ეროვნული ელფერით გამსჭვალული რვალისტური სურათები.

რევოლუციამდელი ცხოვრების წლებმა ისე განვლო, რომ მაღალკვალიფიციური პროფესიონალი მასწავლებელი არა ჰყოლია. ახალგაზრდობა სულ შვირდობაში გაატარა.

მის სიზარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა 1923 წელს თბილისში ახლად გახსნილ აკადემიაში მოხვდა. აქ მას გიგო გაბაშვილი ასწავლიდა.

და აი, განვლო დიდმა ცხოვრებამ, შემოქმედებითი ძიებისა და სრულყოფის მრავალმა წელმა...

1964 წლის მაისში თბილისის ოფიცერთა სახლში ექსპონირებულ იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ივანე ალექსის ძე ვეფხვაძის ნაწარმოებთა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო მისი ბევრი ღირსშესანიშნავი ფერწერული ტილო და გრაფიკული ნამუშევარი.

შემოქმედების 50 წლის მანძილზე მხატვარმა შექმნა უანრობრივად და თემატურად მრავალფეროვანი ნაწარმოებები, რომლებიც თვალსაჩინო ადგილს იჭერს ქართულ სახვით ხელოვნებაში.

თავის დროზე ივანე ვეფხვაძის ბევრმა მრავალფეროვანი კომპოზიციამ საუკეთესო როლი შეასრულა ქართულ საბჭოთა ფერწერაში, თემატური სურათის ტრადიციის სრულყოფასა და განვითარებაში.

შემოქმედის დიდი გზება, პოეტური შემართება იგრძნობა ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის ამსახველ ნაწარმოებებში, რომლებშიც გამოკვეთილია რევოლუციის დიდი ბელადის ულადიმერ ილიას ძე ლენინის უკვდავი სახე. მხატვარი ლენინს წაროსაზარს ემიგრაციასა და ოქტომბრის რევოლუციის ქარციხელთან დღეებში, „თოფიანი კაცების“ გარეოცვიში.

# უჩაქის ოსტატი

კოტე მესხი

ძველი თბილისი. შათან ბაზარი







რუსეთის ჯარის შესვლა თბილისში

ბევრი ნაწარმოები შთაგონა ივანე ვეფხვაძეს დიდი სამამულო ომის პერიოდში. მათ შორის საყურადღებოა „უცხო მიწაზე“.

ამ პატარა წერილში სახვითი ხელოვნების ზეოთის ნიმუშის გარჩევის ცდაც კი შეცდომა იქნებოდა და არც ზენ შვეცილებივართ ამ საქმეს. ერთი კი ნათელია: ამ კოლექციის მფლობელის გატაცება და საქმიანობა უდაოდ კეთილშობილური და პატრიოტულია, ამიტომ არის დაფასებისა და მიზაების ღირსიც.

ლ. გუდიაშვილი

ი. ნიკოლაძის პორტრეტი



მცემელს დავით ციციშვილს იგი ფაქიზად დაუცავს და გამოუფენია.

ამავე თაობის შესამე ღირსეული წარმომადგენლის, დავით კაკაბაძის „პარიზიც“ ამშვენებს ამ ფრიად საინტერესო გამოფენას. ზომით პატარა ამ სურათზე დიდი ოსტატობითაა ასახული დიდი ქალუბის ერთ-ერთი კუთხე განთიადის ეამს.

დავით ციციშვილის კოლექციაში საპატიო ადგილი უჭირავს პორტრეტს. ამ განარის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი პორტრეტი.

სახელოვანი მხატვრის ალექსანდრე ბაგუტუქ-მელიქოვის „ქალის პორტრეტიდან“, რომელიც ყურადღებას იქცევს მხატვრისათვის დამახასიათებელი ფერთა სიცოცხლით, ამაყი ღიმილით მშვიდად გვიყურებს ახალგაზრდა, ლამაზი დედა.

ქართული სახვითი ხელოვნების დეაწლონლი ოსტატი სერგო ქობულაძე წარმოდგენილია „დედის პორტრეტი“, (გრაფიკა), რომელიც გამოირჩევა შესრულების აკადემიურობითა და პორტრეტული დახასიათების



ციური რომანტიკითა და ფართო მოქალაქეობრივი ინტერესებით კვლავ იზიდავენ მკითხველს.

შეტად მოკლა და ჩვეულებრივი გერცელ ბააზოვის ბიოგრაფია. დაიბადა 1904 წელს რაჭის პატარა ქალაქ ონში. აქვე მიიღო პირველადწყვებითი განათლება და შევიდა ადვოკატობრივ გიმნაზიაში. 1922 წელს დაამთავრა საშუალო განათლება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომლის დამთავრების შემდეგაც ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას იწყებს. ეს არის რამდენიმე თარიღი მისი ცხოვრებიდან, მაგრამ ამ თარიღების უკან იმალება მწერლის დიდი შრომა, რადგან ასეთ უმოკლეს ვადაში (მისი პირველი წიგნი გამოვიდა 1929 წელს, ხოლო უკანასკნელი 1936 წელს) შეუძლებელი იყო ამდენი ნაწარმოების შექმნა. დაახლოებით 10 წელი მონაწილეობდა გერცელ ბააზოვი საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში და თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეძლო მასში თემატური სიახლის შეტანა, შეძლო გამეფება რაღაც ახალი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი.

გერცელ ბააზოვის პირველი ლიტერატურული ნაბიჯები ფრთხილი იყო. იგი თითქოს გაურბოდა პირდაპირ შემოვდა ამ რთულ საქმეს. ჯერ თარგმნასა და გადმოკეთებაში სცადა კალამი. 19 წლისა იყო, როცა ძველი ენაუღიდან სოლომონ ბრძენის უბრწყინვალესი ქმნილება პოემა-პასტორალი „ქება-თა-ქება“ თარგმნა. (მე-10 საუკუნე ჩვენს ერამდე). იგი დიდი პასუხისმგებლობის გრძობით კვიდებოდა ამ საქმეს.

არც შემდეგი ლიტერატურული ნაშრომი „დილაღამარი“ იყო ორიგინალური. გერცელ ბააზოვმა იგი გადმოაკეთა პოლონელი დრამატურგის ბენ აბრამის პიესიდან „ძველი კომედი“. მაგრამ მასში კარგად სჩანს ჭაბუკის დრამატული ნიჭიერება, მისი დამოკიდებულება ცხოვრებისეული მოვლენებისადმი. გ. ბააზოვმა პიესის მთლიანი სიუჟეტური ქარგა 20-იანი წლების საქართველოს ცხოვრების ამოცანებს დაუმორჩილა, რითაც ნათელი გახდა საბჭოეთის პოზიციებზე მდგარი ახალგაზრდა შემოქმედის შეხედულებანი. პიესას აქვს ერთი ნაკლი — იგი მოკლებულია გეოგრაფიულ ლოკალიზმს, განსაზღვრული არ არის გარემო, დრო და ამიტომ აბსტრაქტულის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ გ. ბააზოვმა მასში მაინც შესანიშნავად გაატარა ადამიანთა უკეთესი ყოფისათვის ბრძოლის თემა და გვითხრა, რომ ეს ბრძოლა უნდა წარმოებდეს აქ. დედაშიწაზე, კვლავ ადამიანებთან და არა კომპში მცხოვრებ ცრულმგრთებთან, რომ ღმერთი, როგორც ფიზიკური არსება, მირაჟია და მის სახელს მხოლოდ ექსპლიოტატორები ეფარებიან.

გერცელ ბააზოვი ქართულ ლიტერატურას შემოირჩა როგორც შესანიშნავი დრამატული და პროზაული ნაწარმოებების ავტორი. თავისი დროისათვის იგი უაღრესად თანამედროვე მწერალი იყო, თანამედროვე, რადგან გრძნობდა დროს, მის მოთხოვნებს და ამ მოთხოვნებს შესაფერის მხატვრულ ფიქსაციას უძებნიდა. რა დასაშალოა, შეიძლება დღევანდელ მკითხველს ბევრი რამ მის პერსონაჟთა ქცევასა და აზროვნებაში არქაული და გულუბრყვილოც ეჩვენოს, მაგრამ თუ ჩვენ გერცელ ბააზოვის მიერ შექმნილ მხატვრულ პროდუქციას შევხედავთ იმ დღეებისა და მისი მოთხოვნების თვალთ,

# სიძოცხლა — ნიბნეუკი

გურამ ბათიაშვილი



ცდათიანი წლების ქართული მწერლობა ტალანტთა ნაკლებობას როდი განიცდიდა. ამ წლებში შექმნილი ბევრი ჭეშმარიტი ლიტერატურული ქმნილება დღესაც სამართლიანად ითვლება საბჭოთა ლიტერატურის მონაბოვრად და გამარჯვებულ. XX საუკუნის მწერალთა ამ გაღვივებას ამშვენებს გერცელ ბააზოვის სახელიც. გერცელ ბააზოვი ქართულ ლიტერატურაში ლიტერატურული წინაპრების გაგრძელება, თან მოიტანა თავისი თემები, პრობლემები, საკითხები. მისი ნაწარმოებები დღესაც ცოცხლობენ და თავიანთი სიმართლითა და სითბოთი, რეკლუ-

რომელშიც ისინი იწვრებოდნენ, ხოლო ამას კიდევ დაემატებოდა, რომ მწერალს არ ჰქონია საშუალება გარკვეულ დროის შემდეგ დაეშვათებინა ისინი, რედაქტორმა გააწოა თავისი ნაწარმოებებისათვის (რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს), მაშინ დაგრწმუნდებით, რომ გ. ბააზოვი სამართლიანად ითვლებოდა პირველხარისხიან შემოქმედთა შორის. ალბათ ამითაც იყო გაპირობებული ის, რომ გ. მაჩავანიშვილმა ასე ფართოდ გაუღო თავისი თეატრის კარები სრულიად ახალ-გაზრდა დრამატურგს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ გ. ბააზოვის შემოქმედებაზე, ყოველივე შემოთქმული მანაც ცალმხრივად აღწევს მისი, როგორც მწერლის დირსება-ნაკლოვანებებს. მთავარი მანაც ის არის, რომ მან ქართულ მწერლობასა და თეატრში მოიტანა სრულიად ახალი თემა — საქართველოს ებრაელების ცხოვრება. გ. ბააზოვი მთელ თავის შემოქმედებაში ამ თემას ანუშავებდა და თავის პერსონაჟებთან ერთად ეძებდა საქართველოს ებრაელობის პროგრესის გზებს. გ. ბააზოვი პირდაპირ უყურებდა თვალდებო მთვლენებს, ის რეალისტი და ოპტიმისტი იყო და საქართველოს ებრაელობის მომავალს მხოლოდ მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან და მუშათა კლასთან ერთიანობაში ხედავდა. მწერლის ეს მსოფლმხედველობა შესანიშნავად გამოიკვეთა მის ყველა ნაწარმოებში — იქნებ ეს ებრაელთა ცხოვრების ამსახველი ფართო ტილი „ფეთხანი“ თუ რევოლუციური რომანტიკით აღსავსე „იცკა რიენაშვილი“, „გელათის ქუჩის დასასრული“ თუ „მუნჯები ალაპარაკდნენ“. ერთი სიტყვით, ყველა პირველ და მეორეხარისხიან ნაწარმოებში.

გერცელ ბააზოვის ტალანტი, მისი შემოქმედებითი თავისებურებანი ყველაზე უფრო მკაფიოდ და ძლიერად დრამატულ თხზულებებში გამოვლინდა. პირველი ცნობილი პიესა გ. ბააზოვისა „მუნჯები ალაპარაკდნენ“ შესანიშნავი ნიმუშია იმისა, თუ როგორ იბრძობა მწერალი თავისი მსატრელი სიტყვის ძალით საბჭოთა სოფელში ახლის განმტკიცებასათვის. პიესაში „მუნჯები ალაპარაკდნენ“ — ასახულია ქართული სოფლის სოციალისტურ რელსებზე შედგომის პირველი ეტაპები, პირველი და მძიმე დღეები ქართველი კომუნისტებისა. დღეს ამ თემაზე ჩვენს ლიტერატურას, როგორც ქართულს, ისე რუსულს, ბევრი ნაწარმოები მოეპოვება. მაგრამ მაშინ „მუნჯები ალაპარაკდნენ“ ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ამ საკითხს ანუშავებდა, შეიძლება სწორედ ამითაც იყოს გამოწვეული პიესის ის ზოგიერთი ხარეზმი, რომელიც დღევანდელ მკითხველს თვალში ხვდება. როგორც ჩანს, იმ დროს ავტორი პიესის იდეური სიძლიერით უფრო იყო გატაცებული და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მისი მხატვრული აქსესუარებით გადმოცემას. თავისი ძირითადი ამოცანა კი შესანიშნავად დასძლია დრამატურგმა. დარბასა და დიდ-სიხის შორის კონტრასტსა და წინააღმდეგობას ავტორი პირველივე სურათებიდან, პირველივე რემარკებიდან გვაგმრავს. მან სცენაზე ერთსა და იგივე სახელში დაასახლა მედიდარი და ღარიბი ებრაელები. ეს თითქმის მიგვიანიშნებს ამ ადამიანების რელიგიურ ერთიანობაზე, მაგრამ მათს მიზეზს, როგორც ასე-ბული კონტრასტი უკვე სცილდება რელიგიური რწმენის ერთიანობასა და კლასობრივ სხვადასხვაობაზე მიუთითებს. სწორედ ეს არის პიესაში მთავარი. აქ ორი ერთმანეთის მო-

წინააღმდეგე ფენა — მდიდრები და ღარიბები. შვირ სფოა-შვილისათვის მდიდარი ხარითონ ამზიანიძე და დანიელ შა-თარაშვილი ერთნაირად შორეულიები არიან, თუმცა ეს უკანასკნელიც ებრაელია ისევე, როგორც შვირი. დანიელ შათარაშვილისათვის კულაკი ხარითონი უფრო ახლობელია, ვიდრე რომელიმე ღარიბი ებრაელი. გავისწნოთ ხარითონის სიტყვები, როცა იგი იმისა უნებნა: „მე უნია ხარ, დანიელი კი ებრაელი“, ხოლო დანილის განმარტებულ „უშნო ვარ და ყველას უჯაყებთი“ ავტორი თავის დამოკიდებულებას იმის ენით გვაგმნობს: „უშნო კი არა ვარ, ღარიბი ვარ, გაჭირვებული და ყველა თავზე შემეაყეებით“.

ასე რომ გ. ბააზოვმა პიესაში წარმოგვიდგინა ორი ერთმანეთის წინააღმდეგე განწყობილი საზოგადოება, ძნელი იქნებოდა გვეთქვა, რომ ესენი დაყოფილი არიან კლასებად, რადგან ყველა დარბის როდი აქვს შეგნებულ კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა. სწორედ ამ მისის შესრულება აკისრია: მეიჩისა და ის ჩაუვდება სათავეში ღარიბებში. ღარიბები გაერკვევიან ცხოვრებისეულ მოვლენებში და გაერთიანდებიან კოლმეურნეობაში. ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში დამუჩნებულ იყვნენ, ალაპარაკდებიან. მათ ალაპარაკებთ ახალი ცხოვრება, რომელიც საკოლმეურნეო მოძრაობამ შემოიტანა სოფელში.

გ. ბააზოვი ებრაელების აწყყისა და მომავლის პრობლემის დამამუშავებლად ქრონოლოგიურად განვილი პერიოდს აღ მიმართავდა ხოლმე. პიესაში „იცკა რიენაშვილი“ ავტორი საგრძნობლად უკან იხევს და 1905 წლის ქარიშხლიან დღეებს აღწერს, მაგრამ წარსულს დრამატურგი თავისი დროის თვალთ უყურებს, თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიისათვის დამახასიათებელ პირობაში ატარებს.

„იცკა რიენაშვილი“ ერთ-ერთი მეტად საინტერესო და სრულყოფილი ნაწარმოებია გ. ბააზოვისა. სწორედ ამ პიესაში გამოიკვეთა მისი, როგორც შესანიშნავი დრამატურგის შემოქმედებითი პროფილი. მას უნარი შესწევს ხელი მოკიდოს ფართო თემებს და კარგად დაამუშაოს. და ეს გასაკვირვება, გ. ბააზოვი იყო შემოქმედი, რომლის ტალანტიც ზრდისა და განვითარების პროცესში იყო. იგი ბევრს მუშაობდა თავის თავზე, ყოველდღიურად აფართოებდა ხედვისა და აზროვნების არეს. „იცკა რიენაშვილი“ დაიწერა 1936 წელს, სწორედ იმ დროს როცა ავტორს თავის შემოქმედებითი ლაბორატორიაში დიდი ცხოვრებისეული მასალა ჰქონდა დაგროვილი, ჰქონდა გამოცდილება და შეეძლო ნანახი და განსიძლიე გადაეჭანა ქალაღზე. ასეც მოხდა. ბ. ფენტიც შესანიშნავ, ამომწურავ ანბოზს უკეთებს ამ ნაწარმოებს, როცა წერს: „იცკა რიენაშვილი“ ისტორიული-რეალიზაციური ჟანრის ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშთაგანია. შეიძლება გაითქაბებულა ითქვას, რომ მიოვლს მრავალფეროვან საბჭოთა დრამატულ მწერლობას იწვითად შეუქმნია ასეთი დიდი ამაზონის ნაწარმოები ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის თემაზე“.

„იცკა რიენაშვილი“ ასახულია 1905 წლის რევოლუციის დღეები ქუთაისში. ამ რევოლუციას შესწირია სიცოცხლე იცკამ, ჰამუცმა, რომელსაც რევოლუციისათვის ბრძოლა მარქსისტულმა ლიტერატურამ შთაგონა. რთული და საინტერ-



რისო ცხოვრების გზა განვლო ღარიბი მწვერილმანის შვილმა, მაგრამ ყველგან, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ხარბად ეწაფებოდა რევოლუციურ ლიტერატურას, კლასთა ბრძოლის თეორიას, რომელზეც შემდეგ მისი შვებნა ბრძოლის წყურვილით დიპკრო. იცა შეებრძოლა უსამართლობას და გმირულად შეაკვდა შვარზმელეს. პიესა 1905 წლის რევოლუციის ასახავს. მართალია, მისი მთავარი მოქმედი გმირი იცა რიეინაშვილია, მაგრამ მის ირგვლივ შემოკრებილი ებრაელების, ქართველების, რუსების და სხვათა ცხოვრების სახით ავტორი გვიჩვენებს მთელ იმდროინდელი საქართველოს რევოლუციურ სულს, თუ როგორ ებრძოდნენ ყველა ეროვნების მოწინავე ადამიანები მათ საერთო მტერს, თუნდაც ანგობლანი ყოფილიყვნენ ისინი. „იცა რიეინაშვილი“ არის რევოლუციური რომანიზმი ალსავე ნაწარმოები, რომლის ყოველი პასაჟი, ყოველი ეპიზოდი გიპაზრობს და მოგვიწოდებს ამ ბრძოლისაკენ. პიესა დაწერილია ცოცხლად, შთამბეჭდავი და ემოციური, პიესის ყველაზე ტრაგიკული სცენა ე (იყავს დაღუპვა) ატომისტურად ჯღერს, რადგან მწერალს სწამს, რომ გმირების საქმეს გააგრძელებენ სხვები, რომ იცას საქმე არ დარჩება დაუმთავრებელი. ასეც ხდება. დადამ ცნობილად შურს იძიებს რევოლუციისათვის თავდადებული მგობრის გამცემლებსა და მცველებზე.

„იცა რიეინაშვილის“ ძირითადი თემა ბრძოლა ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი მომავლისათვის. ასეა მის სხვა პიესებშიც, ასეა პროზაულ ნაწარმოებებშიც, რომელიც სოციალისტურ ქალაქსა და სოფელს მიუძღვნა მწერალმა.

ჩვენ აქ არ განვიხილავთ მწერლის პროზაულ ნაწარმოებებს „გელათის ქუჩის დასასრულსა“ და „შემართის უკანასკნელ სიტყვას“, რადგან ორივე ამ ნაწარმოების თემა ძალიან ახლოს დგას პიესასთან „მუნჯები აღაპარადნენ“ (განსაკუთრებით კი „შემართის უკანასკნელი სიტყვა“, რომელიც აგრეთვე სოფლად საკომუნურნო წყობილების განმტკიცებას ეხება).

გ. ბააზოვის პროზაულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „ფეთხანი“. „ფეთხანიში“ ასახულია 1921-23 წლების ცხოვრება. ამ საერთო ფონზე კი ის ძირითადი ძეგლები ქართველი ებრაელების ცხოვრებაში და ის სულიერი გარდატეხანი, რაც რევოლუციის შემდეგ მოხდა.

რომანში გ. ბააზოვმა წარმოგვიდგინა ებრაელთა საზოგადოების ორი სხვადასხვა ფენა — ერთია შთაშვლიანთა და ბერძნის ვიწრო ჯგუფი, ხოლო მეორე ნათანისა და შულისა, რომელთა მხარეზეა ცხოვრება, მომავალი. ამ ორი ჯგუფის


დაპირისპირება ავტორს უბრალო სქემატური კონფლიქტისათვის კი არ აქვს გამოყენებული, არამედ მასში გადატყდება იმ დღეების დიდ შტრეკებთან ამბავი, ამბავი ახლოს და ძველის ბრძოლისა. თუ გერცეულ ბააზოვმა „იცა რიეინაშვილი“ შესანიშნავად წარმოგვიდგინა რევოლუციამდელი საქართველოს ებრაელების ცხოვრება, „ფეთხანიში“ მან ფართო რაჟურსით ასახა ქართველი ებრაელების რევოლუციის შემდეგ დროინდელი ყოფა. იგი რეალისტური სისასხით მოგვიხიბრობს რომანის გმირების ბედზე, მათს ცხოვრებაზე. მიუხედავად იმისა, რომ „ფეთხანიში“ (და სხვა ნაწარმოებებშიც) მრავალი პერსონაჟია ადახსიათებული, მწერალი არსად არ იმეორებს თავდაბრუნებას და თითქმის ყველანი თავიანთი ინდივიდუალური თავისებურებით გამოირჩევიან. გ. ბააზოვს აქვს ქვეტექსტისა და სიმბოლიკის შესანიშნავი გრძობა. მისი სიმბოლიკა არასოდეს არ არის ვიწრო, ყოველთვის გამომსახველი და რაიმეს მთქმელია. გავისწნოთ „ფეთხანის“ ერთ-ერთი უძლიერესი ეპიზოდი — სცენა სალოცავში. აქ იღუპება ნათანის მამა, რომელიც წვერია ახლად დაასრულებული არტელის „პირველი ნაბიჯი“. ავტორი გვიხატავს ტრადიციულ „სიონის ტირილს“, როდესაც ებრაელები გლოვობენ იერუსალიმის დაცემას, ბაბილონელთა მიერ მის გაოხრებას (586 წ. ჩვენს ერამდე). მწერალმა ოსტატურად დაუკავშირა ერთმანეთს ეროვნული და საზოგადოებრივი სატიკივარი, ნათანის მამის დაღუპვა დიდ გულისტკივლს იწვევს ავტორში, რადგან იგი წვერია „მომავლის მწვერავთა“ ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი ჯგუფისა. ამიტომაც ეს ეპიზოდი ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და დაბაბულია ნაწარმოებში.

„ფეთხანის“ მეორე წიგნის დაწერა არ დასცალდა ავტორს. იგი მსხვერპლი გახდა 1937 წლის ტრაგედიისა.

დღეს გერცეულ ბააზოვი დაუბრუნდა თავის მრავალრიცხოვან მკითხველს, დაუბრუნდა უფრო ძლიერი და გაბედული, სწორედ ისე, როგორც ევროპაში სასწავლებლად წასული იცა რიეინაშვილი დაუბრუნდა რევოლუციურ ახალგაზრდობას, აღტკინებული საბრძოლველად, რათა ადამიანებისათვის მოეტანა სიკეთე და ბედნიერება.

გერცეულ ბააზოვმა თავის მკითხველთა გულში დასტივა არა ერთი და ორი თბილი და ნათელი სტიქიონი, რომლებიც ყოველთვის შეგვახსენებენ ამ მწერლის მიერ განვილი ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად საინტერესო შემოქმედებით გზას, გზას, რომელიც აბოლოციდა მწერლის გამარჯვებით დაგვირგინდა. დღეს 60 წლის გერცეულ ბააზოვის სიცოცხლე მის მიერ დაწერილი წიგნებში გრძელდება.

დმიტრი ყიფშიძე  
ლომი





ლადო მესხიშვილი

ერთ-ერთ ქართველ არქიტექტორს, რომლის ნაყოფიერმა შემოქმედებამ უკვე გარკვეული კვალი დასტოვა ჩვენს ქალაქსა და სამშობლოში.

თბილისის ქუჩებში ხშირად შეიძლება შეხვდეთ მოხდენილ ვაგსაც სახის მკვეთრი ნაკვებით, გრუზა ხუჭუჭა, უკვე შევერცხლილი თმებითა და დამასასიათებელი ჩქარი მოძრაობით. ამ ჭაბუკს, დიან აქ არაა კალმის შეცდომა, ვინაიდან მისი მეგობრების თვალში იგი დღესაც ჭაბუკის განსახიერებაა, უკვე ნახევარი საუკუნე შეუსრულდა და ყველაფერთან ერთად არის დასრულებული ოსტატი-ხუროთმოძღვარი.

ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი დაიბადა 1915 წლის 28 სექტემბერს, ქალაქ თბილისში, ინტელიგენტურ ქართულ ოჯახში. მამა მისი შალვა იყო ცნობილი იურისტი და საზოგადო მოღვაწე, დედა ქეთევანი ფრიად განათლებული და საინჟინერო სახეს ჰქონდა, „მოამბის“ რედაქტორის ალექსანდრე ჭყონიას ასული. პაპა — ლადო მესხიშვილი უფროსი — განთქმული ქართველი მხატვარი. და საზოგადო მოღვაწე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ალექსი-მესხიშვილების ოჯახი XVIII საუკუნიდან საქართველოში განათლების ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა. აქედან გამოვიდნენ მწიგნობრობის, კალიგრაფიის, მხატვრობის თუ საეკლესიო გალობის თვალსაჩინო მოღვაწენი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ გვარის წარმომადგენელთა ორსაუკუნოვანი სამსახური ანჩისხატის ტაძარში. გრიგოლ მესხიშვილი, რომელიც ანჩისხატის ტაძრის დეკანოზად მუშაობდა და მისი ძმა დავითი მხატვრები და კალიგრაფები იყვნენ. პირველი 1711—1724 წლებში თან ახლდა ვახტანგ VI-ს რუსეთში (და მას მიეწერება მეფის ცნობილი პორტრეტი), ხოლო დავითი მეფისწულების აღმზრდელის მოვალეობას ასრულებდა. 1814 წელს დეკანოზ დიმიტრი მესხიშვილის თაოსნობით კვლავ იქნა მოხატული ანჩისხატის ტაძარი.

ლადო მესხიშვილმა დამათავრა თბილისის მე-14 სკოლა და 1933 წელს შევიდა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის არქიტექტურულ ფაკულტეტზე. უმაღლეს სასწავლებლებში მან საფუძვლიანი განათება მიიღო. მისი სასწავლებლები-პროფესორები იყნენ ყირქეხალი, ანატოლ კალგინი და სხვები ზოგადი არქიტექტურული განათლების დანერგვასთან ერთად, დიდ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებას. 1939 წელს ლადო მესხიშვილმა დამათავრა ინსტიტუტი და არქიტექტორის კვალიფიკაცია მიენიჭა. სტუდენტობის წლებში იგი გატაცებულია არქიტექტურით, ბევრსა და კარგად ხატავს და ამავე დროს სარბად უყვარს სიცოცხლე მივლი მისი მრავალფეროვნებით, განსაკუთრებით კი სპორტი. 1935 წელს იგი საქართველოს ჩემპიონია კრივში. შემდეგ ეუფლება სათხილამურო სპორტს და 1939-40 წლებში საქართველოს ჩემპიონია სამთო სპორტის ურთულეს სახეობაში — სლალომში. მას უყვარს ცურვა, ალპინიზმი, ტურიზმი... უკანასკნელ დრომდე ლადო და მისი ძმა გივი ცნობილი ინჟინერ-ტექნიკოსი ყოველ დილას ფეხით ადიოდნენ უძოსა თუ კიკეთში.

ინსტიტუტის დამათავრების შემდეგ მან ვერ მოასწრო რა-

# ბზა

# ბრძელება

ირაკლი ციციშვილი



ს უროთმოძღვრება ქართველი ხალხის დიდი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, უფრო მეტიც, არც ერთ სხვა დარგში არ ვლინდება ქართველი ხალხის შემოქმედებითი უნარი და ნიჭი, ისე როგორც პოეზიასა და ხუროთმოძღვრებაში. სამწუხაროდ დღეს, როდესაც არქიტექტურას უდიდესი როლი ენიჭება თანამედროვე საზოგადოების გარემოს შექმნაში, ფართო საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი რჩება მნიშვნელოვან შენობათა შექმნელთა სახელებიც. ამიტომ განვიზრახეთ წინამდებარე ნარკვევი მიუფუძღვანათ



იმე მნიშვნელოვანს შექმნა არქიტექტურაში. დაიწყო დიდი სამამულო ომი და ლადო მესხიშვილიც ოთხი წლის მანძილზე საბჭოთა არმიის რიგებშია. ომის შემდეგ არქიტექტორი მუშაობს სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციებში და არსებითად აქ თანდათანობით გრძელება და ეუფლება თავის რთულ პროფესიას.

ლადო მესხიშვილის პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოების შექმნა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც საბჭოთა არქიტექტურის შემოქმედებითი მიმართულება თანდათანობით იხრება მცდარ პოზიციებზე. ამის შედეგად საქართველოშიც ეროვნული არქიტექტურის შექმნის მართებულმა მისწრაფებამ სრნამდვილეში გამოიწვია არქიტექტურის არსისა და მიზნის დადგინება და არასწორი გააზრება. დაიწყო გატაცება სახეიმი, მონუმენტური ფასადებით, სადაც ბრძანდ იყენებდნენ ეროვნული მიმკვიდრების ფორმებს და დეკორატიული მოტივებს. ამ მიმართულების ანარქული თავს იჩენს წყალტუბოს სანატორიუმში — „იმერეთი“, რომელიც 1948 წელს დაპროექტეს ლადო მესხიშვილმა და ლევან ჯანელიძემ და საბოლოოდ განასორცველეს 1957 წელს. ამ შენობაში გარკვეული ყურადღება ექცევა ფუნქციური მხარეების გადაწყვეტას, კარგადაა გამოყენებული რელიეფი, დეკორატიული მორთულობის რეპერტუარში ბევრია ახალი, ცოცხალი მოტივი და საერთოდ დეკორი გაცილებით თავშეკავებულია ამავე კურორტზე აკებული სხვა სანატორიუმებთან შედარებით.

1949 წელს ტყიბულში ლადო მესხიშვილის პროექტით შენდება კიდევ ერთი სანატორიუმის. მაღალი და ცხოველსატული მოიგის ფონზე დგას შედარებით მცირე, კარგი პროპორციების ორსართულიანი შენობა. მისი პირველი სართულის ერთიანი თაღიდი ყურ რიხალიტებით განაპირობებს და მრავალსტეპიანი გამაღმელი აფიანი ზედა სართულზე, გვაგონებენ XIX საუკუნის ქართულ სასახლეთა სასიაშიფონო კომპოზიციებს. სუფთა, მკაფიო ფორმები, მკვეთრი ხაზოვნობა, სიმწუნე დეკორის მხრივ, უკვე გვიჩვენებენ ავტორის მიერ ძველ მეგვიდრეობაში ჯანსაღი და პროგრესული ტრადიციების ათვისების კარგ ტენდენციას. ამავე პერიოდში იგი აგებმარებს დასასვენებელ სახლს ტყვარჩელში. აფთიაქის შენობას ტყიბულში და სხვა.

1952 წელს ლადო მესხიშვილი ნიჭიერ ქართველ მხატვარ თამარ აბაკელიანთან ერთად მუშაობს ლესია უკრაინკას ძველის პროექტზე. ამ ნაწარმოებში, რომელიც სურამში დაიდგა, თამარ აბაკელიამ შესწავლა შექმნა ხალხის ბედისთავის მებრძოლი, უკრაინელი პოეტი ქალის დამაჯერებელი და შთამაგონებელი სახე. არქიტექტურის მონაწილეობა გამოიხატა იმ მაკანსა და ლაიონურ პიედესტალში, რომელიც კარგად უპასუხებს საერთო ჩანაფიქრს და მოკრძალებით უთმობს პირველ ადგილს თვით ქანდაკებას.


სანამ ლადო მესხიშვილის სხვა ნაწარმოებებს შევხებოდეთ, მინდა აღვნიშნო, რომ იგი ამ წლებში დაუმეგობრდა მოსკოვის ერთ-ერთ უნიჭიერეს საბჭოთა არქიტექტორსა და მეცნიერს ანდრეი ბუროვს, რომელიც ნათლად ხედვდა იმ პერიოდის საბჭოთა არქიტექტურის მთელ მანკიერებას და გაბედულად უარყოფდა კლასიკური არქიტექტურის რემინისცენციას. ბუროვმა პირველმა დაიწყო არქი-




თბილისის სპორტის სასახლე

ტექტურულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტილებათა ძიება, დააყენა ახალი და გადაუდებელი პრობლემები ინდუსტრიული ბინათმშენებლობის დარგში. მისი ეს აზრები გამოთქმულია 1944 წელს დაწერილ წიგნში — „არქიტექტურის შესახებ“, რომელიც 1960 წელს გამოქვეყნდა და ბევრ შემთხვევაში წარმოადგენს იმ ძირეული გარდატეხისა და ახალი მიმართულების განჭვრეტას, რომელიც შემდგომ დაისახა საბჭოთა არქიტექტურაში. ა. ბუროვთან ურთიერთობამ და გულწრფელმა საუბრებმა, ვფიქრობ კეთილი გულენა იქონიეს ლადო მესხიშვილის შემდგომ შემოქმედებაზე და საერთოდ მისი ჩამოყალიბებებზე. შემდეგ წლებში იგი აგებმარებს რამოდენიმე დიდსა და მცირე საცხოვრებელ სახლს. მათ შორის აღსანიშნავია სააგარაკო ტიპის 4 ბინიანი სახლი (1956 წ.) და 8 ბინიანი სახლი (1962 წ.) წყნეთში, აქვე 1955 წ. აგებული ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის აგარაკი, მწერელი ლევან გოთუას სახლი არმაზში (1962 წ.) და ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში ჭავჭავაძის პრისბექტზე (1959 წ.). ყველა ჩამოთვლილ ობიექტში უკვე სახეზეა არა მარტო საბჭოთა არქიტექტურის ახალი შემოქმედებითი მიმართულების ტენდენციები, არამედ ამოცანის არქიტექტურული ლოგიკით გამართლებისა და გააზრების თვით ავტორის უნარიც. ყველა შენობაში თავს იჩენს მისი ფუნქციის გათვალისწინება, ხაზოვნება, სისადავე და გარკვეული მოხდენილობა, რომელიც მიღწეულია აგრეთვე ფუნქციურად გამართლებული, მეტყველი საჩრდილობელი თუ სხვა ელემენტების მარჯვე გამოყენებით. რაც მთავარია, ლა-

სოხუმის სასტუმრო (მაკეტ)






თბილისის სპორტის სასახლე, დარბაზი

დო მესხიშვილი ყველგან გამოდის არა წინასწარ დასახულ რაიზე მხატვრული თუ არქიტექტურული კონცეპციიდან, არამედ იმ რეალურ წინამძღვრებიდან, რომლებიც ნაკარნახევია ბუნებით, რელიეფით, ადამიანთა მოთხოვნილებებით. საფიქრებელია, რომ არქიტექტორი უკვე საფუძვლიანად ეცნობა უცხოეთის არქიტექტურული პრაქტიკის საუკეთესო ნიმუშებს ე. წ. ორგანულ არქიტექტურას და განსაკუთრებით რისხარდ ნეიტრის შემოქმედებას.

50-იანი წლების დასასრულს ლალო მესხიშვილი კიდევ მრავალ სხვა პროექტზე მუშაობს, აღსანიშნავია მშენებლობის სამინისტროს სანატორიუმი და ნახშირის მრეწველობის სამინისტროს სანატორიუმი წყალტუბოში, ბავშვთა სანატორიუმი სიხუშში, სათხილამურო ბაზა ბაკურიანში, ძალიან მიმზიდველია თავისი კომპოზიციითა და გარემოსთან შერწყმით მწვანე თეატრი თბილისის კიროვის პარკში, პანორამული კინოთეატრის შენობა 2500 მაყურებელზე საბურთალოს ახალ საცხოვრებელ რაიონში და სხვა შენობები, რომელთა უმრავლესობისათვის უცხოა გეომეტრიული პირობითობა და შეზღუდულობა და ესთეტიკური მეტყველებაც იქნება საცემით რაციონალური მეთოდებით.

1959 წელს გამოცხადდა კონკურსი მოსკოვის სახალხო მურწნობის მიღწევათა გამოფენის საქართველოს პავილიონის პროექტზე. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 16 საავტორო კოლექტივმა, მათ შორის ერთ ჯგუფს (არქ. ვ. აბრამი-

ახალგაზრდობის სასახლე თბილისში (მაკეტი).



შვილი, რ. ბაირამაშვილი, დ. მორბეაძე, ჯ. ჯიბლაძე) სათავეში ჩაუდგა ლალო მესხიშვილი. პროექტში, რომელსაც I პრემია მიენიჭა, ყურადღებას იპყრობს ჩანაფიქრის სიცხადე. შენობა გადაწყვეტილია, როგორც დიდი სწორკუთხოვანი მოცულობა, მთლიანად შემიწული კედლებით, რომელსაც იცავს ლითონის მოხდენილი ცხაური. ამ ცხაურის ნახატი ნაკარნახევია ეროვნული არქიტექტურის მოტივებით, ისევე, როგორც დარბაზული დედაბოძის ჩართვა შენობის პორტალოში. როგორც ვხედავთ ავტორები ცდილობენ მიანიჭონ თანამედროვე სამშენებლო ტექნიკას, თანამედროვე არქიტექტურულ ორგანიზმს ეროვნული კოლორიტი. თუმცა ტუმარიტება მოითხოვს აღნიშვნას, რომ ასეთი ხერხი შეიძლება დასაშვებია იყოს, მაგრამ მაინც იოლია და გაუმართლებელი. მაგრამ აქ ჩვენ გვანიტერესებს არა იმდენად მიდგომის პრინციპი, არამედ ავტორის გარკვეული ტენდენციები.

1961 წელს ლ. მესხიშვილი არქ. ე. კასრაძესა და კონსტრუქტორ დ. ქავთასთან თანამშრომლობაში ქმნის სპორტის სასახლის შენობას თბილისში, უკანასკნელი პერიოდის საბჭოთა ქართული არქიტექტურის ერთ-ერთ უდიდესსა და უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს.

შენობა დგას საბურთალოს ყოფილი ბაზრის ტერიტორიაზე, ახალი მოედნის მიჯნაზე. იგი აგებულია უზნის სიღრმეში 40 მეტრით უკან დაწეული, რის წყალობით შეიქმნა სამი მხრიდან მოხერხებული და კეთილმოწყობილი მისასვლელი, გამოიყო ადგილი მწვანე პარტერებისა და ავტომანქანების სადგომებისათვის. შენობა წარმოადგენს 88,4×66,4 მ ზომის ოთხკუთხედს, მის ცენტრში მოთავსებული სპორტული არენა, რომლის ირგვლივ გაშლილია ამფითეატრი 10000 მაყურებელზე. სასახლე გათავისუფლებულია სპორტულ სანახაობათა და შევიხრებათა მოსაწყობად, მათ შორის ზართის სპორტულ სახეობათა სადემონსტრაციო და სათანადოდ აღჭურვილი ხელოვნური ყინლის მოედნის შესაქმნელი დანადგარებით. აქვე შეიძლება ჩატარდეს სასეზონო სხდომები, დიდი კონცერტები და კინოფილმების დემონსტრაცია. ასეთ შემთხვევაში ხდება არენის ტრანსფორმაცია — დიდ ესტრადად და პარტერად, დარბაზის ტევალობის შემცირებით 7000 მაყურებელამდე. სასამლეო განსაკუთრებით მოხერხებულადაა გადაწყვეტილი მომსვლელთა მოძრაობა და ევაკუაცია. შენობის სამხრეთი სტოა 33 კარის შემეფებით კარგად უკავშირდება დარბაზს გარშემორტყმულ ფოიეს. შენობა მომშენებლოვნად (4.75.) ჩაღრმავებულია მიწაში, ამიტომ ფოიეში მოხვედრილი მაყურებელი ან ჩადის პარტერში, ან 14 შესასვლელით ადის ამფითეატრში. ამას გარდა შენობის კუთხეებში განლაგებულია 4 განიერი კიბე ზედა გალერეაში ასახველად, საიდანაც თავის მხრივ, 16 შესასვლელია ამფითეატრში. ცოკოლის სართულში მარჯვდაა განლაგებული დარბაზები და ოთახები სპორტსმენებისათვის და მაყურებელთა მომსახურებისათვის საჭირო ყველა დამხმარე და ტექნიკური სადგომები.

შენობა აგებულია რკინა-ბეტონისაგან და მოპირკეთებულია ელარის თეთრი ქვით. დარბაზი გადახურულია დამრეკი, ასაწყობი რკინა-ბეტონის 76 მ დიამეტრის გუმბათგარისით. განსაკუთრებით კარგ სადებედილებას სტოვებს ინტე-




რიერი. მთლიანი სივრცე, რომელიც გარშემოსაქვლელი გამ-  
ჭვირვალე გალერეის მეშვეობით უშუალოდ უკავშირდება გა-  
რემოს, საესტაჟაჟო და სინათლით. შიდა მოპირკეთე-  
ბის სისადავე და მეტყველება, ფერისა და ხელოვნური გა-  
ნათების მარჯვე გამოყენება ხელს უწყობს საზეიმო გან-  
წყობილების შექმნას.

შენობის გარე სახეც უაღრესად ლაკონურია. მის მეტყვე-  
ლებას, პირველყოფილსა, განსაზღვრავს სიმართლე — გარე  
მასების სრული შეთანხმება შიდა ორგანიზმთან. ფსაადების  
ძირითად მოტივს შეადგენს სამხრეთ-სამხრეთ-დასავლეთი ღრმა  
სტოა-თაღნარი. თაღების შევხვენიერ ნახატი, რკინაბეტონის-  
კონსტრუქციების შისაძლებლობის შესაბამისი მასშტაბი  
(მართლ 13,4 მ), საესტაჟაჟო ლოკალირება და ფუნქციურად გა-  
მართლებული. იგი ანიჭებს შენობას სიმშატეს, სიღრმეში  
შეწეული შესასვლელით იქცევა მიმზიდველ საშუალებად,  
რაც შევეფერება მასობრივ სანახაობათა ობიექტს, ამავე დროს  
წარმოადგენს გამართლებულ საფარს სამხრეთის მზისა და  
აღრისაგან. სიმსუბუქისა და მოხსენილობის შთაბეჭდილებას  
აძლიერებს თაღის ზემოთ მოთავსებული აფურული, შემინუ-  
ლი რკინაბეტონის ბადისებრი ზოლი, რომელსაც ამთავრებს  
საკმაოდ მძლავრად გამოწეული ლავარდნის ფილა. დასას-  
რულ შენობა დაეირიგირებულია რამდენიმე მძიმე გარისი.  
საერთო ჩანაფიქრის შეესაბამება კედლების მიყვრებალი მო-  
პირკეთება, რის შედეგადაც აღიქმება მხოლოდ ნათელი სიმ-  
ბრტყეები, შემინულ ზედაპირებსა და დარჩილულ ლოკა-  
ციებთან კონტრასტს.

სწორი არ იქნებოდა არ აღგვენიშნა ამ მნიშვნელოვანი  
ნაწარმოების ზოგიერთი ნაკლოვანება, შენობისათვის ად-  
გილის შერჩევა განსაზღვრული იყო არა მისაშენებლობით  
ქალაქ-მშენებლობის თვალსაზრისით, არამედ თავისუფალი  
ტერიტორიის არსებობით. ამგვარად ასეთი მნიშვნელოვანი  
შენობა დაგს არა მოედანზე, არამედ მხოლოდ მის მახლობ-  
ლად. დიდი დანაშაულია, რომ სპორტული არენის ზომები  
არ იძლევა ზამთრის სპორტის ძირითად სახეობათა ჩატარე-  
ბის საშუალებას. საკმაოდ მოუხერხებელია მაყურებელთა  
ადგილები, ვიწრო გასასვლელები და მეტად დიდი ამფითე-  
ატრის ქანობი. სრულიად არაა გადაწყვეტილი აკუსტიკის სა-  
კითხები, გარსის გასწვრივ წრეზე მოთავსებული სიფიკები  
იმის ნაცვლად, რომ ანაივადენ გუმბათის და იქიდან მივიღ  
დაბრახს (რაც პრწყინებულად განხორციელებულია რომის  
სპორტის სახალხეში) მაყურებლებისკენა ამისრთული. მუ-  
ნებლობის პროცესში შენობის სიმაღლე სპორტოქო ჩანაფიქ-  
რთან შედარებით რამდენადმე შეიჭრდა და პირიქით, ანა-  
რები რკინაბეტონის გარსის შექმნის შედეგად მნიშვნელოვ-  
ნად ამაღლდა გუმბათი, რის გამო შენობის ძირითადი მოცუ-  
ლობის გუმბათთან შეთანხმება და მთლიანად შენობის პრო-  
პორციები მნიშვნელოვნად გაურჯდა. თუმცა ამ ნაკლოვანე-  
ბათა დიდი ნაწილი არ წარმოადგენს არქიტექტორთა ცოდ-  
ვას, არამედ შედეგია იმ მზადი და უთანასწორო დავისა,  
რომელიც დამკვიდრდა დამგეგმარებელთა და ზემდომი და-  
მამტკიცებელ ორგანიზების შორის. საბაჟი ოლოპის მქონე ხმი-  
რად იმარჯვებს ლოკიკის მოსაზრებათა მიუხედავად.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა სპორტის სახალხე




რესტორანი „ბორი“. ვერანდა

უცილობლად წარმოადგენს საესტაჟაჟო თანამედროვე საზოგ-  
დობრივ ნაგებობას და რაც მთავარია, გადაწყვეტილია  
ეროვნულ კოლორიტში. მიუხედავად ახალი ამოცანისა, ახალი  
ფუნქციებისა და სამშენებლო ტექნიკისა, აქ წარსულის მავნე  
პრაქტიკის მსგავსად კი არაა გადმოტანილი თანამედროვეობა-  
ში კლასიკური ნიშნულების ფორმები და მოტივები, არამედ  
იგრძნობა შინაგანი ნათესაობა ეროვნული არქიტექტურის ნა-  
წარმოებებთან და საერთოდ ქართულ ტრადიციასთან. შენობის  
კომპოზიციცა შეთანხმებულია საქართველოს ბუნებრივ-კლიმა-  
ტურ პირობებთან, ორიგინალური და გაბედული კონსტრუქ-  
ტიული ხერხები, მოხერხებული და მოქნილია შენობის შიგა  
დაგეგმარება ყოველივე ის, რაც შეადგენს ორგანული არქი-  
ტექტურის საფუძვლს და უფლებას გაძლევს ჩათვალოთ  
ეს შენობა უკანასკნელი პერიოდის ქართული არქიტექტურის  
საუკეთესო ნიმუშად.

60-65 წლები ლაღო მესხიშვილის შემოქმედებაში აღ-  
ბად ყველაზე ნაყოფიერია. იგრძნობა მისი პროფესიული  
ოსტატება, ჩანს, რომ არქიტექტორი დაეუფლა თავის რთული  
პროფესიის საიდუმლოებას და ახლა ცდილობს სცადოს თავ-  
ვისი თავი ნაირსახოვან ნაგებობებში. იგი ცდილობს შექმნას  
თანამედროვე, სადა და ორგანული შენობები და ამავე დროს  
ქიქის ეროვნული არქიტექტურის ისეთ გადაწყვეტას, რაც  
მიანიჭებდა მას ისტორიულ კონკრეტულობას, იქნებოდა არა  
შეზღუდული ან ცალმხრივი (როგორც მისი აღრინდელი ნა-  
წარმოებები — წყალტუბოს სანატორიუმი, ამ მისრთვის პა-

ბოვიანთა. დასასვენებელი სახლი





ვილიონი), არამედ თანამედროვე და ქვეყნის პროფესიული ტრადიციებიდან გამომდინარე. ამიტომ ცილობს დაუკავშირის შენობა ბუნებას, გარემოს, მიადწიოს ორგანულ შერწყმას და როგორც ვხედავთ რამდენადმე ადრევეს კიდევაც ამას. ასეთ ძიებანა ნიმუშად შეიძლება ჩავთვალოთ 1952 წელს განხორციელებული რესტორანი „იორი“ თბილისის ზღვის პირას. შენობის კომპოზიცია კარგადაა დაკავშირებული რელიეფთან და გარემოსთან, თავისებურად გახედულია არქიტექტურული ფორმები, თავისებურია სივრცის გადაწყვეტის ხერხები. ძალიან საინტერესოა გულდასმითა და სიყვარულით გააზრებული ღია ვერანდის დეტალები — მისი მსუბუქი ფანჩატური, ქვის ფილებით მოკირწყლული იატაკი ბალახის ძარღვებით და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ 1962 წელსვე აგებული დასასვენებელი სახლი ბიჭვინთში. ეს მცირე შენობა აზნად საქართველოს ულამაზეს კუთხეში, ზღვის პირას გაშლილ უნიკალურ ფიჭვნარში. მისი კომპოზიცია შესანიშნავად ერწყმის ზღვის თავისუფალ სივრცეს, ფიჭვების მოყვალ ღეროებს და ხშირ მწვანეს. თეთრი-ნათელი სიბრტყეები, გამჭვირვალე სადგომები, მსუბუქი დაკიდული კიბე, ფართო, გახსნილი ვერანდები, უხვი ჰაერი და სივრცე ეს-მასურება გემბანის, იახტის ფორმებს, მივეთითებენ მის უშუალო მდებარეობაზე ზღვის პირას და სათანადო განწყობილებას ქმნიან.

ჩვენ არა გვაქვს საშუალება ერთ ნარკვევში დავახასიათოთ ამ პერიოდის დაგეგმარებული და აგებული ყველა შენობა. არქიტექტორის მიერ დაგეგმარებულ უკანასკნელ ნაპროექტთან შორის შეიძლება აღინიშნოს თბილისის მეტროპოლიტენის სადგომი „ღვინის მოედანი“ (არქ. ქ. კობახიძის თანაავტორი), ძალიან საყურადღებო, როგორც გარე ფორმებით, ისე შიგა გადაწყვეტის საცხოვრებელი სახლი ყაზბეგის ქუჩაზე. მშენებელი ეროვნული „მარანი“, და მრავალი სხვა პროექტი. ამგანად ლაღო მესხიშვილის პროექტით ხორციელდება დასასვენებელი სახლი და საძივე კორპუსი სოხუმიში, თეატრალური საზოგადოების შენობა თბილისში. საინტერესოდ გააზრებული და რელიეფთან მარჯვედ შეთანხმებული საჭადრაკო კუბები კიროვის პარკში. ორთაჭალაში შენდება საქართველოში პირველი ხუთსართულიანი გარეკი 300 აკტიონებისათვის (თანაავტორი გ. ქუჩიანი). აქვე ყურადღებას იპყრობს შენობის ფუნქციურ მხარეთა მაკარი დაცვა და სისაფე და ამავე დროს სივრცის გახსნა და კომფორტის შექმნის მისწრაფება წრიული, ღია ყუბის შექმნით.

დიდძომი, სამხედრო გზის პირას ბუნებრივ ტერასებზე აშენდა ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომპლექსი (თანაავტორი გ. გაბაშვილი). ცენტრში მოთავსებულია საკმაოდ გრძელი სასწავლო კორპუსი 2500 სტუდენტისათვის. მას ერთი მხრივ ეკვრის 800 ადგილიანი სააქტო დარბაზი და მას უკან მდებარე ბიბლიოთეკა წიგნსაცავით, ხოლო მეორე მხარეს დახურული სპორტული დარბაზი, საკურო აუზი და მიმდებარე სტადიონი ბუნებრივი ამფითეატრით. ყველა ეს შემადგენელი ნაწილი ორგანულია და დაკავშირებული ერთმანეთთან. კომპოზიცია კარგადაა ინშენებული და სიმეტრიასთან ერთად დინამიურია და მეტყველი. მთავა-

რი ვესტიბული, რომელიც აკავშირებს სააქტო დარბაზს სასწავლო კორპუსთან განსაკუთრებით აქვეყნებულა და იმპოზანტურიც. დიდი სივრცე, რომლის ძირითად ელემენტს შეადგენს რბილად მოხაზული კიბე, არის გამჭვირვალე, საზეიმო და შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას მყდრო უზნები კავშირისა და დასვენების ადგილობრისათვის. თვით სასწავლო კორპუსში ბევრია ხერხელობები, გამჭვირვალე უზნები, რაც უშუალოდ აკავშირებს მას ბუნებასთან. ამავე ხელს უწყობს ის გათვლილია, რომ ძირითად კორპუსს ერთკმის სიმაფრთა, მათ შორის კი ეწყობა შიდა ეზოები დიდი საჩრდლომბელი ხეებითა და წყლის პარტერებით. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობა უკვე დღეს — გვეგობრების პროექტში ძალზე სასიამოვნოა თავისუფალი ეფემარებისა და ბუნებასთან კავშირის წყალობით, რაც მას ანახვავებს სხვა უმაღლეს მასწავლებელთა მოსაწვენი დერეფნებისაგან, გუმბარგმა, მალე ჩვენ ქალაქს შევიდნება უმაღლესი სასწავლებლის ყველაზე საუკეთესო კომპლექსი.

ლაღო მესხიშვილი მიუხედავად დიდი დატვირთვისა საპროექტო სამუშაოებით და თანამდებობით (თბილქალაქპროექტის მთავარი არქიტექტორი) მონაწილეობს დებულობის თითქმის ყველა კონკურსში. უკვე 1955 წელს იგი ჩაება სოხუმის მრავალსართულიანი სასტუმროს პროექტის კონკურსში და ახალგაზრდა არქიტექტორთან ნ. ქვათელაძისა და ვ. გიგაშვილთან ერთად მხორე პრემია დაისაკუთრა. ამას წინათ გამოცხადებული იყო კონკურსი ახალგაზრდობის სახალის პროექტზე თბილისში და აქვე მორიგი გამარჯვება — ლაღო მესხიშვილისა და ნოდარ ქვათელაძის პროექტი პირველი პრემია მიენიჭა. ამ უკანასკნელ პროექტში საინტერესოა ჩანაფიქრი — სხვადასხვა სადგომთა გაერთიანება ერთ მოცულობაში, მასობრივი შეკრების კომპლექსში, სასტუმროს ღია ვერანდების გახსნა და ამით მყდრო და ახალგაზრდობის ურთიერთობისათვის კარგი პირობების შექმნა, ხერხი გამომდინარე XIX საუკუნის ქართული ქალაქური საცხოვრებელი სახლის კარგი ტრადიციებიდან. აქ არ შეიძლება უგულველყოფით ერთი გარემოება. ყველა დიდ პროექტში ლაღო მესხიშვილის გვერდით თანასწორუფლებიანი ავტორის როლში გამოდის ერთი ან რამდენიმე ახალგაზრდა არქიტექტორი, რომელთანაც მუშაობა მას არა მარტო სიამოვნებს, არამედ როგორც არქიტექტურული სკოლის პედაგოგს, მოვალეობად მიიჩნია. იგი გახედულად აძლევს გზას ახალგაზრდებს და ეს ასეც უნდა იყოს. ვინაიდან პირველს აძალდეს ემინია მეორესი, თუკი იგი ნამდივლად პირველია.

ლაღო მესხიშვილი მაგარი ავტორების, ძლიერ ტემპერამენტის, გულფიცხი ადამიანია. მასთან პირველი გაცნობისას შეიძლება იფიქროთ, რომ იგი დარდინადელ კაცია, რომ მისი ცხოვრება მარად იყო მზიარული და ბედნიერი. ეს ასეცაა და არც მთლად ასე. დაბა, იგი ყოველთვის იყო ჯანსაღი, მაგარი, მზიარული, მას უყვარდა ტრადიციები, სიარული, მოგზაურობა, მისთვის თითქმის წარმოუდგენელია ერთ ადგილზე დიდხანს გაჩერება და ამიტომ დღესაც შეიძლება ერთმანედ მოწყდეს ყოველგვარ და გადიკარავს სადმე მიოუღელოში ან ზღვის პირას, საიდანაც რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოდის განახლებული, სასუე ახალი აზრებითა და გრძნობებით, როგორც ჩანს,




ეს მისთვის, როგორც ხელოვანისათვის საჭიროა. ვაკონდება ვ. ვან-გოგის სიტყვები — „მე მუდამ მასაზრდობდა ბუნება, ხანდახან მას ვაზვიადებ, ვცვლი ყველა მონაცემს, მაგრამ არასოდეს ვთხზავ სურათს, პირიქით, მე მას ვპოულობ ბუნებაში მზამზარეულად, თუმცა ისე, რომ იგი მოითხოვს გახსნას“. დიახ, ხელოვნებაში მთავარია შეგრძნება, პლასტიკურობის გრძნობა, მაგრამ არქიტექტურაში მართო ეს როლია საკმარისი, საჭიროა გამოცდილება, ცოდნა და გათვალისწინება თანამედროვე მოთხოვნილებების, ბუნებრივი პირობების, მასალათა შესაძლებლობის, ტრადიციებისა და მრავალი სხვა. ამიტომ ლადო მესხიშვილი ბევრს მუშაობს, ეცნობა ყოველივე ახალს, რაც იქმნება მსოფლიო არქიტექტურაში, მის ხელში მუდამ ფანქარია, რომლითაც იგი განუწყვეტლივ ხატავს — დიდ ფურცლებსა თუ პატარა ნაგლეჯზე. ისახება ესკიზები, იქმნება ჩანაფიქრები, ახალი ფორმები, ახალი შენობები.

მას აქვს პატარა ბინა ფალიაშვილის ქუჩაზე და ვრცელი სახელოსნო ყაზბეგის ქუჩაზე მის მიერვე აგებულ სახლში. მას უყვარს მუსიკა და ბოლო დროს კინოსხელოვნებაც, შვიდობა მისი მუღლის, ნიჭიერი ქართული რეჟისორის ლანა დოლობერიძის წყალობით თუ ხათრით. იგი ამაცობს თავისი ორი ტყუპი ვაჟიშვილით ლადოთი და გიორგით, რომელთაგან ერთი უკვე ექიმია და მეორე კი კარგი პერსპექტივის მქონე ნიჭიერი მხატვარი და განსაკუთრებით, როგორც ეს მუდამ ხდება, უყვარს თავისი პატარა გოგონა ქეთინო.

იგი არის პრინციპული და უხეშობამდე პირდაპირი. მიუხედავად მრავალი წარმატებისა, მაინც არ არის კმაყოფილი თავისი ნაწარმოებებით, ცდილობს შექმნას უკეთესი, მტიკუნულად განიცდის მშენებლობის დაბალ ხარისხს და მშენებლობასთან დაკავშირებულ არსებულ სიძნელებებს. მის ცხოვრებაში უმთავრესი არქიტექტურაა და აქაც იჩენს მტიკუნულ ვრთველებას, მას მოსწონს ნეიტრა, იაპონელები და უყვარს ყოველივე ქართული. პარიზში ერთად ყოფნის დროს მე ვაკვირდებოდი თუ როგორ ათვალთვრებდა ლადო ლუვრის მუზეუმს. აქაც გამოჩნდა მისი ჩამოყალიბებული სახე. მან სწრაფად, შეუხედავად გაიბრინა დიდი გალერეა — გვერდი აუარა რაფაელისა და ლეონარდო და ვინჩის ქმნილებებს და პირდაპირ ეძვერა ველასკესის პატარა ინფანტას პორტრეტს, ბევრი უარა ირგვლივ მიქვლანჯვლოს მონებს, ბოლოს შეჩერდა და დიდხანს ტკბებოდა რომანული ხელოვნების ძველი ფრაგმენტების ყურებით. დიახ, ამ აღმაიანს აქვს გემოვნება, აქვს საკუთარი თვალთახედვა. იგი დღეს დასრულებული არქიტექტორია (და ეს ცოტაა როდია) და ამასთანავე მხოლოდ 50 წლისაა. ეს კი არქიტექტურისათვის შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია.

ლადო მესხიშვილი ახლა კარგად ერკვევა იმ ობიექტურ კანონებში, რომლებიც საფუძვლად უდევს არქიტექტურას, ეს-მის თავისი ქვეყნის თავისებურებანი. იგი კვლავაც შექმნის მრავალ ახალ მნიშვნელოვან ნაწარმოებს.

ვარაი თბილისში (მაიექტი)





ხალქალაქის თეატრალურ ცხოვრებას თავისი წარსული აქვს. წარმოდგენები აქ 1872 წლიდან იმართებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სათეატრო შენობა არ იყო: იდგმებოდა ფარსები, ვოდველები, უფრო ხშირად კი ცაგარლის კომედიები. ადგილობრივ სცენისმოყვარეებს ხშირად ენმარებოდნენ თბილისიდანაც —

## ახალქალაქის

ნინო ორბელიანი, მელიქიან-საფაროვისა, ვ. აბაშიძე, დ. გამყრელიძე, სომეხი მსახიობები — ნოვაკი, მერუიერი და სხვ. სპექტაკლები იმართებოდა ქართულ და სომხურ ენებზე. 1904 წელს ახალქალაქში აშენდა ფიცრის შენობა, რომელსაც ეწოდა „როტონდა“. მის სცენაზე დაიდგა სულ რამ-

## კულტურის

დენიმე სპექტაკლი („ძუნწი“, „ორი ობოლი“, „ბატონი და ყმა“, „არსენა“, „დედა და შვილი“), რომლებშიც მონაწილეობდნენ ილიკო, თავლო, გიგა და ნიკო თარხნიშვილები, გაიანე შერვაშიძე, ძმები მაცაშვილები, ჟურული, გ. თაბიშვილი, ვ. ნასყადაშვილი, ვ. ხუციშვილი, ლ. ნუგზარიშვილი და სხვ.

## სახლი

რეაქციის პერიოდში „როტონდამ“ შეწყვიტა მუშაობა, სცენისმოყვარეები გაიფანტნენ. 1911 წლიდან კვლავ განახლდა კერძო ბინებში საღამო-წარმოდგენების დადგმა, შეიქმნა კლუბი — „Ахалкалакский сельский кружок“ (იარსება 1914 წლამდე), რომელიც არისტოკრატთა თავშესაფარი იყო. 1918 წლიდან, როცა კლუბი სხვა შენობაში გადავიდა, დრამატული კოლექტივი

გაძლიერდა. მოწვეული პროფესიონალი მსახიობების კონსიბედ ზერტეზიშვილისა და იორდანიშვილის მონაწილეობით დაიდგა „ხანუმა“. ადგილობრივ ძალებს შეემატა ირ. მენთემაშვილი, ლ. ჯავახიშვილი, ვ. თარხნიშვილი, ს. ელიაძე, გ. მჭედლოშვილი, თამარ და დავით კოტეტიშვილები, გ. ედიშერაშვილი, გ. მისომარია და ა. ფირალიძე.

სამჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჯეროვანი ყურადღება მიექცა რაიონის კულტ-მასობრივ მუშაობას. სცენისმოყვარეებისათვის სპეციალურად აიგო შენობა, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა. კლუბში დაიდგა სპექტაკლები („პეპო“, „ორი დარჯი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ელენოროა“, „ხანუმა“, „სურამის ციხე“, „მეზობლები“, „პატარა კახი“ და სხვ.), რომლებშიც მონაწილეობდნენ ი. რუხაძე, კ. კალანდარაშვილი, ს. არმაკუნი, შ. წერეთელი, ს. ორქუაშვილი, ს. მჭედლოშვილი, ი. მეზურნოვი, ნ. ოტოვი, მ. ჯაჯანაშვილი, ე. მაჩაბელი.

ახლანდელი კულტურის სახლის ახალგაზრდა დრამატული კოლექტივი მჭიდრო კავშირშია ძველ სცენისმოყვარეებთან. ბევრ სპექტაკლში („დარისანის გასაჭირი“, „სახიშვილი შურისძიება“ დამდგმელი პენსიონერი ი. მეზურნოვი) მონაწილეობენ ძველი სცენისმოყვარეები — 75 წლის ვ. მაჩაბელი და მ. ჯაჯანაშვილი.

კულტურის სახლში თავს იყრიან რაიონის ახალგაზრდები. ისინი ჩამბული არიან სხვადასხვა წრეებში, ნახულობენ კინოფილმებს, ეწყობა შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან. დიდი ხანი არ არის რაც შეხვედრა მოუწყვეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობებს: რესპუბლიკის სახალხო არტისტებს: ბ. ბაღაშვილს, ს. თაყაიშვილს, ა. ომიადეს, ა. ჭორჭორიანს, იპ. ხვიჩას, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს გ. გვიგეჭორს, კ. აბესაძეს, ზ. ლაფერაძეს.


კულტურის სახლში დანერგლია მასობრივი მუშაობის ახალი ფორმა. მაგნიტოფონით სისტემატურად გადასცემენ წინასწარ მომზადებულ საუბრებს, ავითმატურები ბრიგადები აწყობენ საინტერესო საუბრებსა და კონცერტებს მინდვრად თუ ფერმებში მომუშავე კოლმეურნეებთან. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კედლის გახუთი „იკა-ლა“, რომელიც დაინდობლად ამოთარახებს ყველას, ვინც საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას გაუტრის.

კულტურის სახლთან ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აგროკომისის, დრამატული, ჟოროეოგრაფიის, ფორტეპიანოს, ჭრა-კერვის, ჭადრაკისა და ქართული ლიტერატურის წრეები.

კულტურის სახლის მუშაობა მრავალფეროვანი და საინტერესოა. 1964 წელს მათ მონაწილეობა მიიღეს კლუბების საკავშირო ურთიერთ გამოძახებაში და იკისრეს, რომ დაესმარებოდნენ ჩამორჩენილ საკლუბო დაწესებულებებს. კულტურის სახლის ნაყოფიერ მუშაობაზე ბევრის თქმა შეიძლება. მათი კარგი მუშაობის შესახებ ხშირად ნახავთ წერილებს როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. სწორედ ამიტომ იყო ახალქალაქის კულტურის სახლის (დირექტორი იოსებ ხუციშვილი) კარგი მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ სპეციალური ბროშურაც კი გამოსცა.

ილიანა მარაიშვილი





# ქართული კულტურის

## ქებლაგის პატივად

ზაირა სტურუა

აქ, რომ თავდებია, სვეტთა შუაგულში,  
ისე ნაგებია სიზმრის ვეგორება...



მბობს ჩვენი დროის დიდი პოეტი ვალაკტიონ ტაბიძე თავის ლექს „ნიკორწმინდაში“. იგივე შეიძლება გავიმეოროთ ჩვენს სახელოვან ოსტატთა მიერ შექმნილ შედევრებზე — კლდეში ნაყვთ არქიტექტურულ ანსამბლებზე, ფაქრი გემოვნებითა და ღრმა მხატვრული ჩანაფიქრით ნაგებ ტაძრებზე, საცხოვრებელ კომპლექსებზე, აკადემიკა ნანგრევებზე, საზოგადოებრივ, განსაკუთრებულ სიმაღლეზე აღმართულ ციხესიმაგრეებზე, კოშკებზე, რომლებიც დღესაც მნახველის აღტაცებას იწვევენ, ისე არიან ჩახატული გარემომცველ ბუნებაში, მთის კალთებზე, ციკაბო კლდეებზე, დახურულ ტყეებში, მთუვანი და ამაყი, თითქოს ბუნებას შერწყმიანო.

ვერც დროთა მსვლელობამ, ვერც დარბა და აუღარა, ვერც მტრის გამსაგებულმა ურთობებმა ვერ შეძლეს წარხეცოთ ის, რაც ქართულმა მარჯვენამ შექმნა.

აღდეს ქართული საზოგადოებრიობა სა-

თუთი შურსვენელობით იცავს და უფლის შობილობური წარსულის ნაკვალევს. საჭირო გახდა ძველებსაც მულოდათ თავისი მემკვიდრეობა, ამ კეთილშობილური ეროვნული საქმის გაკეთება თავს იდგა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ. გაუღეს წლიდან საზოგადოებრივ საწყისებზე გამოსვლა დაიწყო კრებულმა „ძველის მეგობარი“. სარედაქციო კოლეგიაში შედიან ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერები.

„ძველის მეგობრის“ დაარსება ღირსსახოსოვარი თარიღია — წერის კრებულის ფუნქცილებზე აკადემიკოსი ნიკო ბერძენი შეგლი — ეს არის წინადადებული დიდი ნაბიჯი კულტურის ძეგლთა მოვლა-დაცვის საქმეში“.

„ჩვენი კულტურის ძეგლები ახალი ფერთაშიაღია“ მფარველი გაუჩნდა — ასე იწვევს თავის წერილს მწერალი ლევან გიორგაძე — „ძველის მეგობრის“ გამოსვლა დი-

წლოვანი ძეგლების ცხოვრების პერველად ახალი მერცხალია ძეგლებსაც გაანათა თავის დროთა ბრუნვა და წელსავალაუკი... და გვონებ თავდება დიდი ზამთარი ჩვენი ძეგლებისა და იწყება ახალი, სამკამოდ შეგვიანებული გაზაფხული“.

ლევან გიორგაძის წერილს დართული აქვს მხატვარი თეიმურაზ კუბანეიშვილის ფერადი ნახატები — „ხალხი და ძეგლი“ და „ძეგლთა სამკაროში“.

ყველა ნომერს თავისი მორიგე რედაქტორი მუშავს. პირველი ნომერი, რომელსა მორიგე რედაქტორია ლევან გიორგაძე, ისინდა საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარის თენგიზ ბუაჩიძის წერილით.

აკად. ნიკო ჩუბინაშვილი თავის წერილს უძღვრის სვეტიცხოველის ვალაკტიონ XI საუკუნის კარიბჭის გახსნას. უკვე მეორე წელია, საზოგადოების თანხმობითა და სახ. სრბითი მიმდინარეობს სვეტიცხოველში აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები. წერილში დაწვრილებით არის წარმოდგენილი ძეგლზე ჩატარებული მეცნიერული და სარესტავრაციო სამუშაოების შედეგები, დაბეჭდილია ფოტოილუსტრაციები, მთავარი კარიბჭის ფოტო აღდგენამდე და აღდგენის შემდეგ, გეგმები და სქემები.

აკად. შალვა ამირანაშვილი დავით გარეჯის ფრესკების შესახებ წერს. ავტორი საერთოლიანად მოითხოვს მეტ ყურადღებას ამ ფრესკებისადმი, რომლებზედაც გამოსახულია ჩვენი სახელოვანი წინაპრები თამარ დედოფალი და გიორგი ლაშა, დიმიტრი I-ლი და სხვა ისტორიული პირები.

ისტორიის მეცნიერებთა დოქტორი ანდრო აფაქიძე აურტიკებს მათ, ვინც ხელმეორეს კულტურის ძეგლებს და გულგრილად ეცილება მათი დაცვის საქმეს.

პროფ. გიორგი ჩიტაიას წერილში მკითხველს შეუძლია გაეცნოს მახალბებს თბილისის ხალხური ზურთომძელებისა და უფის მომავალი მუზეუმის შესახებ. ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ვახტანგ ციციანიძე, რომელიც 20 წელია იღებოდა ბავარტის ტაძრის რესტავრაციის მუშაობას, თავის წერილს სწორად და თმებს უძღვრის.

სუბე-სარესტავრაციო სახელოვნოს დირექტორი ლევან ხიმშიაშვილი თავის წერილში მოკლედ აცნობს მკითხველს იმ ჩატარებულ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების შესახებ, რაც სახელოვნოს თავის არსებობის მანძილზე შეუსრულებია.

კრებულის მეორე ნომერი ისინდა აკად. ნიკო კეცხოველის წერილით: „ახალი სიხარული და ძველი დარდი“, რომელიც დავით გარეჯის გამკვებულთა კომპლექსის დაცვას ეხება.

არქიტექტორი ლონგინოს სუმბაძე თავის წერილში „ქართული ზურთომძეობის ფოლოკლორი“ ყურადღებას ამახვილებს ქართული საცხოვრებელი სახლის ტიპებზე, სანიშნა ზურთომძეობების შესახებ წე-



მუშებზე, ქართული დარბაზების ტიპებზე. ამ ნომერში მკითხველს შეუძლია გაეცნოს სპეციალურ რუბრიკას „ქველთა მეცნიერული დაცვა-აღდგენის პრაქტიკა“.

ნაქალაქი გრემში არქეოლოგიური გათხრების შესახებ წერს გრემის ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფ. პ. ზაქარაია, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გიორგი ლომთაიძის წერილი ეძღვნება თემას „არქეოლოგიური ძეგლები და ჩვენი გონიერი მშენებელი“.

გასულ წელს, ქართული კულტურის შესანიშნავ ძეგლს კუმურდოს 1000 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს ეძღვნება პროფ. ვ. ბერიძის წერილი. კრებულში მოთავსებული ძეგლის ფერადი ფოტოილუსტრაცია — ტაძრის რეკონსტრუქცია არქიტექტორ ნ. სვეტიცხოვის მიერ.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის მალქია დვალის წერილში მკითხველი გაეცნობა მასალას ქართული კულტურის ძეგლების შესახებ სპიციკლისა და ლენინგრადის არქივში, საზოგადოების უკანა დივიზიონის ვახუშტის დივიზიონის არქივში შენახული გვაცნობს ჩემოსლოვაკიის მატერიალური კულტურის ძეგლები დაცვის ორგანიზაციას და მოვლა-პატრონობის მეთოდებს. ნომრის მორიგე რედაქტორია პროფ. ვ. ბერიძე.

„ძეგლის მეგობარის“ მესამე ნომერში წერილები, ძირითადად, ჩვენს გამოკვებულებს ეხება. „ისტორიული ჯვავების გამოკვებულების“ შესახებ კრებულში წერს არქიტექტორის კანდიდატი გივი გაფრინაშვილი, „ფარბის მოავარი ტაძრის ეკლესიის მხატვრობის შესახებ — აკად. შ. ამირანაშვილი. ფოლოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

შერმაინი ონიანის წერილი „მიზეზდროთ ვანის ქვაბო წარწერებს“ სინტერესო მასალებს იძლევა ვანის ქვაბთა პოეზიაზე.

უფლისციხის გამოკვებულთა კომპლექსის ეძვებდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის დავით ხახუტაშვილის წერილი.

უფლისციხის შესწავლაში თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე. წ. „მოთვლილი გამოკვებულის“ გამოკვლევა. ამ თემაზე, ხელოვნების მუზეუმის მეცნიერი-თანამშრომლების გ. აბრამიშვილისა და კ. ვაჩიშვილის წერილი.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კობე ჯავახიშვილი კრებულში წერს „მიწისქვეშა ძეგლთა სამყაროზე“, ხოლო V-VI ს. ბურთომოდურების ძეგლზე-კაცის სტეტზე ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ვ. ცინცაძე.

დაიდ ინტერესს იწვევს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის ბუენა გიორგაძის წერილი — „XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის, დონ ქრისტოფორო აპტელის გამოკვებულები ნახატების აღმოჩენა საქართველოს შესახებ“. წერილს დართული აქვს ქ. კახტელის სამი ჩანახატი.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ი. გომელაური წერს ბურთომოდურული ძეგლის — წმ. თედორეს ეკლესიის შესახებ, რომელიც ამჟამად თითქმის მოლიანად დანგრეულია. ავტორმა სცადა მის ხელოვნებაში უცხო მასალის მიხედვით მკითხველისათვის მიეცა ხოვდეს წმ. თედორეს ეკლესიის ისტორიული წარსულის ზოგადი სურათი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ეს ნომერი იმით, რომ მას დართული აქვს ქართული არქიტექტურის ძეგლების რუკა.

კრებულში მდებარეობდა ილუსტრირებული, მათში მკითხველი ნახავს თ. უტაბერიშვილის, რ. დანსერეს, იტალიელი მხატვრის ქ. კახტელის, ნიკოლოზ სვეტიცხოვის, ჩერნოცოვის და სხვათა ნამუშევრების ფოტორეპროდუქციებს, ნახატებს, შესრულებულს ფერებში.

„ძეგლის მეგობარის“ მეოთხე ნომრის მორიგე რედაქტორია ლევან მატარაძე. პირველი და მეორე ნომრის გარკვეული პერიოდში ეკუთვნის მხატვარ მერაბ ბერიძისთვის. მესამე ნომრის გარკვეული ფორმა რუსთაველის პრემიის ღირსებამ იღვრება ამჟამინდელში, მოთხებ — დავით უფუნდუა.

